საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ყაზბეგი ეროვნული ბიბლიოთეკა

№024 (12 401) 31 იანვარი ხუთშაბათი 2008
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

# ცქიტიშვილი საათებს და წუთებს ითვლის




## ბირმინგემი წელინადნახევარს მთავაზობს

სააპელაციო განხილვა დღეს გაიმართება

2

## მუჯირი ლოკომოტიველია!



კრილია ფიფაში ჩივილს აპირებს

2




## კობახიძე დნეპრიდან წამოვიდა

უკრაინული ვერსია: დინამოს ვერ შევუთანხმდით

3

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com www.pfl.ge

# ცქიტიშვილი საათებს და წუთებს ითვლის

## ბირმინგემი წელიწადნახევარს სთავაზობს



**ხვალ, შუაღამის თორმეტ საათზე ინგლისში სატრანსფერო ფანჯარა იხურება. ეს ჩვენთვის იმადაა საინტერსო, რომ პრემიერლიგის „ბირმინგემში" ეროვნული ნაკრების 31 წლის შუახაზელის ლევან ცქიტიშვილის ტრანსფერი უნდა გადაწყდეს.**

**ცქიტიშვილს გუშინ დავურეკეთ ბირმინგემში.**

- ვფიქრობ, ჯერჯერობით ყველაფერი კარგადაა. ხვალ სააპელაციო განხილვა გაიმართება - გადაწყდება, მომცემენ თუ არა ბრიტანეთში თამაშის ნებართვას. მოგეხსენებათ, ფიფას რეიტინგში საქართველო ახლა 76-ე ადგილზეა, ბრიტანული კანონით კი აქ მოთამაშე უცხოელის ნაკრები რეიტინგში 70-ზე ქვევით არ უნდა იყოს. თუ ნებართვას ავილებ, ჩემი „ბირმინგემში" ტრანსფერი ფაქტობრივად გადაწყვეტილია.

**- ანუ „ბირმინგემმა" უკვე გადაწყვიტა შენი აყვანა?**

- ალბათ, კი. აქ უკვე ოთხჯერ ვივარჯიშე. ფორმალობების მოსაგვარებლად ჩემთან გია ნემსაძე რომ ჩამოვიდა, ესეც გეცოდინებათ.

**- სააპელაციო განხილვას ვინ დაესწრება?**

- „ბირმინგემის" წარმომადგენელი და მწვრთნელი ალექს მაკლიშიც. განხილვა თერთმეტის ნახევარზე დაიწყება და პასუხს დაახლოებით საათნახევარში გვეტყვიან.

**- თუ ყველაფერი კარგად წარიმართება,"ბირმინგემი" რა ვადიან კონტრაქტს გთავაზობს?**

- ლაპარაკია წელიწადნახევრიან კონტრაქტზე.

**დავით თავართქილაძე**



# ბანიკ დეკლასოვალ ტბილისი

## დინამო ამხანაგურად შერცხვა

„ბანიკ დეკლასოვალ ტბილისი" - ასე დაასათაურა ჩეხური „ბანიკის" ოფიციალურმა ვებ-გვერდმა „დინამოსთან" მატჩის მიმოხილვა. ამ სიტყვებს თარგმანი არ სჭირდება, „დინამო" კი „ბანიკთან" 2:8 განადგურდა. გასაგებია, რომ მხოლოდ ტესტ-მატჩია, მაგრამ ანგარიში ამგვარი შეხვედრის კვალობაზეც სამარცხვინოა.

„დინამოს" შემადგენლობაზე ვერაფერს გეტყვით, ჩეხებს მხოლოდ თავიანთი ფეხბურთელების გვარები გამოუქვეყნებიათ, ამ შეხვედრის შესახებ თბილისელთა საიტზე კი არაფერი წერია...

**ლევან ჯანეზაშვილი**



ბანიკ-დინამო 8:2

# მუჯირი ლოკომოტიველია!

რუსულმა საინფორმაციო წყაროებმა გუშინ ჩვენთვის ერთობ მოულოდნელი, მაგრამ მეტად სასიამოვნო ინფორმაცია გაავრცელეს - **დავით მუჯირმა** მოსკოვის „ლოკომოტივთან" 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა!

ბოლო დღეებში ქართველი ნახევარმცველის „კრილია სოვეტოვიდან" წასვლაზე კი მიმდინარეობდა საუბრები, მაგრამ **მალხაზ ასათიანის** თანაგუნდელი თუ გახდებოდა, ამის თაობაზე არავინ იუწყებოდა. გუშინვე მუჯირი „ლოკომოტივს" ესპანურ შეკრებაზე შეუერთდა.

არადა, ამ ინფორმაციის გავრცელებამდე რამდენიმე სათით ადრე "კრილიას" გენერალური დირექტორი **ალექსანდრ ფედოსეევი** იმუქრებოდა, ქართველი ფეხბურთელი ჩვენი საკუთრებაა და ჩვენგან მალულად მასთან მოლაპარაკებას არავის შევარჩენთ, თვით ფიფა-ს შეწუხებაც რომ დაგვჭირდესო:

*„მოსკოვში, ლიცენზირების საკითხების გასარკვევად ყოფნისას, მუჯირმა დამირეკა. ძალიან გამიხარდა მისი ხმის გაგონება, ჩვენ ხომ მისი ასავალ-დასავალი არ ვიცოდით, ტელეფონი გათიშული ჰქონდა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ქართველ და რუს სამართალდამცავებს მივმართეთ დახმარებისთვის. სალამოს კლუბის ოფისში შევხვდით ერთმანეთს, სადაც მითხრა, რომ „ლოკომოტივთან" ხელშეკრულება გააფორმა. ამან ძალიან გამაკვირვა, კლუბს არ მიუცია მისთვის თანხმობა წასვლაზე. იქვე დაამატა, რომ სატრანსფერო კონტრაქტს ჩვენი მხრიდან პრეზიდენტმა, ალექსანდრ ბარანოვსკიმ მოაწერა ხელი. მუჯირის მოსვლამდე „ლოკომოტივიდან" დამირეკეს, მთხოვეს ფეხბურთელის პასპორტი და სხვადასხვა დოკუმენტები გამეგზავნა მათთვის. თუმცა „კრილიაში" არანაირი დოკუმენტი არ არსებობს მუჯირის სხვა კლუბში გადასვლასთან დაკავშირებით. ამიტომაც ჩვენ დღეს არ შეგვიძლია ვისაუბროთ რამდენად კანონიერია ეს ტრანსფერი და უფლებას ვიტოვებთ საქმის კურსში ჩავაყენოთ ფიფა, რომელიც ამ ტრანსფერს მისცემს შეფასებას."*

მომხდართან დაკავშირებით კომენტარი **მეთიუ ბუტმაც** გააკეთა, რომელიც მუჯირის არყოფნაში კაპიტნობდა გუნდს: *„დასანანია მუჯირის გარეშე რომ მოგვიწევს თამაში. გუშინ შევიკრიბეთ ფეხბურთელები და ასეთ დასკვნამდე მივედით - გუნდში უნდა ითამაშოს ისეთმა ფეხბურთელმა, ვისაც ამის სურვილი გააჩნია."*

**ლევან ჯანეზაშვილი**

# კალაძემ მოიგო, კობიაშვილი გავარდა

„მილანმა" სერია A-ს გადმოტანილ მატჩში სტუმრად 1:0 დაამარცხა „რეჯინა", ერთადერთი გოლი მატჩის მე-17 წუთზე **ალბერტო ჯილარდინომ** გაიტანა. ამ შეხვედრაში **კახა კალაძემ** თავიდან ბოლომდე ითამაშა და 88-ე წუთზე ყვითელი ბარათი მიიღო. ამ მოგების წყალობით „მილანი" მეექვსე ადგილზე გადავიდა 30 ქულით, თანაც კიდევ ერთი მატჩი დარჩა რეზერვში. კახამ ექვსი ქულა დაიმსახურა.

გერმანიის თასის მერვედფინალურმა მატჩებმა ისე ჩაიარა, რომ მხოლოდ ერთმა ქართველმა ითამაშა. „მიუნხენმა" სტურმად 3:2 გაიმარჯვა „ალემანიაზე" ტრავმირებული **მათე ღვინიანიძის** გარეშე. „ვოლფსბურგის" და „შალკეს" დაპირისპირება 1:1 დასრულდა, პენალტების სერიით კი მასპინძლებმა იმარჯვეს - 5:3. **ლევან კობიაშვილი** თამაშში 76-ე წუთზე ჩაერთო **ივან რაკიტიჩის** ნაცვლად. კობის პენალტი არ დაურტყია. დამატებით დროში გატანილი გოლის წყალობით მეოთხედფინალში გავიდა „კარლ ცაისი", ძირითადი დრო კი „არმინიასთან" მატჩში 1:1 დასრულდა. მასპინძელთა სამი ქართველიდან განაცხადში მხოლოდ **ილია კანდელაკი** იყო.და ისიც მხოლოდ სათადარიგოთა სკამზე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

# კობახიძე დნეპრიდან წამოვიდა, დროებით?

## უკრაინული ვერსია: დინამოს ვერ შევუთანხმდით

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი **სანდრო კობახიძე** „დნეპრიდან" წამოვიდა. სანდრომ უკრაინის ჩემპიონატის ლიდერ გუნდში ორი კვირა ივარჯიშა, რამდენიმე საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა და მთავარ მწვრთნელ **ოლეგ პროტასოვს** თავი ძალიან მოაწონა.

დნეპროპეტროვსკელთა თავკაცმა მედიასთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ თბილისის „დინამოს" ნახევარმცველი მომეწონაო და დააყოლა - ალბათ, დავტოვებთო.

რას ნიშნავდა სიტყვა „ალბათ", ნაწილობრივ, გუშინ შევიტყვეთ - დნეპროპეტროვსკელები მეორე შეკრების ჩასატარებლად კვიპროსში გაემგზავრნენ, მაგრამ დელეგაციაში კობახიძე არ ყოფილა.

*„აფროდიტას კუნძულზე არ იქნება საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი სანდრო კობახიძე, რომელიც „დნეპრში" ისინჯებოდა. ჩვენი კლუბი, სადღეისოდ, თბილისის „დინამოსთან" ფეხბურთელის სატრანსფერო ღირებულებაზე ვერ შეთანხმდა. ასე რომ, დროებით, კობახიძე მშობლიურ გუნდში ბრუნდება,"* - იუწყება „დნეპრის" ოფიციალური ვებ-გვერდი.

ოფიციალური წყაროს ინფორმაციიდან არ ჩანს, რომ „დნეპრი" კობახიძეს საბოლოოდ დაემშვიდობა. ორი ფრაზაა საყურადღებო და დამაფიქრებელი.

*„ჩვენი კლუბი, სადღეისოდ, თბილისის „დინამოსთან" ფეხბურთელის სატრანსფერო ღირებულებაზე ვერ შეთანხმდა"* - ამ ფრაზიდან ჩანს, რომ მოლაპარაკება გრძელდება და უკრაინელებს კობახიძის გადაბირების იმედი არ დაუკარგავს. იგივე ჩანს შემდეგი ფრაზიდანაც - *„დროებით, კობახიძე მშობლიურ გუნდში ბრუნდება."*

მართალია, თავად კობახიძემ უკრაინულ „სპორტ-ექსპრესთან" დაიჩივლა, ასეთი დატვირთვებით ცხოვრებაში არ მივარჯიშიაო, მაგრამ ჩვენი უკრაინელი კოლეგებისგან შევიტყვეთ, რომ მან პროტასოვი ყველანაირად აღაფრთოვანა, მათ შორის, ფიზიკური მომზადებითაც - სანდროზე ყოჩაღად უკრაინის ნაკრების წევრებიც არ გამოიყურებოდნენო. ის, რომ კობახიძე ადგილობრივებს ტექნიკით მოხიბლავდა, მოულოდნელობა არ ყოფილა. სხვა საქმეა ფიზიკური მომზადება - ამ თვალსაზრისით უკრაინელებს ქართველი კი არა, გერმანელი ვერ გააოცებს. ასეთი ბრძოლისა და შრომის უნარიანი ტექნიკური ფეხბურთელი ციდან არ ცვივაო და პროტასოვმა კონტრაქტის გაფორმება გადაწყვიტა.

„დნეპრი" თბილისის „დინამოს" სატრანსფერო პირობებზე დაელაპარაკება და... სანდროს წამოსვლა მოუხდა. რატომ დაბრკოლდა ტრანსფერი, ამაზე ყველაზე ადვილი ზედაპირულად მსჯელობაა, თითქოს, ქართულმა მხარემ არარეალური თანხა მოითხოვა.

თუმცა, ასე მარტივად არაა საქმე: მედალს ორი მხარე აქვს და „დინამოც" და „დნეპრიც" არგუმენტებით ამყარებენ თავიანთ გადაწყვეტილებას - თბილისელები ითხოვენ იმდენს, რამდენადაც ტალანტი ულირთ, უკრაინელებს კი მიაჩნიათ, რომ საქართველოში იაფფასიანი სატრანსფერო ბაზარია, მისი იმიჯი შელახულია და თანხა ეძვირათ.

თუმცა ეს მხოლოდ ერთი საკითხია და არა ყველაზე მნიშვნელოვანი: როგორც შევიტყვეთ, სანდროს „დნეპრში" ჩარიცხვას, ჯერჯერობით, ხელს სხვა ფაქტორებიც უშლის. „დინამოში" უკრაინელების დამოკიდებულება და კიდევ ბევრი რამ არ მოსწონთ, თორემ, სანდროს წინსვლას ხელი რატომ უნდა შევუშალოთო - დაახლოებით ასეთია „დინამოს" პოზიცია. თუმცა კლუბის ოფიციალური კომენტარი ჩვენთვის უცნობია.

სანდროს თბილისში გამობრუნების რეალურ მიზეზებზე საუბარი ოლეგ პროტასოვთან გვსურდა, მაგრამ ამჯერად, მასთან დაკავშირება ვერ მოხერხდა.

იმედია, საბოლოოდ ყველაფერი მაინც სამივე მხარისთვის მისაღები გარიგებით დასრულდება.

**მერაბ მამულაშვილი**


მარცხნივ სანდრო კობახიძე


ერიკ რომეო ჩასემი სიონს უბრუნდება

# ჩასემი ისრაელიდან ბრუნდება

დღეს **ერიკ რომეო ჩასემი** თბილისში ჩამოვა. „სიონის" კამერუნელი ფორვარდი ისრაელის მეორე ლიგის „ჰაპოელში" ვერ ჩაირიცხა და ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ მიმდინარე სეზონს ბოლნისურ კლუბში ჩაამთავრებს. შეგახსენებთ, ამ რამდენიმე დღის წინათ მან „ზესტაფონთან" ვერ გამონახა საერთო ენა. ჩასემთან ერთად, „სიონში" ზაფხულამდე ალბათ, მისი თანამემამულე **ბოიომო ფრიდოლინიც** დარჩება.

გუშინ მის არყოფნაში „სიონი" ამხანაგურად აზერბაიჯანულ „სიმურგს" გაეჯიბრა და 0:3 განადგურდა. თბილისში მოსული დიდი თოვლის გამო, თამაში ულიმღამო და უაზრო გამოდგა. „სიონის" სამწვრთნელო შტაბი იმითაც კმაყოფილი დარჩა, რომ „სინათლის" სტადიონიდან ყველა ფეხბურთელი უვნებელი გამოვიდა.

„სიონის" სასტარტო შემადგენლობა ასეთი იყო: **ბობლიაშვილი, ქურასბედიანი, სვანიძე, ბოიომო, გუგავა, შავგულიძე, ავალიანი, ბ. ნოზაძე, ბაჯელიძე, ზ. ჭელიძე, შ. ჯიქია.**

როგორც ხედავთ, ქვემოქართლელთა შემადგენლობაში არაერთმა ახალწვეულმა ითამაშა. „სიონმა" უკვე გაუფორმა კონტრაქტები **გუგავას, ავალიანს, ნოზაძესა** და **ჯიქიას. ლევან შავგულიძე** ამ გუნდის ღირსებას წინა სეზონშიც იცავდა, **ზაზა ჭელიძე** კი „ბათუმში" იყო განათხოვრებული. მათ გარდა, „სიონს" **ლაშა ჭელიძეც** დაემატება. შავგულიძის მსგავსად, შარშან ისიც ბოლნისელთა წევრი იყო. კლუბში რჩება **ლევან სანიკიძეც**, რომელიც ირანში აპირებდა წასვლას.

„სიონის" გენერალური მენეჯერის, **ჯემალ ჭიპაშვილის** თქმით, გუნდის დაკომპლექტება ფაქტობრივად, დასრულებულია.

ორ-სამ დღეში თბილისში კიდევ ერთი აზერბაიჯანული კლუბი, „ოლიმპიკი" ჩამოვა და „სიონი" მასთანაც ჩაატარებს ტესტ-მატჩს, სავარაუდოდ, რატევანის სტადიონზე. 5-6 თებერვალს კი ბოლნისელები საქართველოს შავიზღვისპირეთში გაემგზავრებიან შეკრებაზე.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ბათუმს გრიშიკაშვილი სურს

„ბათუმის" მთავარი მწვრთნელის, **ავთანდილ კუნჭულიას** თქმით, დიდია იმის შანსი, რომ **სოსო გრიშიკაშვილმა** კარიერა მის გუნდში გააგრძელოს. შეგახსენებთ, ვეტერანი მეკარე ბოლოს თბილისის „დინამოში" ირიცხებოდა, საიდანაც სათამაშო პრაქტიკის არქონის გამო წამოვიდა. გრიშიკაშვილს თავის დროზე „ბათუმის" ღირსებაც დაუცავს.

საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ აჭარული კლუბის ბიუჯეტიდან დაფინანსების საკითხი დადებითად გადაწყდა და იმის მიუხედავად, რომ სატურნირო ცხრილში ბოლო საფეხურზე არიან, „ბათუმის" წევრები უმაღლეს ლიგაში დარჩენის იმედს არ კარგავენ. სავარაუდოდ, მეორე წრეში გუნდს უფრო ძლიერი, არა მხოლოდ ადგილობრივი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული შემადგენლობა ეყოლება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

GEO FM 95.1
ავტორადიო თბილისი

www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

ლოკომოტივი

# ტრავმები და ნაგებები

თბილისის „ლოკომოტივი“ 22 იანვრიდან თურქეთში ემზადება. **გიორგი კიკნაძის გუნდმა** უკვე ოთხი საკონტროლო შეხვედრა გამართა. გუშინ „ლოკომოტივის“ გუნდის უფროსს, **ირაკლი ჩოთალიშვილს** დავუკავშირდით და თამაშებზე გამოვკითხეთ.

*„პირველი შეხვედრა თურქეთის პირველი ლიგის ერთ-ერთ გუნდთან ფრედ ვითამაშეთ 1:1 (გოლი* **ქუცურუამ** *გაიტანა). მეორე მატჩი ალბანეთის ყველაზე პოპულარულ კლუბ „ტირანასთან“ წავაგეთ - 0:1. მერე გერმანიის რეგიონალლიგის გუნდს შევხვდით და 2:4 წავაგეთ. გუშინ კი ბელორუსიის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ვიტებსკის „ლოკომოტივთან“ 1:2 დავთმეთ. გიორგი კიკნაძეს 31 იანვარს კიდევ ერთი შეხვედრის ჩატარება სურს, მაგრამ სპარინგ-პარტნიორი ჯერ არ შეგვიგულებია,“ -* გვითხრა ჩოთალიშვილმა.

თბილისელები სამშობლოში 3 თებერვალს დაბრუნდებიან და ოთხ დღეში კიდევ ერთ საკონტროლო შეხვედრა ელით - გუნდის დილმის ბაზაზე 14:00 საათზე მათ „ცხინვალი“ დაუპირისპირდება.

ბოლო შეხვედრა „ლოკომოტივმა“ შემდეგი შემადგენლობით ჩაატარა: **ალავიძე - ჩაგელიშვილი გუშარაშვილი, ფოფხაძე, ქუხილავა - ბუდალაშვილი, ქუცურუა გულორდავა, ბარბაქაძე - ალავერდაშვილი, ბახტაძე** ჩოთალიშვილის თქმით, ახალწვეულებიდან თურქეთში გუნდს გაყვნენ **ალეკო კაიდარაშვილი, ზვიად ჩხეტიანი, გიორგი ქუცურუა** და **მიხეილ ალავიძე**. თუმცა კაიდარაშვილი და ჩხეტიანი დაშავდნენ და გუნდს ვერც ერთ შეხვედრაში ვერ დაეხმარნენ.

ანალოგიური მიზეზით, სათადარიგოთა სკამზე ჯდომა უხდება **ირაკლი სამხარაძეს**. თითქოს, ეს არ კმაროდა, ბელორუსებთან ფეხი ცენტრალურმა ცველმა ნიკა გუშარაშვილმა იტკინა და შესაძლოა, მეხუთე საკონტროლო შეხვედრა გამოტოვოს.

აპრილისთვის საგურამოს ბაზაზე უნდა დასრულდეს ხელოვნურსაფარიანი სტანდარტული მოედნის მოწყობა. დღემდე „ლოკომოტივის“ ბაზაზე ორი სტანდარტული ბალახისსაფარიანი მოედანი იყო. ასე რომ, საჭიროების შემთხვევაში, თბილისელები მესამითაც ისარგებლებენ. მთავარია, კარგი ამინდები იყოსო. საქმე ისაა, რომ 20 გრადუსზე ნაკლებ ტემპერატურაზე ხელოვნური საფარის დაგება რეკომენდებული არაა. ინფორმაცია გუნდის გენერალურმა მენეჯერმა **დიმიტრი ობოლაძემ** მოგვაწოდა.

მისივე თქმით, ამ დროისთვის ყველა გასახდელისა და ოთახების კეთილმოწყობაც დასრულდება და „ლოკომოტივი“ დიდებისა და საბავშვო სკოლიანად, საგურამოში გადაბარგდება კეთილმოწყობილ ბაზაზე.

**მერაბ მამულაშვილი**

## მუჯირის დუბლით მოიგეს

გუშინ აზერბაიჯანულმა „ბაქიმ“ თურქულ შეკრებაზე რიგით მეხუთე მატჩი გამართა. „ბაქიმ“ 3:2 დაამარცხა სამხრეთკორეული „იონგ სე“. მატჩში დუბლი შეასრულა ვეტერანმა ქართველმა შემტევმა ნახევარმცველმა **ამირან მუჯირმა**, ხოლო ერთი გოლი არგენტინელმა ფორვარდმა **ფერნანდო პერესმა** გაიტანა. „ბაქი“ თურქეთში შეკრებაზე ხუთ თებერვლამდე რჩება და კიდევ ერთ ამხანაგურ მატჩს გამართავს. შეგახსენებთ, რომ „ბაქიში“ პირველ წრეში ორი ქართველი ლეგიონერი ირიცხებოდა ამირან მუჯირი და **ალექსანდრე გოგობერიშვილი**.

## ამისულაშვილმა და გოგუამ ცალ-ცალკე ითამაშეს

ნალჩიკის „სპარტაკმა“ ორი ამხანაგური მატჩი მოიგო თურქულ შეკრებაზე, ჯერ ყაზახური „ჟეტისუ“ დაამარცხა მინიმალური სხვაობით - 1:0, შემდეგ კი ასევე ყაზახური „ალმა-ატა“ გაანადგურა - 3:0. „ჟეტისუსთან“ მატჩში პირველი ტაიმი ითამაშა **ალექსანდრე ამისულაშვილმა**. „ალმა-ატას“ რბევაში კი მე-60 წუთამდე მონაწილეობდა კლუბში დაბრუნებული **გოგიტა გოგუა**.

## ქართველები აზერბაიჯანში მიდიან

აზერბაიჯანულ „მასალისთან“ ორი პოტენციური ახალწვეული ვარჯიშობს: ბრაზილიელი მცველი **სანტოსი** და ქართველი **ბორის გონჩაროვი**. როგორც აზერბაიჯანული პრესა იტყობინება, კლუბის თავკაც **ფაზილ ასადოვს** გადაწყვეტილი აქვს ორივეს კონტრაქტი შესთავაზოს. აზერბაიჯანულ თემას გავაგრძელებთ და ვიტყვით, რომ „ნეფთჩი“ თურქული შეკრებიდან ესპანურ მარბელიაში გაემგზავრა, ქართველ ნახევარმცველ **გიორგი ადამიასთან** ერთად.

„ყარაბახში“ ერთბაშად სამი ქართველი ფეხბურთელი ისინჯება, ესენია **გიორგი ხუციშვილი, ვალერი ბოლქვაძე** და **მიხეილ კოსტავა**. მწვრთნელი **რასიმ კარა** მათ საკონტროლო მატჩებში გამოცდის.



ზურაბ იონანიძე

# ზესტაფონმა კრივბასს სძლია

თურქეთში მყოფმა „ზესტაფონმა“ მორიგი ამხანაგური შეხვედრა კრივოი როგის „კრივბასის“ წინააღმდეგ ჩაატარა. თამაში საკმაოდ საინტერესო გამოვიდა, გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და საბოლოოდ, ფეროელთა მინიმალური გამარჯვებით, 1:0 დასრულდა. მატჩის ერთადერთი გოლი ვეტერანმა **ზურაბ იონანიძემ** გაიტანა 22-ე წუთზე.

„ზესტაფონმა“ ამ შემადგენლობით ითამაშა: **ჭანტურია (46. რ. კვასხვაძე), ბახტურიძე (46. დაუშვილი), თოდუა (46. ლობჟანიძე), ხიდეშელი (46. შ. ლონლაძე), რ. ონიანი (65. გორგიაშვილი), საჯაია, გ. ნუგ. ჭელიძე (46. ბენაშვილი), კესანი (46. ნ. კვასხვაძე), ვიეირა (46. ხუმარაშვილი), ფიფია (46. გელაშვილი, 75. საცერაძე), იონანიძე (46. ბ. გოცირიძე, 75. გავაშელაშვილი).**

„არკადიის“ თასის გათამაშებაში კი **თემურ მახარაძის** გუნდი ხვალიდან ჩაებმება. ტურნირის მონაწილე რამდენიმე გუნდი შეიცვალა და პირველ შეხვედრაში ვლადიკავკაზის „ალანიის“ ნაცვლად, „ზესტაფონი“ ტაჯიკურ „რეგარ-ტადაზს“ ეთამაშება. ამის შემდეგ იმერული კლუბი რუმინულ „ჩაპლაულსა“ და კორეის წარმომადგენელს დაუპირისპირდება. ცნობისათვის, მეორე ჯგუფში „ალანია“, უნგრული „ჰონვედი“ და **რევაზ ძოძუაშვილის** მიერ გაწვრთნილი ყარაღანდის „შახტიორი“ ითამაშებენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ავმა ძაღლმა არც თვითონ ჭამა...

## გიგიაძეს უგუნდოდ ტოვებენ?

**ვასილ გიგაძე** ისევ უკლუბოდაა და გაზაფხულიდან სად ითამაშებს, ჯერაც უცნობია. ის შემოდგომით ახტირკის „ნეფტიანიკში“ იჯარით გადაიყვანეს და კაპიტნობა უბოძეს. სამწუხაროდ, „ნეფტიანიკში“ ვერ ათამაშდა, ბოლოს, ძირითადი შემადგენლობაშიც აღარ აყენებდნენ და კაპიტნობაც ჩამოართვეს.

. თუმცა უკრაინული მედია რეალურ მიზეზებზე დუმდა. მიზეზი კი არა გიგიაძის ფორმიდან ამოვარდნა, არამედ მთავარი მწვრთნელის ძველი წყენა გახლდათ. ვასოსდა სავალალოდ, ახტირკაში მთავარი მწვრთნელი კრივოი როგის „კრივბასიდან“ ჩამოყვანილი **ვალერი გოროდოვი** გახდა. ეს ის კაცია, რომელთანაც (ისევე როგორც, ოლეგ ტარანთან) გიგიაძეს კონფლიქტი „კრივბასში“ მოუვიდა და წამოვიდა. მოკლედ, გოროდოვი „ალმართში“ დაეწია.

უკრაინული „სპორტ-ექსპრესი“ გოროდოვს ფეხბურთელის მომავალზე ესაუბრა, რა ხდება გიგიაძის თავს, იქნებ გაგვიმხილოთო. მან პირდაპირ პასუხს თავი აარიდა. *„უმჯობესი იქნება, თუკი ამ საკითხზე გუნდის ხელმძღვანელობას დაელაპარაკებითო“* - ასეთი ლაკონური სიტყვებით პასუხისმგებლობა თავიდან აიცილა.

სამწუხაროა, რომ უკრაინის ჩემპიონატების ისტორიაში ერთ-ერთ გამორჩეულ ფორვარდს ბოლო ერთი წელია თამაშის და ნორმალურ გარემოში ვარჯიშის საშუალება არ ეძლევა. გოროდოვის ახირებამ მას ძვირფასი დრო გააცდენინა.

ცალკე კრივოი როგელთა ხელმძღვანელობაა გაბრაზებული. შარშან ბუქარესტის „დინამოში“ გადასულ ქართველს ტრანსფერი ჩაუშალეს, კარიერის დასასრულს ორიოდე კაპიკის შოვნის საშუალება არ მისცეს და ახლაც ვერ ელევიან - ლუგანსკის „ზარიას“ მთავარმა მწვრთნელმა **ალექსანდრ კოსევიჩმა** გიგიაძის ფასი მშვენივრად იცის, მაგრამ კრივოი როგელები მილიონ დოლარს ითხოვენ და არა ნახევარ მილიონს, როგორც პრესით ამტკიცებდნენ.

**მერაბ მამულაშვილი**



მარცხნიდან მარჯვნივ: ლადო ხარაიძე, თორნიკე ჩიხრაძე, ნიკო პატარქალიშვილი, გიორგი გოგოლაშვილი და გიორგი კიკნაძე.

# ოთხი ფეხბურთელი არგენტინაში მიდის ედუარდო დელგადოსთან

## პროექტი „ARGENT-GEORGIA“ 2010-2014

საფეხბურთო დონის ასამაღლებლად ხვიჩა მურღულიას, ვასილ აფციაურს, გიგი თარყაშვილსა და ვალერი აგაჯანოვს, არგენტინაში კიდევ ოთხი ფეხბურთელი დაემატებათ:

1. გოგოლაშვილი გიორგი, დაბადებული 1990 წლის 1 იანვარს. ცენტრალური მცველი. ფეხბურთის თამაში დაიწყო 10 წლისამ საფეხბურთო კლუბ „ნორჩ დინამოელში“. მისი მწვრთნელი იყო თამაზ სამხარაძე;
2. კიკნაძე გიორგი, დაბადებული 1991 წლის 22 სექტემბერს. მარჯვენა ნახევარმცველი. ფეხბურთის თამაში დაიწყო, საფეხბურთო კლუბ „მთვარის გლობუსში“ 9 წლისამ. მისი მწვრთნელი იყო რევაზ გვარაკიძე;
3. ხარაიძე ლადო, დაბადებული 1988 წლის 4 ივლისს. ცენტრალური ნახევარ მცველი. ფეხბურთის თამაში დაიწყო საფეხბურთო კლუბ „ნორჩ დინამოელში“, ნოდარ ხიზანიშვილის მწვრთნელობით.
4. ჩიხრაძე თორნიკე, დაბადებული 1992 წლის 8 ივლისს. ნახევარმცველი. 9 წლის ასაკიდან თამაშობს ფეხბურთს. მისი მწვრთნელები იყვნენ მამუკა მურჯიკნელი და კახა ბექაური.

ამ ფეხბურთელებმა ამა წლის 23 იანვარს, მიიღეს არგენტინის ვიზები და 2 თებერვალს გაემგზავრებიან არგენტინაში.

პროექტი „Argent-Georgia“ 2010-2014 ითვალისწინებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას არგენტინაში, რომელიც მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს საქართველოს ნაკრები გუნდების გაძლიერებას და წარმატებით მონაწილეობას ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების შესარჩევ მატჩებში.

მიმდინარე წლის მარტსა და მაისში ედუარდო დელგადო კიდევ მიიწვევს ფეხბურთელებს მოსამზადებლად.

**ნიკო პატარქალიშვილი**
**პროექტის „ARGENT-GEORGIA“ 2010-2014 ხელმძღვანელი**

ინგლისი. პრემიერლიგა. XXIV ტური

# ადებაიორი, 9 გოლი ბოლო 7 შეხვედრაში

## რონალდო სრული სვლით და კრიზისი ნიუკასლსა და ლივერპულში...



ჩელსი-რედინგი. არისტოკრატების ერთადერთი გოლი მიხაელ ბალაკმა გაიტანა

"არსენალის" ბედად, ტოგოს ნაკრებმა აფრიკის ერთა თასზე ვერ გაალწია, თორემ **ემანუელ ადებაიორი**, დანარჩენი აფრიკელი ლეგიონერების მსგავსად, ახლა განაში იქნებოდა. ფორვარდი დროს ბევრად უფრო ნაყოფიერად იყენებს. მან ინგლისის ჩემპიონატსა და სათასო ტურნირებში, ბოლო შვიდ შეხვედრაში ცხრა გოლი შეაგდო. ადებაიორი ასეთ ფორმაში არასოდეს ყოფილა. ამ სეზონში მან უკვე 19 გოლს მოუყარა თავი.

ლონდონელებმა "ნიუკასლს" ოთხ დღეში ორჯერ მოუგეს. ჯორდებმა ექვსი უპასუხო ბურთი გაუშვეს. აქედან ნახევარი ადებაიორის საჩუქარი იყო. **კევინ კიგანმა** სასწაული ვერ მოახდინა. გუნდი ახლა უფრო ღრმა კრიზისშია, ვიდრე მის დანიშვნამდე იყო. ჯორდებმა ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით მესამე მატჩი ჩაატარეს, ორი წააგეს (ორივე "არსენალთან"), ვერ გაიტანეს ვერც ერთი გოლი და მხოლოდ ორჯერ დაარტყეს მეტოქის კარის ჩარჩოში.

კიგანის თაფლობის თვე ახლა ნამდვილად დამთავრდა. "ნიუკასლს" არათუ ევროპული ტურნირები და მეოთხე ადგილი, არამედ გავარდნ ზონაში მოხვედრა ემუქრება. ეს პერსპექტივა ახლა უკვე რეალურია. თუ ასე გაგრძელდა, "სენტ ჯეიმს პარკზე" საყოველთაო დეპრესია გამეფდება. კიგანი ნდობას ძალიან მალე დაკარგავს და ჯორდები მათ საყვარელ საქმიანობას, ახალი მწვრთნელის ძებნას შეუდგებიან.

"არსენალთან" გუშინწინდელ შეხვედრას **დენის უაიზი** დაესწრო. ის "ნიუკასლის" მთავარი მწვრთნელის ასისტენტი კი არა, სპორტული დირექტორი იქნება. უაიზი ტრიბუნაზე კლუბის თავმჯდომარე **კრის მორტსა** და ახალ ვიცე-პრეზიდენტ **ტონი ხიმენესს** შორის იჯდა. კიგანის მსგავსად, არც მას გაუჭირდებოდა იმის გაცნობიერება, თუ რა მოცულობის სამუშაო აქვს შესასრულებელი. უაიზი ცუდ დროს დაინიშნა. იანვრის სატრანსფერო ფანჯრისას ის ერთი ფეხბურთელის შეძენასაც კი ვერ მოასწრებს.

დღევანდელი "ნიუკასლი" ერთი ჩვეულებრივი საშუალოზე საშუალო კლასის ევროპული კლუბია. მას ვარსკვლავები ჰყავს, რომლებიც მაღალი დონის ფეხბურთს ვერ თამაშობენ. **მაიკლ ოუენი** და **ალან სმიტი** საკუთარი თავის აჩრდილებს ჰგავდნენ. ნახევარდაცვამ მეტოქეს წინააღმდეგობა ვერ გაწია, ხოლო დაცვის ხაზში იმხელა სივრცეები რჩებოდა, რომ ადებაიორი თავის ნებასურვილზე მოქმედებდა.

"არსენალმა" თამაში აქტიურად დაიწყო. მეშვიდე წუთზე **გაელ კლიშიმ** პირველი მომენტი შექმნა. მან **სესკ ფაბრეგასისაგან** კარგი პასი მიიღო, მაგრამ საჯარიმოში **სტივ ტეილორი** გადაელობა და ვერ დაარტყა. მე-17 წუთზე **ალექსანდრ გლებმა** მარჯვენა ფლანგიდან მეტოქის საჯარიმოში ჩააწოდა. აბუ დიაბი დასარტყმელად მოემზადა, მაგრამ **ნიკი ბატმა** საიმედოდ ითამაშა და მდგომარეობა განმუხტა.

რამდენიმე წუთში "ნიუკასლის" გოლკიპერმა **შეი გივენმა** და ცენტრალურმა მცველმა ტეილორმა კინაღამ საბედისწერო შეცდომა დაუშვეს. ირლანდიელმა მეკარემ საკუთარ საჯარიმოში რისკიანად ითამაშა. მან თანაგუნდელს ქუსლით გაუგორა ბურთი. ადებაიორს პასის ჩაჭრამდე სულ ცოტა დააკლდა.

"არსენალის" იერიშები არ შეწყვეტილა: **სტივ კარმა ბაკარი სანიას** გამჭოლი პასი ჩაჭრა. ბურთი "ნიუკასლის" მეკარის საჯარიმოში **ედუარდო სილვას** უნდა მისვლოდა. კარის დროული ჩარევა რომ არა, გოლი გარდაუვალი იქნებოდა.

გლებისა და ფლამინის კომბინაცია საჯარიმოში მორიგი ჩაწოდებით დასრულდა. ბურთს ადებაიორი გამოეხმაურა. მისი თავური კარს ზემოდან გადაევლო. მე-40 წუთზე ტოგოელმა მაინც გახსნა ანგარიში (სხვათა შორის, ზედიზედ მესამე შეხვედრაში). საგოლე პასი ფლამინიმ ჩაიწერა აქტივში. ის ნიკი ბატს გასცდა. მეტოქის საჯარიმოს მარჯვენა ფრთიდან მიუახლოვდა და შორ ძელთან ჩააწოდა. ადებაიორს ხელი არავინ შეუშალა, 1:0. ტაიმის მიწურულს ფლამინი საკუთარ საჯარიმოსთან გაჩნდა და მან **ჯეიმს მილნერის** სახიფათო იერიში შეაჩერა.

"ნიუკასლი" ტემპის მომატებას შეეცადა. მეორე ტაიმში კიგანმა **ჯოი ბარტონი** გამოიყვანა, მაგრამ მინდორზე არაფერი შეცვლილა. 67-ე წუთზე ფლამინიმ მარჯვენა დაბალ კუთხეში დაარტყა. გივენმა საიმედოდ ითამაშა. მატჩის დასრულებამდე 20 წუთით ადრე ედუარდო **ნიკლას ბენდტნერმა** შეცვალა. ის ადებაიორს შეუწყვილდა. შეგახსენებთ, ამ ფეხბურთელებმა "ტოტენჰემთან" სათასო მატჩისას (1:5) სერიოზულად იჩხუბეს.

რამდენიმე წუთში არსენალმა მეორე გოლი გაიტანა. ფაბრეგასმა დიაბის მარჯვენა ფლანგზე გადააწოდა ბურთი. დიაბიმ ფლამინი მოძებნა. ფრანგმა ნახევარმცველმა კარგად დაუმიზნა და 25 იარდიდან გამეტებით დასცხო, 2:0. თამაშის დასრულებამდე ათი წუთით ადრე ფაბგერასმა ბენდტნერის პასით ისარგებლა და შეაგდო. ეს მისი პირველი გოლი გახლდათ ბოლო ორ თვეში და ამავე დროს, მე-12 გოლი ამ სეზონში. "ნიუკასლმა" ანგარიშის დასველებაც ვერ მოახერხა. ნიკი ბატის დარტყმის შემდეგ ბურთი ხარიხას მოხვდა...

**როი ჰოჯსონმა** "ფულჰემის" მთავარი მწვრთნელის რანგში პირველი ქულა მოიპოვა - 0:0 "ბოლტონთან", მაგრამ მისი შეგირდები ისევ გასაჭირში არიან. მათ პრემიერლიგის 23 მატჩში მხოლოდ ორი გამარჯვება აქვთ და გასავარდნ ზონაში ბინადრობენ. ჰოჯსონი იმიტომ მიიწვიეს, რომ გუნდი გადაარჩინოს, მაგრამ ფულჰემმა მისი ხელმძღვანელობით, პრემიერლიგაში ზედიზედ სამი მატჩი წააგო, ასოციაციის თასზე "ბრისტოლმა" დაამარცხა და რა თქმა უნდა, ამ ტურნირსაც გამოეთიშა. სადებიუტო მატჩები ჩაატარეს "ფულჰემის" ახალწვეულებმა - **ბრედე ჰანგელანდმა** და **ლეონ ანდრეასენმა**. მომდევნო ტურში ლონდონელებს კიდევ ორი ახალი ფეხბურთელი ეყოლებათ - **ედი ჯონსონი** და **ერიკ ნევლანდი**. ფულჰემელებს იმედი აქვთ, რომ 2001 წლის შემდეგ პირველად უმაღლეს დივიზიონს არ დატოვებენ. შვიდი წლის წინ ისინი პრემიერლიგაში **ჟან ტიგანამ** გადაიყვანა...

"მიდლსბრომ" "ვიგანს" მინიმალური ანგარიშით მოუგო. რივერსაიდელები უფრო მეტს იმსახურებდნენ, მაგრამ მათი თავკაცი **გარეთ საუთგეიტი** ამითაც კმაყოფილი იყო. ერთადერთი გოლი **ჟერემი ალიადიერმა** გაიტანა. მომდევნო ტურში "ბოროს" ბრაზილიელი თავდამსხმელი **აფონსო ალვეში** დაემატება. "ჰერენვეენის" ყოფილმა ფორვარდმა გოლების პრობლემა უნდა გადაჭრას...

"სანდერლენდმა" ბირმინგემს 2:0 სძლია. პირველი გოლი შვედმა ახალწვეულმა **რადე პრიცამ** შეაგდო. **როი კინმა** მინდორზე კიდევ ერთი ახალი ფეხბურთელი გამოიყვანა - მარჯვენა მცველი **ფილ ბერდსლი**, რომელმაც ასევე კარგი შთაბეჭდილება დატოვა...

წუხანდელ მატჩებში მოულოდნელი შედეგები არ დაფიქსირებულა. "მანჩესტერ იუნაიტედმა" საკმაოდ იოლად სძლია "პორტსმუთს". **კრისტიანო რონალდომ** დუბლი სამ წუთში მიითვალა. პირველად ნანის პასით მეკარესთან პირისპირ დავიდა და დაბალ კუთხეში გაიტანა, ხოლო მეორედ დაახლოებით 25 იარდში დანიშნული ჯარიმა ცხრიანში ჩააჭედა. მან პრემიერლიგაში 19 გოლი დააგროვა. ყველა ტურნირში კი - 26. თუ კრისტიანო ინგლისის პირველობაზე კიდევ 11 გოლს გაიტანს, მთავარი მწვრთნელისაგან დაპირებულ საჩუქარს მიიღებს - მას ხელფასს გაუზრდიან. **სერ ალექს ფერგიუსონმა** ამის შესახებ პირადად განაცხადა...

"ლივერპულის" "ვესტ ჰემთან" წაგებას ძნელად თუ შეიძლება დაერქვას მოულოდნელი. გუნდს პრემიერლიგაში "ბოქსინგ დეის" (26 დეკემბერი) მერე არ მოუგია. მერსისაიდულ გრანდში კრიზისია. კრიზისის ნიშანი იყო ინგლისის ასოციაციის თასზე 100 პროცენტით სამოყვარულო "ჰავანტ ენდ ვოტერლუვილთან" გაჭირვებით მოპოვებული გამარჯვებაც. "ვესტ ჰემმა" "ლივერპულს" 1999 წლის შემდეგ პირველად მოუგო, მოუგო ერთადერთი გოლით, რომელიც **მარკ ნობლმა** მსაჯისაგან დამატებულ წუთებზე 11-მეტრიანით გაიტანა. საქმე აქამდე არ მივიდოდა, ლუიშ ბოა მორტეს რომ მეტი ოსტატობა ჰქონოდა. მან ორი ასპროცენტიანი მომენტი გაატანა ქარს და როცა შეცვალეს, ფაქტობრივად არავის დაუკრავს ტაში. "ვესტ ჰემმა" იცოდა, რომ გამარჯვების თუ დამარხების შემთხვევაში, ცხრილში მე-10 ადგილზე დარჩებოდა. ამის მიუხედავად, ძალიან მონდომა და მიაღწია კიდეც მაქსიმალურ შედეგს. მაყურებელი სტვენით შეხვდა **იოსი ბენაიუნს**, რომელიც "ლივერპულში" გასულ ზაფხულს, "ვესტ ჰემიდან" გადავიდა. ბენაიუნი, **სტივ ჯერარდი** და **სემი ჰიიპია** - აი, ის სამი ფეხბურთელი, რომელიც რაფა ბენიტესმა სათასო მატჩის შემდეგ არ შეცვალა. დანარჩენი 8 მოთამაშე დასვენებული იყო. ესპანელი მწვრთნელი როტაციას ვითომდა ფეხბურთელების დასვენებისათვის მიმართავს, რათა მათ ძალები მომქანცველ სეზონზე თანაბრად გაანაწილონ, მაგრამ ასეთ საკადრო პოლიტიკას შედეგი არ მოაქვს, პრემიერლიგაში მაინც...

მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვა "ჩელსიმაც". ის ერთადერთი კლუბია, რომელსაც "არსენალისა" და "მანჩესტერ იუნაიტედის" საჩემპიონო დავაში ჩართვა შეუძლია. "არისტოკრატებმა" შინ "რედინგი" დაამარცხეს. გოლი **მიხაელ ბალაკმა** 33-ე წუთზე გაიტანა. საგოლე პასი **პაულო ფერეირამ** ჩაიწერა აქტივში. შეიძლება, ვინმე უფრო შთამბეჭდავ გამარჯვებას ელოდა, მაგრამ სამი ქულის მოსაპოვებლად ეს ანგარიშიც საკმარისია. თანაც, "ჩელსიმ" ყველა ტურნირში ზედიზედ მეცხრე გამარჯვება მოიპოვა, რაც საკლუბო რეკორდია. წინა რეკორდი, ზედიზედ რვა მოგება, **ჟოზე მოურინიომ** ორი წლის წინ დაამყარა. "არისტოკრატებმა" საკუთარ მოედანზე წაუგებელი სერია 75 მატჩამდე აიყვანეს.

დანარჩენ ორი შეხვედრა ფრედ დასრულდა: "დერბიმ" "მანჩესტერ სიტისთან" გაიყო ქულება, ხოლო "ევერტონმა" - "ტოტენჰემთან".

### არსენალი-ნიუკასლი 3:0

**არსენალი:** ალმუნია, კლიში, გალასი, სანია, სენდეროსი, დიაბი (77. ჟილბერტო სილვა), ფაბრეგასი, ფლამინი, გლები, ადებაიორი (82. უოლკოტი), ედუარდო და სილვა (71. ბენდტნერი).

**ნიუკასლი:** გივენი, კასაპა, კარი, როზენალი (57. ბარტონი), ს. ტეილორი, ბატი, დაფი, მილნერი (73. ამეობი), ნ'ზოგბია, ოუენი, ა. სმიტი.

**გოლები:** 1:0 ადებაიორი (40), 2:0 ფლამინი (72), 3:0 ფაბრეგასი (80)

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 10(4)-8(3); **კუთხური:** 4-2; **თამაშგარე:** 1-8; **ჯარიმა:** 11-15; **ბურთის ფლობა:** 64%-36%

**მაყურებელი:** 60 127

### მიდლსბრო-ვიგანი 1:0

**მიდლსბრო:** შვარცერი, გრაუნდსი, პუტი, უიტერი, იანგი, არკა, დაუნინგი (89. კატერმოლი), ო'ნილი, როშემბაკი, ალიადიერი (72. ა. ჯონსონი), თუნჯაი (34. მიდო).

**ვიგანი:** კირკლენდი, ბრემბლი, მელხიოტი, შარნერი, ბრაუნი, კილბეინი, პალასიოსი, ვალენსია, ბენტი (75. სიბირსკი), ჰესკი, კინგი (53. კუმასი).

**გოლი:** 1:0 ალიადიერი (19)

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 7(3)-11(6); **კუთხური:** 4-9; **თამაშგარე:** 6-1; **ჯარიმა:** 12-14; **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 22 963

### ბოლტონი-ფულჰემი 0:0

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, მიხალიკი, ჯ. ო'ბრაიენი (46. კოენი), ე. ო'ბრაიენი, სტეინსონი, გარდნერი, გატრი (68. თეიმურიანი), მაკანი, ნოლანი, მ. ტეილორი (83. ჰელგუსონი), კ. დევისი.

**ფულჰემი:** ნიემი, ანდრეასენი, ბერდი, ჰანგელანდი, ა. პიზი, კონჩესკი, ფოლცი (74. კრისტანვალი), ბალარდი (87. ბუაზა), ს. დევისი, დემპსი, დენი მერფი.

**გაფრთხილება:** 0-0; **დარტყმა:** 15(4)-10(4); **კუთხური:** 4-2; **თამაშგარე:** 1-5; **ჯარიმა:** 11-14; **ბურთის ფლობა:** 48%-52%

**მაყურებელი:** 17 732

### სანდერლენდი-ბირმინგემი 2:0

**სანდერლენდი:** გორდონი, ბერდსლი, კოლინზი, ევანსი, ნოსუორთი, მილერი, უაიტბრედი, იორკი (46. პრიკა), ჯონსი, დერილ მერფი, სტოკსი (63. ო'დონოვანი).

**ბირმინგემი:** მ. ტეილორი, კელი, კოდრუ, რიდგველი, შმიტცი, დ. ჯონსონი, კაპო, ლარსონი (66. ფორსელი), მუამბა, ჯერომი (66. სარატე), მაკფადენი,

**გოლები:** 1:0 დერილ მერფი (15), 2:0 პრიკა (65)

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 9(6)-5(2); **კუთხური:** 4-8; **თამაშგარე:** 1-0; **ჯარიმა:** 9-18; **ბურთის ფლობა:** 45%-55%

**მაყურებელი:** 37 674

### ჩელსი-რედინგი 1:0

**ჩელსი:** ჩეხი, ალექსი, ბრიჯი, რიკარდო კარვალიო, პაულო ფერეირა, ბალაკი, ჯ. კოული, მაკელელე, მალუდა (76. პისარო), რაიტ-ფილიპსი (85. სიდველი), ანელკა.

**რედინგი:** ჰანემანი, ინგიმარსონი, მარტი, შორი, კ. სისე, კონვეი (85. როსენიორი), ჰარპერი, ჰანტი, ოსტერი (81. მატეიოვსკი), დოილი, ლიტა.

**გოლი:** 1:0 ბალაკი (32)

**გაფრთხილება:** 0-0; **დარტყმა:** 18(11)-10(2); **კუთხური:** 10-9; **თამაშგარე:** 1-0; **ჯარიმა:** 14-9; **ბურთის ფლობა:** 74%-26%

**მაყურებელი:** 41 171

### დერბი-მანჩესტერ სიტი 1:1

**დერბი:** პრაისი, კ. დევისი (69. ტოდი), ედვორთი, ლიკოკი, მური, გალი, პირსონი (83. ბარნსი), სევიჯი, ირნშოუ (88. ვილა), ფეგანი, მილერი.

**მანჩესტერ სიტი:** ჰარტი, ბოლი, კორლუკა, დანი, სუნ ჟიჰაი, ჟელსონი, ირლანდი, მ. პეტროვი, ეტუჰუ (55. ელანო), სტარიჯი (72. ჯოვანი), ვასელი (79. ე. მპენზა).

**გოლები:** 1:0 სუნ ჟიჰაი (47-საკ. კარში), 1:1 სტარიჯი (63)

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 13(6)-11(5); **კუთხური:** 6-5; **თამაშგარე:** 4-5; **ჯარიმა:** 11-11; **ბურთის ფლობა:** 53%-473%

**მაყურებელი:** 31 368

### ვესტ ჰემი-ლივერპული 1:0

**ვესტ ჰემი:** გრინი, ა. ფერდინანდი, მაკარტნი, ნილი, აპსონი, ბოუიერი (58. ეშტონი), ლიუნგბერგი, მულინზი, ნობლე, ბოა მორტე (59. ეთერინგტონი), კ. კოული (81. სპექტორი).

**ლივერპული:** რეინა, ფაბიო აურელიო, კარაგერი, ფინენი, ჰიიპია, ჩაბი ალონსო, ბენაიუნი (72. ბაბელი), ჯერარდი, კოული (61. ლუკასი), კუიტი, ფერნანდო ტორესი.

**გოლი:** 1:0 ნობლე (90-პენ)

**გაფრთხილება:** 0-3; **დარტყმა:** 8(2)-13(5); **კუთხური:** 4-6; **თამაშგარე:** 1-2; **ჯარიმა:** 11-19; **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 34 977

### ევერტონი-ტოტენჰემი 0:0

**ევერტონი:** ჰოვარდი, ბეინსი, ლესკოთი, ფ. ნევილი, ნუნუ ვალენტე, არტეტა, კარსლი, ფერნანდესი, იაგიელკა, ანიჩებე (71. ვონი), ე. ჯონსონი.

**ტოტენჰემი:** ჩერნი, შიმბონდა, გუნტერი (62. ბოატენგი), ვუდგეიტი, ჰადლსტოუნი, ჯენასი, ლენონი, მალბრანკი, ო'ჰარა, ბერბატოვი, კინი.

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 12(6)-5(4); **კუთხური:** 7-2; **თამაშგარე:** 0-2; **ჯარიმა:** 14-12; **ბურთის ფლობა:** 49%-51%

**მაყურებელი:** 29 000

### მანჩესტერ იუნ-პორტსმუთი 2:0

**მანჩესტერ იუნ:** ვან დერ სარი, ბრაუნი, ევრა, რ. ფერდინანდი, ვიდიჩი, ქერიქი, ნანი, რონალდო (73. პარგრივზი), სქოულზი (62. ანდერსონი), ჟი-სუნ პარკი, რუნი (73. ტევესი).

**პორტსმუთი:** დ. ჯეიმსი, ს. კემპბელი, დისტენი (46. პრეიდარსონი), გ. ჯონსონი, ლორენი (46. მვუემბა), პამარო, შ. დევისი, ლ. დიარა, კრანჩარი, ბაროში (78. რ. პიუზი), ბენჯანი.

**გოლები:** 1:0 რონალდო (10), 2:0 რონალდო (13)

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 27(14)-4(3); **კუთხური:** 5-3; **თამაშგარე:** 3-0; **ჯარიმა:** 9-11; **ბურთის ფლობა:** 60%-40%

**მაყურებელი:** 75 415

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩ. იუნ | 24 | 18 | 3 | 3 | 48-11 | 57 |
| 2. არსენალი | 24 | 17 | 6 | 1 | 49-17 | 57 |
| 3. ჩელსი | 24 | 16 | 5 | 3 | 37-16 | 53 |
| 4. ევერტონი | 24 | 13 | 4 | 7 | 40-23 | 43 |
| 5. ასტონ ვილა | 24 | 11 | 8 | 5 | 43-31 | 41 |
| 6. მანჩესტერ ს | 24 | 11 | 8 | 5 | 31-25 | 41 |
| 7. ლივერპული | 23 | 10 | 10 | 3 | 37-17 | 40 |
| 8. ბლექბერნი | 24 | 10 | 8 | 6 | 32-31 | 38 |
| 9. პორტსმუთი | 24 | 10 | 7 | 7 | 34-25 | 37 |
| 10. ვესტ ჰემი | 23 | 10 | 6 | 7 | 29-21 | 36 |
| 11. ტოტენჰემი | 24 | 7 | 7 | 10 | 44-40 | 28 |
| 12. ნიუკასლი | 24 | 7 | 6 | 11 | 27-42 | 27 |
| 13. მიდლსბრო | 24 | 6 | 7 | 11 | 21-37 | 25 |
| 14. სანდერლ. | 24 | 6 | 5 | 13 | 24-42 | 23 |
| 15. ბოლტონი | 24 | 5 | 7 | 12 | 24-34 | 22 |
| 16. რედინგი | 24 | 6 | 4 | 14 | 30-50 | 22 |
| 17. ბირმინგემი | 24 | 5 | 5 | 14 | 23-36 | 20 |
| 18. ვიგანი | 24 | 5 | 5 | 14 | 23-40 | 20 |
| 19. ფულჰემი | 24 | 2 | 10 | 12 | 23-42 | 16 |
| 20. დერბი | 24 | 1 | 5 | 18 | 12-51 | 8 |

**ბომბარდირები:** 19 - რონალდო (მანჩესტერ იუნ); 16 - ადებაიორი (არსენალი); 12 - ბენჯანი (პორტსმუთი); 11 - სანტა კრუსი (ბლექბერნი), ფერნანდო ტორესი (ლივერპული), კინი (ტოტენჰემი); 10 - ტევესი (მანჩესტერ იუნ), ანელკა (ჩელსი); 9 - აიეგბენი (ევერტონი); 8 - ბერბატოვი (ტოტენჰემი); 7 - ჯერარდი (ლივერპული), ფაბრეგასი (არსენალი).

### ჩემპიონატი

XXIX ტური

**ლესტერი-კრ. პალასი 1:0**

გოლი: 1:0 პელსი (89)

**ბარნსლი-კოლჩესტერი 1:0**

გოლი: 1:0 მაკენი (45)

**კარდიფი-ქუინზ პარკი 3:1**

გოლები: 1:0 ლედლი (12), 2:0 ლედლი (40), 3:0 პერი (57), 3:1 ეფრაიმი (76)

**ჩარლტონი-სტოკი 1:0**

გოლი: 1:0 სემი (83)

**ჰალი-კოვენტრი 1:0**

გოლი: 1:0 ფოლანი (90)

**იფსვიჩი-პლიმუტი 0:0**

**პრესტონი-ვესტ ბრომვიჩი 2:1**

გოლები: 1:0 მავენე (6), 1:1 გერა (50), 2:1 პაოლი (72)

**შეფილდი-უოტფორდი 1:1**

გოლები: 0:1 ელინგტონი (21), 1:1 კარნი (67)

**საუთჰემპტონი-ნორვიჩი 0:1**

გოლი: 0:1 ევანსი (45)

**ვულვზი-უენსდი 2:1**

გოლები: 1:0 კეოგი (11), 1:1 ტადგეი (19), 2:1 ებენქს-ბლეიკი (90)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვესტ ბრომვ. | 29 | 15 | 6 | 8 | 63:37 | 51 |
| 2. ბრისტოლი | 29 | 14 | 9 | 6 | 36:34 | 51 |
| 3. უოტფორდი | 29 | 14 | 7 | 8 | 46:37 | 49 |
| 4. ჩარლტონი | 29 | 13 | 8 | 8 | 42:33 | 47 |
| 5. სტოკი | 29 | 12 | 11 | 6 | 46:36 | 47 |
| 6. კრ. პალასი | 29 | 11 | 11 | 7 | 36:28 | 44 |
| 7. კარდიფი | 29 | 11 | 10 | 8 | 40:36 | 43 |
| 8. ბარნსლი | 29 | 11 | 10 | 8 | 38:36 | 43 |
| 9. ვულვზი | 29 | 11 | 10 | 8 | 28:27 | 43 |
| 10. იფსვიჩი | 29 | 11 | 9 | 9 | 45:37 | 42 |
| 11. ჰალი | 28 | 11 | 8 | 9 | 34:32 | 41 |
| 12. პლიმუტი | 29 | 10 | 10 | 9 | 36:31 | 40 |
| 13. საუთჰემპტ | 29 | 10 | 7 | 12 | 37:46 | 37 |
| 14. ბარნსლი | 29 | 9 | 10 | 10 | 35:41 | 37 |
| 15. შეფილდი | 29 | 9 | 9 | 11 | 32:34 | 36 |
| 16. ნორვიჩი | 29 | 9 | 8 | 12 | 28:35 | 35 |
| 17. ბლეკპული | 29 | 8 | 10 | 11 | 36:37 | 34 |
| 18. ლესტერი | 29 | 7 | 13 | 9 | 28:27 | 34 |
| 19. ქუინზ პარკი | 29 | 8 | 9 | 12 | 34:43 | 33 |
| 20. კოვენტრი | 28 | 9 | 5 | 14 | 30:45 | 32 |
| 21. უენსდი | 28 | 9 | 4 | 15 | 31:36 | 31 |
| 22. პრესტონი | 29 | 8 | 6 | 15 | 29:37 | 30 |
| 23. სკანთორპი | 29 | 6 | 9 | 14 | 28:45 | 27 |
| 24. კოლჩესტერი | 28 | 5 | 11 | 12 | 39:47 | 26 |

**ბომბარდირები:** 16 - ფილიპსი (ვესტ ბრომვიჩი); 13 - მორისონი (კრ. პალასი), ბიტი (შეფილდი), ებენქს-ბლეიკი (პლიმუტი); 12 - ფულერი (სტოკი); 11 - გრეი (ბარნსლი), კინგი (უოტფორდი); 10 - კუნაგო (იფსვიჩი), პატერსონი (სკანთორპი), ჰენდერსონი (უოტფორდი), უოლტერსი (იფსვიჩი), ჰოვარდი (ბარნსლი).

### I დივიზიონი

XXIX ტური

ჩელტენემი-მილუოლი 0:1; ქრიუ-როვერსი 1:1; დონკასტერი-ჰარტლპული 2:0; ჰადერსფილდი-ბორნმუთი 1:0; ლუტონი-სუინდონი 0:1; ნორთჰემპტონი-ბრაიტონი 1:0; ნოტინგემი-სუონსი 0:0; ოლდჰემი-კარლაილი 2:0; პორტ ვეილი-იეოვილი 2:2; საუთენდი-ლიდსი 1:0; ტრანმერი-ჯილინგემი 2:0; უოლსოლი-ლეიტონი 0:0.

### II დივიზიონი

XXIX ტური

დარლინგტონი-აკრინგტონი 1:0; ბრედფორდი-შრიუსბერი 4:2; ბრენტფორდი-ნოტსი 0:0; ჩესტერი-როჩდეილი 0:4; გრიმსბი-ბერი 1:0; ლინკოლნი-მენსფილდი 1:2; მილტონი-მაკლსფილდი 1:1; მორეკამბი-რექსჰემი 2:2; პიტერბრო-როტერჰემი 3:1; სტოკპორტი-ჩესტერფილდი 2:2; უიკომბი-დაგენჰემი 0:1; ჰერეფორდი-ბარნეტი 1:2.

### კონფერენსი

XXVIII ტური

ტორკი-ჰისტონი 1:0; ალდერშოტი-ოქსფორდი 1:0; ბარტონი-რაშდენი 2:1; კემბრიჯი-ექსეტერი 0:1; ქროული-გრეისი გადაიდო; უეიმაუთი-ფარსლი გადაიდო; ალტრინჩემი-უოკინგი.

ვარსკვლავი

# ბექჰემის აკადემია ბრაზილიაში

## დევიდი და რუბენს ბარიკელო ბრაზილიელი ბავშვების მომავალზე იზრუნებენ...



დევიდ ბექჰემი

**დევიდ ბექჰემი** ბრაზილიაში საფეხბურთო აკადემიას გახსნის. უზარმაზარი სპორტული კომპლექსი ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთში, საკურორტო ქალაქ ნატალში აშენდება. ეს განცხადება ინგლისელმა გალაქტიკომ პროექტის პრეზენტაციისას გააკეთა. ის პირადად ემყოფებოდა ბრაზილიაში, რათა სამშენებლო ტერიტორია დაეთვალიერებინა. სუპერთანამედროვე კომპლექსში ათი სავარჯიშო მინდორი, 10 ათასიანი სტადიონი, გოლფის მოედანი და ჩოგბურთის კორტი, აგრეთვე რამდენიმე სასტუმრო იქნება. აკადემია ამხანაგური ტურნირების მასპინძლობას შეძლებს. სტუმრად ჩამოსული გუნდები მისსავე ტერიტორიაზე დაბინავდებიან. ნატალი ერთ-ერთია იმ ქალაქებიდან, სადაც 2014 წლის მუნდიალის მატჩები გაიმართება. ბექჰემის აკადემიაში, შესაძლოა, რომელიმე ნაკრებს გუნდიც კი დაბანაკდეს. *"მე არ ვაპირებ ბრაზილიელ ბავშვებს ფეხბურთის თამაში ვასწავლო,* - თქვა ბექზმა პრეზენტაციაზე. - *მაგრამ მათ შევთავაზებ საუკეთესო პირობებს თავიანთი შესაძლებლობების წარმოსაჩენად. მიხარია, რომ ეს პროექტი ჩემს სახელთან ასოცირდება. იმედია, ჩვენი აკადემია სახელს გაითქვამს ბრაზილიასა და დანარჩენ მსოფლიოში."* ბექჰემის საფეხბურთო სკოლას სტიპენდიანტებიც ეყოლება. ნიჭიერი, მაგრამ ხელმოკლე ბავშვები აკადემიის ხარჯით ისწავლიან და იქვე იცხოვრებენ. ბექჰემს ანალოგიური აკადემიები ლონდონსა და ლოს ანჯელესში აქვს. აქვე გეტყვით, რომ საფეხბურთო სკოლის გვერდით ფორმულა ერთის სახელგანთქმული ბრაზილიელი პილოტი **რუბენს ბარიკელო** ავტომოყვარულთათვის რბოლის ტრასას აშენებს. ის განკუთვნილი იქნება როგორც მსუბუქი მანქანებისათვის, ისე კარტინგის მოყვარულთათვის. რაც მთავარია, ტრასაზე მოეწყობა ავტოსკოლა. ბარიკელო მიზნად ისახავს კიდევ არაერთი ბრაზილიელი ჩემპიონის აღზრდას.

ინგლისის ნაკრები

# პირსი კაპელოს ასისტენტად

## გამოიძახებს თუ არა იტალიელი მწვრთნელი დევიდ ბექჰემს...

**სტიუარტ პირსი** ფაბიო კაპელოს თანაშემწედ იმუშავებს. ეს ინფორმაცია ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ გაავრცელა. პირსის დებიუტი ახალ თანამდებობაზე 6 თებერვალს, შვეიცარიასთან ამხანაგური მატჩისას შედგება. მოგეხსენებათ, ეს მატჩი იტალიელი დამრიგებლისთვისაც სადებიუტო იქნება. დონ ფაბიოს ასისტენტობის პარალელურად, პირსი ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელია. ის ამ პოსტზე მუშაობას გააგრძელებს. აი, რა განაცხადა კაპელომ სტიუარტთან კონტრაქტის გაფორმების შემდეგ: *"დანიშვნის დღიდან ყველამ იცოდა, რომ ჩემს შტაბში ინგლისელი სპეციალისტი მჭირდებოდა. მიხარია, რომ სტიუარტი თანამშრომლობაზე დაგვთანხმდა. ის ძალიან გამოცდილია და ინგლისურ ფეხბურთს ჩინებულად იცნობს. მან იცის, რის მიღწევას ვაპირებ და მზადაა, ჩემთან ერთად მუხლჩაუხრელად იმუშაოს."*

პირსს მეტსახელად "ფსიქო" ჰქვია. მას ინგლისის ნაკრებში 78 მატჩი აქვს ჩატარებული. სტიუარტი თავის დროის ერთ-ერთი საუკეთესო მარცხენა მცველი იყო და ყუმბარისებული დარტყმა ჰქონდა. პირსმა კარიერის უმეტესი ნაწილი "ნოტინგემ ფორესტში" გაატარა. შემდეგ ცოტა ხანს "ნიუკასლსა" და "ვესტ ჰემში" ითამაშა. ეროვნული გუნდის მეორე მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ მან თქვა, რომ დროის უმეტეს ნაწილს ისევ ახალგაზრდულ ნაკრებს დაუთმობს. უმცროსი ინგლისელები მომავალი წლის ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად იბრძვიან. სამშაბათს მათ ირლანდიის ნაკრებთან მნიშვნელოვანი შესარჩევი შეხვედრა ჩაატარეს.

აქვე გეტყვით, რომ კაპელო შვეიცარიასთან მატჩისათვის შემადგენლობას დღე-დღეზე დაასახელებს. მიმომხილველებს ყველაზე მეტად ის აინტერესებთ, გამოიძახებს თუ არა ის **დევიდ ბექჰემს**. ბექზის სანაკრებო აქტივში 99 მატჩია. შვეიცარიასთან შეხვედრაში მას მე-100 თამაშის ჩატარება შეუძლია. ბექჰემს შეუძლია, ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში მეხუთე ფეხბურთელი გახდეს, რომელსაც ეროვნულ გუნდში 100 და მეტი შეხვედრა ჩაუტარებია. არავინ იცის, აპირებს თუ არა კაპელო მის გამოძახებას. ბექჰემი რამდენიმე კვირაა, ინტენსიურად ვარჯიშობს. ის "არსენალის" ბაზაზე იმყოფება და "მეთოფეებთან" ერთად ემზადება. დევიდი ამბობს, რომ თამაშისათვის მზადაა და რომ საკმაოდ კარგ ფიზიკურ კონდიციებში იმყოფება. მაგრამ ეს კაპელომ უნდა გადაწყვიტოს. მიმომხილველები სულ უფრო ხშირად იხსენებენ



სტიუარტ პირსი ინგლისის ნაკრების მეორე მწვრთნელი გახდა

კაპელოსა და ბექჰემის უთანხმოებას სულ რაღაც ერთი წლის წინ, მადრიდის "რეალში". მართალია, მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ თუ დონ ფაბიოს ბექზი სამეფო კლუბში არ სჭირდებოდა, მით უმეტეს არ უნდა დასჭირდეს ინგლისის ნაკრებში. თანაც ბექჰემმა ნებაყოფლობით მიაშურა ამერიკის საპენსიო ლიგას და უკვე რამდენიმე თვეა სათამაშო პრაქტიკა არ ჰქონია.

ლივერპული

# კრაფტი, კიდევ ერთი პოტენციური ინვესტორი

ამერიკელმა მილიარდერმა **რობერტ კრაფტმა** "ლივერპულის" შეძენა მოისურვა. ამ ინფორმაციას ინგლისური ტაბლოიდები ავრცელებენ. კრაფტი ამერიკული ფეხბურთის კლუბ "ნიუ ინგლენდ პატრიოტსისა" და MLS-ის კლუბ "ნიუ ინგლენდ რევოლუშენის" მფლობელია. ის ამერიკულის გარდა, ევროპული ფეხბურთის დიდი გულშემატკივარია. ინგლისურ ფეხბურთში ფული დაბანდება კი ყოველმხრივ მომგებიანი ინვესტიცია გახლავთ. რობერტ კრაფტი კომპანია "კრაფტ გრუპის" დამაარსებელია. ის "ლივერპულით" დაინტერესებას რამდენიმე წლის წინაც გამოთქვამდა. შარშან, როდესაც მერსისაიდული გრანდი სხვა ორმა ამერიკელმა, **ჯორჯ ჯილეტმა** და **ტომ ჰიკსმა** შეიძინა, დაინტერესებულთა შორის რობერტ კრაფტიც იყო, მაგრამ ის ბრძოლას ნაადრევად გამოეთიშა. გარკვეული პაუზის შემდეგ, ის კვლავ ასპარეზზე გამოდის და აქტიურდება.

ბოლო დღეებში ხმაური "ლივერპულის" მოსალოდნელი გაყიდვის შესახებ ოდნავ მიწყნარდა. სპეკულაციების თანახმად, კლუბის შეძენა არაბთა გაერთიანებული საემიროების კომპანია, "დუბაი ინტერნეშენალ კაპიტალს" სურდა. კლუბის ამერიკელ ბოსებზე ამბობდნენ, რომ მათ უმწვავესი ფინანსური პრობლემები ჰქონდათ, რის გამოც ძალაუნებურად მოუხდებოდათ "ლივერპულთან" გამოთხოვება. მაგრამ ჯილეტმა და ჰიკსმა პრობლემები მოაგვარეს. ბანკები, საიდანაც ბიზნესმენებმა მრავალმილიონიანი სესხი აიღეს, ვალების რესტრუქტურიზაციას დათანხმდნენ. მეორე დღეს ჯილეტმა და ჰიკსმა მერსისაიდელთა ახალი სტადიონის პრეზენტაციაც კი გამართეს, იმის ნიშნად, რომ კლუბის ფინანსურ კეთილდღეობას საფრთხე არ ემუქრებოდა. კრაფტის გააქტიურებასთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

## რაულის ახალი კონტრაქტი

"რეალი" რაულს ახალ კონტრაქტს შესთავაზებს. "დიარიო სპორტის" ცნობით, ხელშეკრულება ისეთივე სქემით გაფორმდება, როგორითაც ცოტა ხნის წინ **რუუდ ვან ნისტელროისთან**. ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა კონტრაქტი ორი წლით გააგრძელა. მხარეები შეთანხმდნენ, რომ 2010 წელს ისინი კიდევ ერთხელ მიუსხდებიან მოლაპარაკებათა მაგიდას და თანამშრომლობას 12 თვით გააგრძელებენ. თუ ვან ნისტელროი ერთი სეზონის განმავლობაში 35 მატჩს გამართავს, მისი კონტრაქტი ავტომატურად კიდევ 12 თვით გაგრძელდება. რაულის დღეთანდელი ხელშეკრულება 2010 წელს იწურება. თითქმის გადაწყვეტილია, რომ 2010 წლის ზაფხულში მას 12 თვით გააგრძელებენ. ვან ნისტელროისაგან განსხვავებით, რაულს იმ სეზონში 30 მატჩის ჩატარებაც ეყოფა, რათა "რეალში" კიდევ 12 თვე გაატაროს.

## ტრაპატონი ირლანდიას უარყოფს

**ჯოვანი ტრაპატონიმ** ირლანდიის საფეხბურთო ასოციაციასთან მოლაპარაკების ფაქტი კატეგორიულად უარყო. ვეტერანმა იტალიელმა განაცხადა, რომ მას ამ სპეკულაციებთან არაფერი აკავშირებს: *"გაკვირვებული ვარ იმ ადამიანების ფანტაზიით, რომლებიც ასეთ ინფორმაციებს ავრცელებენ. ერთი კვირის წინ მე აფრიკის რომელიღაც ნაკრები უნდა გამეწვრთნა, რამდენიმე დღის წინ ინგლისის ერთ-ერთი კლუბი და აი, ირლანდიამდეც მივედით. მაინტერესებს, ერთი კვირის შემდეგ სად დამნიშნავენ."* ირლანდიის საფეხბურთო ასოციაცია ნაკრების თავკაცს ეძებს. გუნდი უმწვრთნელოდაა მას შემდეგ, რაც სტივ სტონტონმა თანამდებობა დატოვა. 6 თებერვალს ირლანდიელები დუბლინში ბრაზილიას უმასპინძლებენ. ამ შეხვედრაში მათ ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი დონ გივენსი უხელმძღვანელებს. ნაკრების მწვრთნელობის კიდევ ერთი კანდიდატი "დერბის" ყოფილი თავკაცი **სტივ დევისია**.

ევრო 2012

# უკრაინამ და პოლონეთმა შენიშვნა დაიმსახურეს

უკრაინისა და პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციების პრეზიდენტები ევროპის 2012 წლის ჩემპიონატისათვის მზადებას გაათმაგებული ენერგიით გააგრძელებენ. ზაგრებში უეფას მორიგი აღმასკომი გაიმართა. უეფას პრეზიდენტმა **მიშელ პლატინიმ** შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, მოსამზადებელი სამუშაოები ნელი ტემპით მიმდინარეობს. ორივე სახელმწიფო ჩამორჩენილია გრაფიკს, რომელიც მათ უეფასთან ერთად შეიმუშავეს. უკრაინელი და პოლონელი ჩინოვნიკები მომხდარში პოლიტიკურ კრიზისე?ს ასახელებენ. როგორც ერთმა, ისე მეორე ქვეყანამ ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში სერიოზული პოლიტიკური რყევები გამოიარა. კრიზისმა გადაიარა. ევროპის ჩემპიონატის მასპინძელ ქვეყნებს უკვე ქმედითი მთავრობები ჰყავთ, რომელთაც ნებისმიერი სირთულის ამოცანის გადაწყვეტა შეუძლიათ.

აი, პოლონური ფედერაციის პრეზიდენტის, **მიხალ ლისტკიევიჩის** განცხადება: *"ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებასთან ინტენსიურ კონსულტაციებს ვაწარმოებთ. დარწმუნებული ვარ, პოლონეთი ნაკისრ ვალდებულებებს შეასრულებს. უეფას ხელმძღვანელობას უკვე განვუცხადეთ, რომ ტურნირის მასპინძელი რამდენიმე სტადიონი 2010 წლისათვის ბოლომდე მზად იქნება. შეშფოთების საფუძველი არ არსებობს. გარდა ამისა, უეფა დაგვთანხმდა, რამდენიმე ვალდებულების შესრულების ვადა გადაგვიწიოს. ესე იგი, აუღელვებლად ვიმუშავებთ და დაწყებულ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ."*

ლისტკიევიჩის შემდეგ კომენტარი გააკეთა მისმა უკრაინელმა კოლეგამ, **გრიგორი სურკისმა**: *"ჩვენს ქვეყნებს უზარმაზარი მოცულობის სამუშაოების ჩატარება მოუწევთ. ავსტრიასა და შვეიცარიაში ევროპის ჩემპიონატის სამასპინძლოდ ინფრასტრუქტურის კოსმეტიკური რემონტი საკმარისი აღმოჩნდა. ჩვენ კი, ფაქტობრივად, ყველაფერი თავიდან უნდა ავაშენოთ. მაგრამ პოლონეთსა და უკრაინაში არსებული საყოველთაო ენთუზიაზმი საშუალებას მაძლევს, დარწმუნებით ვთქვა, რომ ევროპის ჩემპიონატისათვის ყველაფერი მზად იქნება."*



მიშელ პლატინი სამუშაოთა დაჩქარებას ითხოვს

## გარაის მდიდარი არჩევანი

"ლივერპულსა" და "მანჩესტერ იუნაიტედს" "რასინგის" მცველ **ესეკილ გარაის** შეძენა სურთ. მაგრამ მათ სერიოზული კონკურენტი ჰყავთ. არგენტინელ ფეხბურთელს "ბარსელონაც" ეპატიჟება. კატალონიელები მზად არიან, 10 მილიონი ევრო გადაიხადონ. გარაი 21 წლისაა. როგორც ჩანს, იანვრის ფანჯრისას მისი ტრანსფერი აღარ მოესწრება. ზაფხულში მის შესაძენად დიდი ომი გაიმართება. შესაძლოა, ფეხბურთელის ფასმაც მნიშვნელოვნად მოიმატოს. ესეკილს "ტოტენჰემიც" ეპატიჟებოდა. "მამლებმა" მიდლსბროელ **ჯონათან ვუდგეიტს** გაუფორმეს კონტრაქტი და გარაის საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა.

## დეილი ტოტენჰემში ჩაირიცხა

შოტლანდიის ნაკრების მცველი **ალან ჰატონი** "ტოტენჰემში" ჩაირიცხა. "მამლებმა" 23 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ 8 მილიონი გირვანქას გადაიხადეს. ჰატონმა ოთხწლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. ლონდონელები იმედოვნებენ, რომ საბუთებს უმოკლეს დროში მოაწესრიგებენ და ახალწვეული პრემიერლიგის მომდევნო ტურში ითამაშებს. "რეინჯერსმა" ჰატონის შემცვლელი უკვე იპოვა: მან "ვესტ ჰემის" ვეტერანი ფეხბურთელი, **კრისტიან დეილი** გადაიყვანა. დეილის შოტლანდიის ნაკრებში 66 მატჩი აქვს. მან "ვესტ ჰემში" შვიდი წელი გაატარა. მიმდინარე სეზონში ის იჯარით "საუთჰემპტონში" თამაშობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

# ფსიქოლოგიური ომი ბეკენბაუერსა და კლინსმანს შორის

## კაიზერის მოულოდნელი განცხადება: გაძლებს კი კლინსი ბაიერნში 2010 წლამდე?



ფრანც ბეკენბაუერი და იურგენ კლინსმანი საუკეთესო მეგობრები არ არიან

**იურგენ კლინსმანი** „ბაიერნის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე მუშაობას ზუსტად 5 თვეში შეუდგება, მაგრამ მას უკვე მოუმრავლდნენ კრიტიკოსები. პირველი ეიფორიის შემდეგ, გერმანიაში კლინსისა და რეკორდმაისტერის დამოყვრების შესახებ უკვე ნეგატიური შეფასებებიც გაისმის. არავის გაჰკვირვებია ის, რომ **ზეპ მაიერმა** და **ლოთარ მათეუსმა** კლინსმანზე ცუდად ისაუბრეს. სამაგიეროდ, ყველამ პირი დაალო **ფრანც ბეკენბაუერის** განცხადებებზე, რომელიც კაიზერმა გასულ უქმეებზე გააკეთა.

*„ისლა დამრჩენია, ვიმედოვნო, რომ კლინსმანი „ბაიერნში" 2 წელიწადს გაძლებს,"* – განაცხადა ბეკენბაუერმა და იქვე დასძინა, კლინსმანისგან განსხვავებით, მე კარგად ვიცი, რასაც ნიშნავს ნაკრების შემდეგ კლუბის გაწვრთნა, კლუბში მუშაობა მას აქამდე არ უცდია და რეკორდმაისტერი მისი პირველი კლუბი იქნებაო.

ამ განცხადებით კაიზერმა ფაქტობრივად მხარი დაუჭირა ზეპ მაიერს, რომელიც კლინსმანს ასევე ამ ტონით აკრიტიკებდა. *„მან უნდა იცოდეს, რომ ნაკრების მწვრთნელობა კლუბის მწვრთნელობისგან დიდად განსხვავდება. კლუბში მუშაობა გაცილებით რთულია და თავისებური მიდგომა სჭირდება,"* – ამბობდა მაიერი, რომელიც 2004 წლამდე გერმანიის ნაკრების მეკარეების მწვრთნელი იყო, მაგრამ მერე კლინსმანმა გააგდო და მის ადგილზე **ანდრეას კიოპკე** დანიშნა. 63 წლის ლეგენდარულ ზეპს არ დაუმალავს, რომ კლინსმანის მოსვლის ამბავმა არ გაახარა. *„დიახ, მე ნამდვილად არ გამიხარდა ის, რომ მომავალი სეზონიდან „ბაიერნს" კლინსმანი უთავკაცებს. ჩვენ არ ვართ საუკეთესო მეგობრები, მაგრამ მიუხედავად ამისა, წარმატებებს ვუსურვებ,"* – ამბობდა ლეგენდარული მეკარე, რომელიც ზაფხულიდან ბავარიული გიგანტის მეკარეების მწვრთნელი აღარ იქნება – კონტრაქტიც უმთავრდება და ესეც არ იყოს, ყველამ იცის, რომ კლინსმანი მას ვერ იტანს.

კლინსის საუკეთესო მეგობრად არც გერმანული ფეხბურთის კიდევ ერთი ლეგენდარული პიროვნება, **უდო ლატეკი** მიიჩნევა, რომელიც იურგენს 2006 წლის მუნდიალის წინაც ხშირად აკრიტიკებდა. ლატეკი კლინსის მომავალს „ბაიერნში" სკეპტიკურად უყურებს. *„ვერაფრით ამიხსნია, რატომ დათანხმდა კლინსმანი „ბაიერნში" მუშაობას. ვფიქრობდი, კლინსმანი საკმარისად ჭკვიანია და მიუნხენში მუშაობაზე უარს იტყვის-მეთქი,"* – განაცხადა ლატეკმა ტელეგადაცემა „დოპელპასში" და დასძინა, - *„იურგენმა კიდევ ერთხელ გაყო თავი ყულპში და თუ საქმე თავიდანვე ცუდად წაუვიდა, მერე ნახეთ თეატრი და წარმოდგენები!"*

დიდი შანსია, რომ თეატრალური წარმოდგენა ახლავე დაიწყოს, რადგან ბეკენბაუერის სიტყვას დიდი წონა აქვს და იმ განცხადებას, რომელიც ზემოთ შემოგთავაზეთ, აუცილებლად დიდი რეზონანსი მოჰყვება. აღსანიშნავია, რომ კაიზერსა და კლინსმანს შორის კონფლიქტები ადრეც მრავლად იყო, განსაკუთრებით კი მსოფლიოს ჩემპიონატის წინ. ერთ-ერთი დაპირისპირება იმის ბრალი გახლდათ, რომ კაიზერმა კლინსის ურჩია, ასისტენტად **ჰოლგერ ოზიკი** აიყვანეო, ამ უკანასკნელმა კი ბეკენბაუერის რჩევა ყურიდან ყურში გაატარა და თავის მარჯვენა ხელად **იოახიმ ლიოვი** დანიშნა, რომელიც დღეს ბუნდესგუნდს ერთპიროვნულად ხელმძღვანელობს. ამის შემდეგ იყო გარკვეული კბენანი ბეკენბაუერისგან, რისთვისაც კლინსმანს ყურადღება აღარ მიუქცევია. კაიზერი მუნდიალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე გახლდათ და სანამ მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყებოდა, რეგულარულად იმეორებდა, ძალიან ვშიშობ, რომ ჩვენი გუნდი თავს შეირცხვენსო.

2006 წლის მარტში გერმანიის ნაკრებმა დიუსელდორფში ტრადიციული ვორკშოპი გამართა, რომელშიც ყველასათვის მოულოდნელად, კლინსმანს მონაწილეობა არ მიუღია. არადა, ვორკშოპამდე რამდენიმე დღით ადრე ბუნდესგუნდი იტალიასთან ამხანაგურ შეხვედრაში 1:4 განადგურდა. იმის გამო, რომ დიუსელდორფში არ ჩავიდა, ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა კლინსმანი მაგრად გააკრიტიკეს. კრიტიკოსთა შორის იყო ბეკენბაუერიც. *„ბუნდესმწვრთნელი აქ უნდა ყოფილიყო! სხვანაირად წარმოუდგენელია! ყველანი აქ იყვნენ, მხოლოდ კლინსმანმა თქვა ჩამოსვლაზე უარი!"* – ბრაზობდა კაიზერი. რამდენიმე დღის შემდეგ ბეკენბაუერმა კიდევ უფრო მკვეთრი განცხადება გააკეთა, თუ გერმანიის ნაკრები მუნდიალს ნაადრევად გამოეთიშება, კლინსმანის ატანა მწვრთნელის პოსტზე უკვე შეუძლებელი იქნებაო.

კლინსმანს იმ პერიოდში კრიტიკოსები ნამდვილად არ აკლდა და აღსანიშნავია, რომ მან ცეცხლზე ნავთი არ დაასხა და ასეთი რამ თქვა: *„ჩემთვის ბეკენბაუერის გაბრაზება აბსოლუტურად გასაგებია, რადგან ეს მუნდიალი მას შვილივით უყვარს. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, რომ ჩვენ განსხვავებული მოსაზრებების გამოთქმისა და განხორციელების უფლება გვაქვს. მინდა ვთქვა, რომ ჩემსა და ფრანცს შორის შავ კატას არ გაურბენია."*

მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, ისევე, როგორც მთელი გერმანია, კლინსმანის მუშაობით უკვე კაიზერიც აღფრთოვანებული იყო და მუნდიალის დასრულების შემდეგ ღიად განაცხადა, კლინსი ბუნდესმწვრთნელის პოსტზე უნდა დარჩესო. მაგრამ ახლა უკვე იურგენმა უგანა ყველას და ყველაფერს – პოსტი დატოვა და ამერიკაში დაბრუნდა.

როცა ბავარიელებმა კლინსმანი წარადგინეს, ბეკენბაუერი სულაც არ ჩანდა უკმაყოფილო და განაცხადა, ეს ძალიან ჭკვიანური გადაწყვეტილებაა, რაკი იურგენმა გერმანიის ნაკრებში წარმატებას მიაღწია, მჯერა, თავს არც „ბაიერნში" შეირცხვენსო. ახლა კი ეს განცხადება, რომლითაც ბეკენბაუერმა მთელი საფეხბურთო გერმანია გააკვირვა და საგონებელში ჩააგდო: რისი თქმა სურდა კაიზერს? თანაც, არ წყდება საუბრები იმის შესახებ, რომ ბოლო დროს ბეკენბაუერი **კარლ-ჰაინც რუმენიგესა** და **ული ჰიონესის** ჩრდილში მოექცა. რომ მას „ბაიერნში" სიტყვა ისე აღარ ეთქმის, როგორც მანამდე – თითქოს რუმენიგე და ჰიონესი მას აღარაფერს ეკითხებიან. თუმცა კაიზერი „ბაიერნის" პრეზიდენტად რჩება...

**გოტფრიდ ლენცი**

ვილიარეალი

# პელეგრინი დირექტორატის წინააღმდეგ

## რატომ არ აკმაყოფილებენ ჩილელი სპეციალისტის მოთხოვნებს?

ესპანურ გაზეთებს თუ დავუჯერებთ, "ვილიარეალში" სერიოზული კონფლიქტი მწიფდება. საქმე მთავარი მწვრთნელისა და ხელმძღვანელობის შეუთანხმებლობას ეხება. **მანუელ პელეგრინი** დეკემბრიდან მოყოლებული იხვეწებოდა, შემადგენლობა გააძლიერეთო. ჩილელი სპეციალისტის თქმით, თუ გუნდში ახალი ფეხბურთელები არ გამოჩნდებიან, "ვილიარეალს" სტაბილურად თამაში და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება ძალიან გაუჭირდება. პელეგრინი თითქმის მთელი იანვრის განმავლობაში ეუბნებოდა პრეზიდენტსა და მის ხელქვეითებს, არ დაგავიწყდეთ, რომ ტრანსფერების გაჩარხვას ველიო. მოგეხსენებათ, ზამთრის სატრანსფერო ბაზარი დღეს დაიხურება. ძნელი წარმოსადგენია, ევროპული დროით ღამის 12 საათამდე **ფრანსისკო როიგმა** ვინმეს შეძენა მოასწროს. პრინციპში, ასეთი რამ არც არის მოსალოდნელი, რადგან გუშინ "ყვითლების" პრეზიდენტმა პრესკონფერენცია გამართა და მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა: *"სენიორ მანუელ პელეგრინის ჩვენგან დაფასება და სიყვარული არ აკლია. დირექტორატი ამ ადამიანს უბრალოდ აღმერთებს და ცდილობს, ყოველ მხრივ მხარში ამოუდგეს. მესმის, მას ახალი ფეხბურთელები სჭირდება, მაგრამ პელეგრინიმ ჩვენც უნდა გაგვიგოს. ახლა კარგი მოთამაშეების გადმობირების შანსი, ფაქტობრივად, ნულოვანია. მიზეზი რამდენიმეა. ძლიერ ფეხბურთელებს მათი ამჟამინდელი გუნდები ცოცხალი თავით არ ელევიან. და თუ ვინმე მოლაპარაკებაზე მოგვყვება, ისეთ თანხას გვისახელებს, მათთან ურთიერთობას ყოველგვარი აზრი ეკარგება. რა თქმა უნდა, სამწუხაროა, მაგრამ ფაქტს ვერსად გავექცევით, 40-ათასიანი ვილა-რეალის კლუბი "ვილიარეალი" არ ფლობს ისეთივე ფინანსურ შესაძლებლობებს, როგორსაც ვთქვათ "რეალი", "ბარსელონა", ან კიდევ რომელიმე გრანდი. აქედან გამომდინარე, ვერ ვახერხებთ ძვირადღირებული მოთამაშეების შეძენას. დარწმუნებული ვარ, სენიორ პელეგრინი ყველაფერს კარგად გაიგებს და ეჭვიც არ შეეპარება, ნუთუ ხელმძღვანელობა ჩემს მოთხოვნებს მიზნობრივად ხომ არ უკეთებს იგნორირებასო. ღმერთო ჩემო, ნეტავ შესაძლებელი იყოს და პლანეტის ყველა საუკეთესო ფეხბურთელს "ელ მადრიგალზე" ჩამოვიყვანდი."*

სენიორ როიგს პელეგრინიმ ასევე პრესკონფერენციით უპასუხა: *"არ მინდა ისეთი შთაბეჭდილება დარჩეს, თითქოს კლუბზე წნეხის მოხდენას ვცდილობდე. არამც და არამც. უბრალოდ, მსურს, ყველამ იცოდეს, რომ შემადგენლობის გაძლიერების გარეშე "ვილიარეალს" სერიოზული პრობლემები შეექმნება. მე მწვრთნელი ვარ და ყველაფერი უნდა გავაკეთო იმისთვის, რომ ჩემი გუნდი ამა თუ იმ განსაცდელს ავარიდო. სამწუხაროა, თუ ფინანსური შესაძლებლობა არ გვაქვს, რათა საჭირო ფეხბურთელები ჩავიგდოთ ხელში. იქნებ, სენიორ როიგმა და დირექტორატის სხვა წევრებმა რაიმე გზა გამონახონ იმისთვის, რომ ორი მოთამაშე მაინც დავიმატოთ."*



მანუელ პელეგრინი

ოსასუნა

# სიგანდა დასაჯეს



ხოსე ანხელ სიგანდა

**გუშინ** ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტი "ოსასუნას" მთავრი მწვრთნელის, **ხოსე ანხელ სიგანდას** მიერ "სევილიასთან" მატჩში მოწყობილი ობსტრუქციის განხილვას შეუდგა. აღნიშნულმა ორგანომ უკლებლივ ყველა დეტალი განიხილა. არ დავიწყნიათ იმის აღნიშვნა, რომ პამპლონელთა თავკაცი **იტურალდე გონსალესის** მსაჯობამ განარისხა. ისიც გაითვალისწინეს, რომ ადრიანომ "ოსასუნას" ფეხბურთელს წყლით სავსე ბოთლი ესროლა და სიგანდა ამან სულ გადარია. მართალია, სადისციპლინო კომიტეტს სენიორ იტურალდე გონსალესის პატიოსნებაში ეჭვი არ შეუტანია და სამსაჯო კომიტეტისგან პრეტენზიების არქონის დამადასტურებელი დოკუმენტიც მიიღეს, მაგრამ სიგანდას გაცხარების ერთ-ერთ მიზეზად სწორედ აღნიშნული შეხვედრის არბიტრის მუშაობა მიიჩნიეს და გადაწყვიტეს, ეს გარემოება საქმეში შემამსუბუქებელ ფაქტორად შეეტანათ. დაგვეთანხმებით, სამეფო ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტი მაქსიმალურად შემწყნარებელი იყო, მაგრამ სიგანდა ამ დავიდარაბიდან მშრალიც ვერ გამოვიდოდა. "ოსასუნას" მთავარ მწვრთნელს ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. პამპლონელები მომდევნო ტურში "ბარსელონას" "კამპ ნოუზე" დაუპირისპირდებიან. სიგანდა ამ შეხვედრას ტრიბუნიდან ადევნებს თვალ-ყურს და ვერდიქტის თანახმად, გუნდს ვერ უხელმძღვანელებს. მას ასისტენტებთან კონტაქტიც კი აეკრძალა. ბევრისთვის ეს სასჯელი არაადეკვატურია, ისინი ფიქრობენ, რომ "ხულიგნობაში" ბრალდებული მწვრთნელი გაცილებით მკაცრ ვერდიქტს იმსახურებდა. თავად სიგანდა კი თვლის, რომ სადისციპლინო კომიტეტმა სამართლიანი გადაწყვეტილება გამოიტანა: *"რამდენიმე დღის წინ უკვე განვაცხადე, რომ საქციელს ვნანობ. მრავალი მიზეზის მიუხედავად, არ მქონდა უფლება, მთელი დედამიწის დასანახად ქუჩური გარჩევა მომეწყო. კიდევ ერთხელ ვინანიებ საქციელს და გულშემატკივრებს ბოდიშს ვუხდი. ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო. დიახ, მე გარკვეული მიზეზების გამო გავცხარდი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ასეთი პრეცედენტები რეაგირების გარეშე უნდა დარჩეს. დღეს მე რომ არ დავესაჯეთ, ხვალ ჩვენს ფეხბურთს ძალადობა წალეკავდა. მოკლედ, ემორჩილები მათ გადაწყვეტილებას. დასანანია, რომ "ბარსელონასთან" ურთულეს შეხვედრაში ჩემ ბიჭებს ვერ ვუხელმძღვანელებ. რა გაეწყობა, იმედი უნდა ვიქონიო, რომ ბიჭები ჩემს გარეშეც ღირსეულად იასპარეზებენ. ძალიან მინდა, არ წავაგოთ. თუ გავიმარჯვებთ, სიგანდაზე ბედნიერი არავინ იქნება."*

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის თასი. 1/8 ფინალი. სამშაბათის მატჩები

# მარკ ციგლერის გმირობა

## 12 წლიანი პაუზის შემდეგ დორტმუნდი მეოთხედფინალში გავიდა...



ეს ესაა, მარკ ციგლერმა დიეგოს პენალტი აუღო

გერმანული სეზონი გუშინწინ, თასის მერვედფინალით განახლდა. როგორც მოსალოდნელი გახლდათ, ძალიან საინტერესო დაპირისპირებები შედგა. გუნდებს ოდნავადაც არ ეტყობოდათ, რომ თასის მერვედფინალზე მეტად მომავალ უქმეებზე ჩასატარებელ ტურზე ფიქრობდნენ, რომელმაც ბუნდესლიგის მეორე წრე უნდა გახსნას. საერთოდ, გერმანიის თასი დიდი პოპულარობით სარგებლობს და მატჩებს ინტრიგას ის ფაქტიც მატებს, რომ შეხვედრები ერთრაუნდიანია. სამშაბათის მატჩებმა სენსაციების გარეშე ჩაიარა, მაგრამ სასენსაციოც არაფერი იყო. ოთხი თამაშიდან მხოლოდ ერთში შეიძლებოდა მოულოდნელი შედეგის დაფიქსირება – ეს გახლდათ რეგონალლიგის წარმომადგენლის, „ვუპერტალისა" და მიუნხენის „ბაიერნის" დაპირისპირება, რომელიც გელზენკირხენის „ფელტინს არენა აუფ შალკეზე" შედგა და რეკორდმაისტერის გამარჯვებით (5:2) დასრულდა. დანარჩენ სამ მატჩში არცერთი შედეგი არ იქნებოდა მოულოდნელი.

**ბორუსია (დ)–ვერდერი 2:1**

**ბორუსია (დ):** ციგლერი, რუკავინა, ამედიკი, კოვაჩი, დედე, კელი, კრინგე, ტინგა, ფედერიკო (70. ბაკლი), პეტრიჩი (91. ჰუმელსი), ვალდესი (66. კლიმოვიჩი).

**ვერდერი:** ვიზე, პასანენი, მერტეზაკერი, ნალდო, ტოშიჩი, ბაუმანი (68. დიეგო), ბოროვსკი, დ. იენსენი, ჰანტი, კლასნიჩი (63. უგო ალმეიდა), როზენბერგი.

*85-ე წუთზე დიეგომ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე).*

გოლები: 1:0 ფედერიკო (19), 2:0 კლიმოვიჩი (80), 2:1 დიეგო (82-პენ).

**გაფრთხილება:** 1-3.

**მაყურებელი:** 68 000.

**ვუპერტალი–ბაიერნი 2:5**

**ვუპერტალი:** მალი, შტუკმანი, ფოიგტი, ვოვერინკი (80. მომბონგო), ლეიანი, ბიოლშტლერი, ეერატი (74. დოგანი), ლინტიენსი (67. მალურა), რიტპიტში, სალიკი, დამი.

**ბაიერნი:** კანი, სანიოლი, ლუსიო, ვან ბუიტენი, ლამი, ვან ბომელი, ზე რობერტო (72. კროოსი), სოსა (73. ჰამით ალთინთოფი), რიბერი (73. შვაინშტაიგერი), კლოზე, ტონი.

**გოლები:** 0:1 კლოზე (15), 1:1 დამი (26), 1:2 კლოზე (27), 2:2 სალიკი (29), 2:3 ვან ბუიტენი (50), 2:4 ტონი (54), 2:5 ჰამით ალთინთოფი (88).

**გაფრთხილება:** 3-2.

**მაყურებელი:** 61 482 (ფელტინს არენა აუფ შალკე).

**ალემანია–მიუნხენი 2:3**

**ალემანია:** შტრაუბი, შტელე, კლიტცპერა, პერციგი, ლეივაკაბესი, რეგეკამპფი (77. პლასჰენრიხი/89. მილხრაუმი), ფილი, ლაგერბლომი, ებერსი, კოლეევი, კრონტირისი (72. ჰოლენცი).

**მიუნხენი:** მ. ჰოფმანი, ჯონსონი, ს. ბენდერი (65. პაგენბურგი), ბერჰალტერი, ტ. ჰოფმანი, შვარცი, ლ. ბენდერი, გებჰარტი (92. ბაუმგარტლინგერი), ვოლფი (54. ჰოლებასი), ბიროფკა, კუჩუკოვიჩი.

**გოლები:** 1:0 კოლეევი (10), 2:0 ებერსი (40), 2:1 შვარცი (82), 2:2 კუჩუკოვიჩი (85), 2:3 ჯონსონი (88).

**გაფრთხილება:** 2-2.

**მაყურებელი:** 18 000.

**ჰოფენჰაიმი–ჰანზა 2:1**

**ჰოფენჰაიმი:** იოზქანი, იაისლე, პ. ნილსენი (57. ზაიტცი), კომპერი, ლიოვი, ტებერი, სალიჰოვიჩი, კარლოს ედუარდო, ლუის გუსტავო, ობასი, ბა (88. იბიშევიჩი).

**ჰანზა:** ვეხტერი, დ. ლანგენი, სებასტიანი, ორესტესი, მ. შტაინი, კერნი, რათგები, ცეტკოვიჩი (82. დორნი), ბარტელსი, აგალი, ჰენგე (46. იელენი).

*91-ე წუთზე სალიჰოვიჩმა ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე).*

გოლები: 1:0 პ. ნილსენი (12), 1:1 კერნი (52), 2:1 ორესტესი (71-საკ. კარში).

**გაფრთხილება:** 0-1.

**მაყურებელი:** 6 350.

დავიწყოთ დორტმუნდის „ვესტფალენშტადიონზე" გამართული შეხვედრით, რომელიც მთლიანად მერვედფინალის ცენტრალური თამაში გახლდათ: „ბორუსია" „ვერდერს" მასპინძლობდა. „მუსიკოსთათვის" საღამო ძალიან უილბლოდ დაიწყო – ბრემენული კლუბი „ვესტფალენშტადიონიდან" 20 კილომეტრში სასტიკ საცობში მოყვა, რის გამოც მატჩი დაგვიანებით დაიწყო. დაგვიანებით და **დიეგოს** გარეშე – „ვერდერის" ანგელოზს მუხლი ნამოსტკივდა და **თომას შააფმაც** აღარ გარისკა. „მუსიკოსთა" დამრიგებელმა მატჩის შემდეგ თქვა, კარგად მახსოვს, როგორც ეთამაშებოდა პირველ წრეში დიეგოს **ტინგა**, კინაღამ ფეხები მოამტვრია და ამრიგად, მისი სასტარტო შემადგენლობაში გამწესება ორმაგად სარიკო იყოო. დიეგოს ნაცვლად გამთამაშებლის პოზიციაზე შააფმა ახალგაზრდა **აარონ ჰანტი** გაამწესა.

შესაბამისად, რაკილა დორტმუნდელებს დიეგოზე ნადირობა აღარ დასჭირდათ, ლაღად შეუტიეს და მე-19 წუთზე დაწინაურდნენ: **ჯოვანი ფედერიკომ მლადენ პეტრიჩისგან** კარგი პასი მიიღო და **ვიზეს** ხუთი მეტრიდან გაუტანა. გატანილი გოლის შემდეგ მატჩი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. „ბორუსიამ" პოზიციები არ დათმო და ვერც „ვერდერი" უტევდა ისე, როგორც ამ გუნდს სჩვევია. აშკარა იყო, რომ ბრემენელებს დიეგო სჭირდებოდათ, თავისი იდეებით, დრიბლინგებითა და იდეალური პასებით. შააფმა ბრაზილიელი მოედანზე 68-ე წუთზე შეუშვა. შევიდა დიეგო, მაგრამ გოლი ისევ დორტმუნდელებმა გაიტანეს: ვიზესთან პირისპირ დარჩენილმა **დიეგო კლიმოვიჩმა**, რომელმაც მანამდე **ნელსონ ვალდესი** შეცვალა, ბრემენელთა მეკარე მოატყუა და ბურთი ცარიელ კარში შეაგორა. აღსანიშნავია, რომ დორტმუნდელთა განაცხადში რვათვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ პირველად გამოჩნდა შვეიცარიელი თავდამსხმელი ალექსანდერ ფრაი, მაგრამ BVB-ს თავკაც **თომას დოლს** მოედანზე მისი შეყვანა არ დასჭირდა.

მატჩის მიწურული კი არანორალურად საინტერესო გახლდათ. მსაჯმა **ჰერბერტ ფანდელმა** სამი წუთის განმავლობაში „ბორუსიის" კარში ორი თერთმეტმეტრიანი დანიშნა, რითაც „ვერდერს" ანგარიშის გათანაბრების ჩინებული შანსი მისცა. 81-ე წუთზე **სებასტიან კელმა მარკუს როზენბერგი** მოცელა და დიეგომ პენალტი უნაკლოდ შეასრულა. 84-ე წუთი: ისევ როზენბერგი, ამჯერად მას **მარტინ ამედიკი** ეუხეშება და ისევ პენალტი – ფანდელმა კვლავ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, დიეგომ კი... **მარკ ციგლერმა** ბრაზილიელს კუთხე გამოუცნო და პენალტი შესანიშნავ ნახტომში მოიგერია!

პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: დორტმუნდელები ბოლო 12 წლის განმავლობაში პირველად გავიდნენ გერმანიის თასის მეოთხედფინალში (!) და ეს ციგლერის დამსახურებაა. BVB-ს მეკარე საერთოდ მერვედფინალის ერთ-ერთი გმირია. არადა, როგორც იცით, **რომან ვაიდენფელერის** დაშავების შემდეგ, „ბორუსიას" ახალი მეკარის ყიდვა სურდა და რომ არა **იენს ლემანის** უარი, გუშინწინ დორტმუნდელთა კარში ციგლერი არ იდგებოდა. თანაც, მიმდინარე სეზონში რამდენჯერაც კარში ჩადგა, ციგლერმა ყოველთვის შესანიშნავად იასპარეზა. ვესტფალიელებმა ამ გამარჯვებისთვის პრემიის სახით 250 000 ევრო მიიღეს.

*"ამ სეზონში „ვერდერი" უკვე მეორედ დავამარცხეთ, რაც ძალიან მიხარია, თუმცა პირველი გამარჯვებისგან განსხვავებით (3:0), დღეს აშკარად გაგვიჭირდა. ჩემი შეგირდები მეორე ტაიმში ცოტათი ნერვიულობდნენ, მაგრამ კიდევ კარგი, რომ ამას ცუდი შედეგი არ მოჰყოლია. ციგლერი კი გმირია, ეს გამარჯვება მისი დამსახურებაა,"* – განაცხადა ნამატჩევს დოლმა. შააფი კი უკმაყოფილო გახლდათ, მეტოქემ ორი შანსიდან ორი გოლი გამოაცხო, ჩვენ კი რამდენიმე რეალური მომენტი ვერ გამოვიყენეთო.



მარკ ციგლერი დიეგოს პენალტს იგერიებს

### ბაიერნმა ვუპერტალი ათამაშა

„ბაიერნმა" და „ვუპერტალმა" გელზენკირხენში კატა-თაგვობანა გაათამაშეს. ცხადია, კატის როლში რეკორდმაისტერი გახლდათ, თაგვის როლში კი მოკრძალებული „ვუპერტალი" რეგიონალლიგიდან. ბავარიელებმა უსუსტესი მეტოქე დიდხანს აწვალეს, მერე კი გადაურბინეს. ნამატჩევს **ოტმარ ჰიტცფელდმა** აღნიშნა, ნამდვილად არ მეგონა, თუ „ვუპერტალი" ამდენ ძალას და ენერგიას წაგვართმევდაო. აღსანიშნავია, რომ რეგიონალლიგელები „აუფ შალკეს" პუბლიკამ უდიდესი ოვაციებით გააცილა.

*„მოსალოდნელზე გაცილებით მძიმე სათასო მატჩი გამოვიდა. „ვუპერტალმა" პირველ ტაიმში ბევრი პრობლემა შეგვიქმნა. ჩემი შეგირდები თითქოს ფიქრობდნენ, რომ მეტოქე თავისით დამარცხდებოდა, რისთვისაც დაისაჯნენ კიდეც. მადლობა ღმერთს, რომ საბოლოოდ ყველაფერი ისე დამთავრდა, როგორც საჭირო იყო,"* – ეს ჰიტცფელდის სიტყვებია.

არადა, ბავარიელები უკვე მე-14 წუთზე დაწინაურდნენ: ანგარიში **მიროსლავ კლოზემ** თავური დარტყმით გახსნა. ამის შემდეგ იყო 200 არაადეკვატური წამი გერმანიის თასის ისტორიაში! 26-ე წუთი: **ტობიას დამის** შორეულ დარტყმას **ლუსიო** გადაელობა და ბურთს მიმართულება შეუცვალა, რის გამოც **ოლივერ კანი** უძლური გახლდათ – 1:1. 27-ე წუთი: **შტუკმანმა** და **მალიმ** ერთმანეთს ვერ გაუგეს, რითაც კლოზემ ისარგებლა და ბურთი ცარიელ კარში გადაგზავნა – 1:2. 29-ე წუთი: დამისა და **ვივერინკის** კომბინაცია „ვუპერტალის" ფორვარდ **მაჰირ სალიკის** გოლით (3 მეტრიდან) სრულდება – 2:2! გამეორებაზე ჩანს, რომ სადაო ეპიზოდია, თითქოს სალიკი თამაშგარე მდგომარეობაში იყო, მაგრამ მთავარი ის არის, რომ მსაჯმა გოლი დააფიქსირა.

ანგარიშის მოულოდნელმა გათანაბრებამ ბავარიელები ცოტა ხნით წყობიდან გამოიყვანა. მერე იყო ვულკანის ამოფრქვევა: პირით ხაზს იქით მდგომმა ბავშმა კანს ბურთი გადაუგდო, ამ უკანასკნელმა კი ბურთი ბოლმიანი დარტყმით ტრიბუნებისკენ გაგზავნა. ბავშვმა მას მეორე ბურთი გადაუგდო, მაგრამ კანმა მრგვალ საგანს კიდევ უთავაზა, ამჯერად მოედნის ცენტრისკენ, რისთვისაც ყვითელი ბარათი მიიღო. პუბლიკამ კი ოლის სტვენა აუტეხა.

როგორც ჩანს, შესვენებაზე ჰიტცფელდმა ბიჭები აზრზე მოიყვანა, რადგან მეორე ტაიმში სულ სხვა, მშვიდი, ძლევამოსილი და აზრიანი „ბაიერნი" ვიხილეთ. 50-ე წუთზე **ვან ბუიტენი რიბერის** ჩაწოდებას გამოეხმაურა და თავური დარტყმით ანგარიში 2:3 გახადა. სამ წუთში უკვე **ლუკა ტონიმ** ისარგებლა ვუპერტალელთა მეკარის შეცდომით – 2:4 და ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ 88-ე წუთზე **ჰამით ალთინთოფმაც** იხეირა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

მეოთხედფინალში გავიდა მეორე ბუნდესლიგის წარმომადგენელი „ჰოფენჰაიმიც", რომელმაც ელიტის ერთ-ერთი აუტსაიდერი როსტოკის „ჰანზა" დაამარცხა. „მილიონრებმა" მეკლენბურგელები ყველა ასპექტში დაჩაგრეს, შედეგად, „პროფესორ" **რალფ რანგნიკის** სამწყსომ მომდევნო ეტაპზე გააღწია. აღსანიშნავია, რომ 2003 წლის შემდეგ „ჰოფენჰაიმი" გერმანიის თასის მეოთხედფინალში უკვე მეორედ ითამაშებს. **მათე ღვინიანიძის** „მიუნხენ 1860-მა" კი თანალიგელი „ალემანია" მისსავე მოედანზე დაამარცხა. აახენელები 2:0-ს იგებდნენ და „ლომებმა" თამაში თავის სასარგებლოდ მატჩის მიწურულს, ზუსტად 6 წუთში, **შვარცის, კუჩუკოვიჩისა** და **ჯონსონის** გოლებით შეატრიალეს.

**გოტფრიდ ლენცი**

ჰამბურგი

# სტევენსს გროსი შეცვლის?

## ვან მარვიიკი სიიდან ამოშლილია. კანდიდატთა სიაში ბრუნო ლაბადიაც ფიგურირებს...


კრისტიან გროსი ჰამბურგის თავკაცად მოიაზრება

„ჰამბურგი" ახალი მწვრთნელის ძებნას აგრძელებს. როგორც იცით, სეზონის დასრულების შემდეგ ჩრდილოგერმანული კლუბის დამრიგებელი **ჰუუბ სტევენსი** „ეინდჰოვენს" მიაშურებს და მანამდე ჰამბურგელებმა ახალი მწვრთნელი უნდა დაიბევონ. ამ დღეებში „ჰამბურგის" ხელმძღვანელები შეიკრიბენ. შეხვედრის შემდეგ კლუბის მენეჯერმა **ბერნდ ჰოფმანმა** განაცხადა, რომ HSV მწვრთნელს, რომელიც გუნდს მომავალ სეზონში უხელმძღვანელებს, უახლოეს 6-8 კვირაში წარადგენს.

„ბილდის" ინფორმაციით, „ჰამბურგის" მომავალი მწვრთნელის წარდგენა თებერვლის ბოლოსთვის იგეგმება. კანდიდატთა სია კი ყოველდღიურად იცვლება. ასე, მაგალითად, უკვე გარკვეულია, რომ როტერდამის „ფეიენოორდის" თავკაცი **ბერტ ვან მარვიიკი** სიიდან ამოშლილია. ეს უკანასკნელი „ჰამბურგის" შეფების გეგმებში არ ჯდება. კანდიდატებად რჩებიან „მაინცის" მწვრთნელი **იურგენ კლოპი** და „ტვენტეს" თავკაცი **ფრედ რუტენი**. ახლა კი, „ბილდმა" ახალი კანდიდატის გვარი დაასახელა: „ბაზელის" მთავარი მწვრთნელი **კრისტიან გროსი**. როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იტყობინებიან, ჰამბურგელებს შვეიცარიელი სპეციალისტის გადაბირება დიდი ხანია სურთ. გროსს შვეიცარიის ჩემპიონატის ლიდერთან კონტრაქტი 2009 წლამდე აკავშირებს.

სიაშია 41 წლის **ბრუნო ლაბადიაც**, „ჰამბურგის" ყოფილი ფეხბურთელი, რომელიც ახლა მეორე ბუნდესლიგელ „ფიურტში" მუშაობს. მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ლაბადიას მწირი სამწვრთნელო გამოცდილება აქვს, „ფიურტამდე" ის მხოლოდ „დარმშტადტს" წვრთნიდა, რომელიც ობერლიგიდან რეგიონალლიგაში გადაიყვანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ვესლი სნაიდერთან

# ჯერ არაფრისთვის მიგვიღწევია

## თუმცა ცხრაქულიანი უპირატესობა უკვე ძალიან მრავლისმეტყველია



**თამამად შეიძლება ითქვას, რომ გასულ კვირას ვესლი სნაიდერმა "რეალს" უდიდესი სამსახური გაუწია. ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა "ვილიარეალის" მიერ ანგარიშის გათანაბრებიდან ზუსტად ერთ წუთში შეაგდო და სამეფო კლუბს უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოუტანა. უმნიშვნელოვანესი იმდენად, რამდენადაც "ბარსელონა" მადრიდულ გრანდს ერთბაშად ცხრა ქულით ჩამორჩა. ესპანელი მიმომხილველების საკმაოდ სოლიდური ნაწილი მიიჩნევს, რომ ფრენკ რაიკაარდის შეგირდები ამხელა ჰანდიკაპის ამოქაჩვას ვერ შეძლებენ. თუ ეს მართლაც ასეა, სნაიდერი "რეალის" ერთ-ერთი გმირი ყოფილა...**

**- რა გრძნობა დაგეუფლათ, როცა შეცვლაზე შესვლიდან რამდენიმე წუთში გამარჯვების გოლი გაიტანეთ?**

- ჩემმა გოლმა სამი ქულა მოგვიტანა, ამიტომ ის ძალიან მნიშვნელოვანი გახდათ. ყოველთვის ბედნიერი ხარ, როცა გოლი გაგაქვს. ეს კი განსაკუთრებული შემთხვევა გახლდათ. მოედანზე 72-ე წუთზე შევედი და ბურთთან პირველივე შეხება გოლად ვაქციე. უზომოდ ბედნიერი ვარ.

**- მიმდინარე სეზონში ექვსი გოლი გაქვთ გატანილი. უცნაური და კურიოზულია, რომ ექვსივე მეორე ტაიმებში...**

- აბსოლუტურ სიმართლეს ბრძანებთ. "ბერნაბეუზე" რატომღაც სწორედ იმ ტრიბუნის წინ მდებარე კარში ვიტან, სადაც ეგრეთ წოდებული ულტრასები სხედან. სხვათა შორის, "აიაქსშიც" ძირითადად მეორე ტაიმში გამქონდა. მაშინაც და ახლაც ძალიან ბედნიერად ვგრძნობ თავს.

**- ბოლო დროს ტრავმებისა თუ სხვა მიზეზების გამო იშვიათად გიწევთ თამაში. თავდაჯერებულობის განსამტკიცებლად ეს გოლი, ალბათ, ძალიან გჭირდებოდათ...**

- რა თქმა უნდა. ვიმეორებ, გოლის გატანა ყოველთვის სასიხარულოა, განსაკუთრებით, თუ მას გამარჯვება მოაქვს შენი გუნდისთვის. არ დაგიმალავთ, პირველი ან მეორე გოლი რომ გამეტანა, ამდენად ბედნიერი არ ვიქნებოდი. ცხადია, მაშინაც გამიხარდებოდა, მაგრამ რა დასამალია, რომ გამარჯვების მომტანი ბურთის შეგდება სულ სხვა ემოციებთანაა დაკავშირებული.

**- როგორ ფიქრობთ, "ვილიარეალთან" მატჩში გამარჯვებით პრიმერა დივიზიონის ბედი გადაწყვიტეთ?**

- არა. ვიცით, რომ 9-ქულიანი უპირატესობა უმნიშვნელოვანესია, თუმცა სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით ესპანეთში 9 ქულით დაწინაურება ბევრს არაფერს ნიშნავს. მიზეზი მარტივია, ყოველ უქმეებზე ურთულესი მატჩების გამართვა გვიწევს. მნიშვნელობა არ აქვს, ვინ გვიპირისპირდება, დიდი წარსულისა და ტრადიციების მქონე გუნდი, თუ გამოკვეთილი აუტსაიდერი, სამეფო კლუბს ყველა განსაკუთრებული შემართებით ებრძვის. ამიტომ, სატურნირო ცხრილში გარკვეულ ცვლილებებს ვერავინ გამორიცხავს. იმისათვის, რომ ჩემპიონები გავხდეთ, მუდმივი კონცენტრაცია და ბეჯითი შრომაა საჭირო.

**- ისე საუბრობთ, თითქოს "ბარსელონას" არა ერთბაშად ცხრით, არამედ ერთი ქულით უსწრებდეთ...**

- აკი უკვე განვაცხადე, რომ ცხრაქულიანი უპირატესობა ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა არაფრით არ შემიძლია ვთქვა, პრიმერა დივიზიონმა აზრი დაკარგა და ჩვენ ჩემპიონები ვართ-მეთქი. ჩვენ ჯერ არაფრისთვის მიგვიღწევია.

**- გულშემატკივრებს თქვენი სტილი ძალიან მოსწონთ და ყოველთვის ცდილობენ, პატივისცემა დაგიმტკიცონ. გრძნობთ მათ თბილ დამოკიდებულებას?**

- საოცარია, როცა აბსოლუტურად უცნობ ადამიანებს ისე უყვარხარ, როგორც საკუთარი ოჯახის წევრი. უკვე თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ "რეალზე", მის გულშემატკივრებსა და ესპანეთის დედაქალაქზე ჭკუას ვკარგავ. აქ ცხოვრებით ვტკბები. საოცრად მომწონს ხალხის ჩემდამი დამოკიდებულება. ყოველ წამს ვგრძნობ, რომ მადრიდელებს ვუყვარვარ და მაფასებენ. მსურს, მომავალში კიდევ უფრო კარგად ვითამაშო, რათა ქომაგებს გული არ გაუცივდეთ. პატივისცემა "აიაქსშიც" არ მაკლდა, მაგრამ აქ სულ სხვა გარემო და ატმოსფეროა.

**- თქვენზე აღმაფრენით არა მარტო გულშემატკივრები, არამედ ფეხბურთელებიც საუბრობენ. მაგალითად, რობინიო...**

- (იცინის) რობინიო გენიალური ფეხბურთელი და ასეთივე ადამიანია. მას სხვისი წარმატება უზომოდ ახარებს. ბრაზილიელს გუნდში მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს. მოედანზე რასაც აკეთებს, ყველა ხედავს, მაგრამ ბევრმა არ იცის, გასახდელში რა ხდება. რობინიო ყველას მეგობრულად ეხუმრება და ამით ახერხებს, "რეალში" სასიამოვნო გარემო შექმნას. დაუჯერებლად ძლიერი ფეხბურთელია.

**- როგორ ფიქრობთ, შეძლებს ის ოდესმე ოქროს ბურთის მოპოვებას?**

- მის შესაძლებლობებში ეჭვი ოდნავადაც არ მეპარება. რობინიო თამაშიდან თამაშამდე უმატებს. ყოველ დღე უფრო კარგად თამაშობს. ვფიქრობ, შორს არ არის ის დრო, როცა ჩვენი თანაგუნდელი ოქროს ბურთს შეწვდება. ისიც ვიცი, ეს არ იქნება მისი ერთადერთი პერსონალური ჯილდო. რობინიოს აბსოლუტურად ყველა პირობა აქვს იმისთვის, რომ ყველა ტიტული მოიხვეჭოს. ვარჯიშებზე მის წინააღმდეგ ხშირად ვთამაშობ. ვერ ალგიწერთ, რამდენად რთულია ბრაზილიელის შეჩერება. მოკლედ, ჩემი თქმის გარეშეც ყველასთვის ნათელია, რომ რობინიო მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი უდიდესი ვარსკვლავია.

**- რამდენიმე დღის წინ რობინიო 24 წლის გახდა, იყავით მის დაბადების დღეზე? სხვათა შორის, მაშინ თქვა, ჩემთვის ყველაზე დიდი საჩუქარი "ვილიარეალის" დამარცხება იქნება, ხოლო გოლსაც თუ გავიტან, კიდევ უფრო ბედნიერად ვიგრძნობ თავსო...**

- დიახ, ვიყავი და შესანიშნავი დროც გავატარე. თუ არ ვცდები, დაბადების დღის გადახდის იდეა, "დიარიო ასისგან" მოდიოდა. ამისათვის პირადად მე გიხდით მადლობას. რა თქმა უნდა, შესანიშნავია, როცა სურვილი გისრულდება და გოლებს იტან.

**- "ვილიარეალმა" სერიოზული პრობლემები შეგიქმნათ. ეს რითი უნდა აიხსნას?**

- "ვილიარეალს" დიდ გუნდს ვუწოდებდი, ყოველ შემთხვევაში, პელეგრინის ბიჭები ძალიან ორგანიზებულად და გამართულად თამაშობენ. შემადგენლობაც ძალიან მომწონს, როსი და ნიჰათი ძლიერი მოთამაშეები არიან. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, არავის უნდა გაუკვირდეს, რომ "ვილიარეალმა" პრობლემები შეგვიქმნა. კიდევ კარგი, რობერ პირესმა თამაში ვერ შეძლო. "ვილიარეალი" ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების რეალური კანდიდატია. ისინი ყველაფერს შრომის ფასად, სრულიად დამსახურებულად აღწევენ.

**- ჰო მართლა, გატანილი გოლი ცოფიანივით აღნიშნეთ. ასე ძალიან გაგიხარდათ?**

- განა ეს პირველი შემთხვევა იყო! ალბათ, დაგავიწყდათ, რომ მე ნებისმიერ გოლს ასევე ცოფიანივით ალვნიშნავ. მეტოქის კარში ბურთის შეგდებაზე მეტად არაფერი მსიამოვნებს. როგორც თავად აღნიშნეთ, "ვილიარეალმა" სერიოზული პრობლემები შეგვიქმნა. გამიხარდა, რომ "რეალი" დავაწინაურე. ჩემი გოლით გამარჯვებას ერთ ნაბიჯში მივუახლოვდით. გარდა ამისა, ვიცოდით, რომ "ბარსელონამ" "სან მამესზე" "ბილბაოს" ვერ მოუგო და გვსურდა, ქულათა სხვაობა კიდევ უფრო გაგვეზარდა. ასეც მოხდა. მოკლედ, ვესლი სნაიდერის გოლმა მართლაც განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. და თქვენ კიდევ გიკვირთ, რატომ ვგავდი გაცოფებულ ადამიანს?

**- "ვილიარეალთან" განსაკუთრებით კარგად გამოგდით თამაში. პრიმერა დივიზიონის ორ შეხვედრაში ამ გუნდს სამი გოლი გაუტანეთ...**

- დარმწმუნებული ვარ, "ვილიარეალის" ქომაგებს საშინლად ვეზიზღები (იცინის). არა უშავს, მთავარია, "რეალის" გულშემატკივრების სიყვარული არ დავკარგო. სადებიუტო გოლი პირველივე "ტურში" "ატლეტიკოს" გავუტანე. შემდეგ "ვილიარეალის" და "ალმერიას" ჯერი დადგა.

**- საკვირაო შეხვედრების შემდეგ ჩემთვის წარმოუდგენელია, "რეალს" ჩემპიონობა ხელიდან გაუსხლტეს. თქვენც ასე ფიქრობთ?**

- თეორიულად არაფერია შეუძლებელი, მაგრამ ცოცხალი თავით არ უნდა დავუშვათ, რომ ცხრაქულიანი უპირატესობა გავფლანგოთ და ცხოვრება გავირთულოთ. წინ მრავალი ტურია და წარმოუდგენელი სულაც არ არის, "ბარსელონამ" ამ ჰანდიკაპის ამოქაჩვა შეძლოს. მთავარია, ჩვენ არ დავუშვათ შეცდომები. დღეს ბევრი საუბრობს, რომ "რეალი" ესპანეთის ფაქტობრივი ჩემპიონი გახდა, მაგრამ ჩვენს გასახდელში თუ შემოიხედავთ, აღმოაჩენთ, რომ ამაზე არავინ საუბრობს. მუშაობას ჩვეულებრივი რიტმით ვაგრძელებთ. განა ნათელი არ არის, რომ ჯერ არაფრისთვის მიგვიღწევია? პროფესიონალმა ზეიმი წინასწარ არ უნდა წამოიწყოს, თორემ ზეიმი უბედურებად გადაექცევა.

**- მრავალი ადამიანი, ჩემი ჩათვლით, ფიქრობს, რომ მარცხენა ფლანგზე უფრო სასარგებლო ხართ, ვიდრე მარჯვენაზე...**

- გეთანხმებით. საქმე ის არის, რომ მარჯვენა ფლანგზე ძალიან რთულია თამაში. მოედნის ამ მხარეს "რეალს" გარემარბი არ ჰყავს. აი, მარცხნივ კი რობინიო ასპარეზობს. ბუნებრივია, მასთან ერთად ყველაფერი უფრო იოლია. მარჯვენა ფრთაზე ფაქტობრივად მარტო ვარ ხოლმე და ძალიან მიჭირს. თითქმის ყოველთვის ორ მცველთან მარტო მიხდება შებრძოლება. საპირისპირო მხარეს კი მე და რობინიო ადგილებს ვიცვლით და მეტოქეებს თავბრუს ვახვევთ. რათ უნდა ლაპარაკი, რომ ბრაზილიელთან ერთად უფრო კომფორტულად ვგრძნობ თავს, ვიდრე მარტო.

**- მას შემდეგ, რაც "ბარსელონამ" "სან მამესზე" ქულები დაკარგა, "ვილიარეალთან" სათამაშოდ დაძაბულები გახვედით? ალბათ, გარკვეულ წნეხში აღმოჩნდებოდით, რადგან ფანტასტიკური შანსი მოგეცათ იმისთვის, რომ კატალონიელებისთვის კიდევ უფრო მეტი ქულით გაგესწროთ...**

- არა, არანაირი წნეხი არ დაგვმუქრებია. კვირამდე შვიდი ქულით ვიყავით წინ, მაგრამ ძალიან გაგვიხარდა, რომ "ბარსამ" "ბილბაოს" ვერ მოუგო და მართლაც ფანტასტიკური შანსი მოგვეცა, რათა სხვაობა გაგვეზარდა. მოკლედ, არანაირი პრობლემა არ შეგვქმნია. შანსი მოგვეცა და კარგადაც გამოვიყენეთ.

**- ცხრაქულიანი უპირატესობა დამშვიდების საშუალებას გაძლევთ?**

- რა თქმა უნდა. გასული ერთი თვის განმავლობაში "რეალმა" ურთულესი შეხვედრები გამართა. თავად განსაჯეთ, "კამპ ნოუზე" და "ვისენტე კალდერონზე" გავიმარჯვეთ. ახლა პრიმერა დივიზიონის კიდევ ერთ გრანდს, "ვილიარეალსაც" მოვუგეთ. ყველა გამოცდა ბრწყინვალედ ჩავაბარეთ. ვფიქრობ, ახლა შედარებით იოლი თამაშები გვექნება, რაც თავისთავად გვაძლევს დამშვიდების საშუალებას... თუმცა არ მინდა იფიქროთ, რომ მოვდუნდებით და ჯოჯოხეთური შრომის ფასად მოპოვებულ ქულებს გავანიავებთ. არამც და არამც! დამშვიდებაში უპიასუხისმგებლობას არ ვგულისხმობდი. უბრალოდ იმას მოგახსენებდით, რომ "ბარსელონისა" და "ატლეტიკოს" მათსავე მოედანზე დამარცხება ძალიან რთულია. ვგონებ, უახლოეს მომავალში ამდენად ძნელი თამაშები აღარ გვექნება. თებერვალში აშკარად უფრო კარგი კალენდარი გვაქვს. აი, მარტში კი ისევ გვირთულდება ცხოვრება, "სევილიასა" და "ვალენსიასთან" მოგვიწევს დაპირისპირება. ეს არის და ეს (იცინის).

**- აქვე ისიც აღვნიშნოთ, რომ "სევილიასა" და "ვალენსიას" "სანტიაგო ბერნაბეუზე" უმასპინძლებთ...**

- წელს ჩვენს სტადიონზე ყველა თამაში მოვიგეთ. იმედია, მომავალშიც ასე გავაგრძელებთ. საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ თამაში განსაკუთრებულ მოტივაციას გვძენს. რა თქმა უნდა, მათი დამსახურებაცაა, რომ "ვილიარეალთან" შესანიშნავად ვითამაშეთ და ურთულესი მატჩი მოვიგეთ. ინჩასებმა არა მარტო მოტივაცია შეგვმატეს, არამედ ეგრეთ წოდებული მე-12 ფეხბურთელის ფუნქციაც შეასრულეს.

**- გულშემატკივრების მიერ მე-12 ფეხბურთელის ფუნქციის შესრულება ლამაზ ზღაპარს ჰგავს. თქვენი გუნდისთვის კი რეალობა აშკარად არ იყო ზღაპარივით მომხიბვლელი. კვირას სერიოზული საკადრო პრობლემები გქონდათ...**

- დიახ, ფეხბურთელთა საკმაოდ დიდი ნაწილი ტრავმირებული იყო, დიარა კი აფრიკის თასზე ასპარეზობს და ბუნებრივია, ვერ დაგვეხმარა. მიუხედავად ყველაფრისა, უმაღლესი დონის ფეხბურთი ვაჩვენეთ. ეს გარემოება ნათლად მეტყველებს, რომ მადრიდის "რეალი" პლანეტის საუკეთესო კლუბია. პრიმერა დივიზიონში მეორეადგილოსან "ბარსას" ცხრა ქულით ვუსწრებთ, "ვილიარეალს" კი თხუთმეტით. რა თქმა უნდა, არ ვაჭარბებ, როცა ვაცხადებ, რომ საუკეთესოები ვართ.

**- კი მაგრამ, სპეციალისტთა საკმაოდ სოლიდური ნაწილი ამტკიცებს, რომ "ბარსელონა" უფრო სანახაობრივად თამაშობს...**

- ვითომ? თეორიული მსჯელობა ერთია, რეალური სურათი კი - მეორე. ველარც კი დავთვლი, მერამდენედ ვიმეორებ, "ბარსელონა" ცხრა ქულით ჩამოგვრჩება. რაღაც არ მგონია, გუნდი უკეთესად თამაშობდეს და კონკურენტი ასე უსწრებდეს. ვგონებ, "ბარსას" მოყვარულ ჟურნალისტთა სუბიექტურ მოსაზრებებთან გვაქვს საქმე.

**ილია ნიკოლაიშვილი**

## ხელბურთი



ინტერვიუ შოთა თევზაძესთან

# ჩელენჯი კარგი იყო, ვნახოთ, ევროპაზე ვინ შეგვხვდება

**საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ნაკრების ძირითადი მეკარე შოთა თევზაძე ახლახან ევროპას დაუბრუნდა. როგორც იცით, თურქეთიდან წამოსვლის შემდეგ, იგი ცოტა ხნით საქართველოს ჩემპიონატში ბურთაობდა სტუ-"თელავის" შემადგენლობაში, ახლახან კი შვედეთის უმაღლესი დივიზიონის კლუბ „მალმიოში" გადაბარგდა. გუშინ შოთას შვედეთში შევეხმიანეთ და საკლუბო ამბები გამოვკითხეთ. გარდა, ამისა, რაღა თქმა უნდა, ეროვნულ ნაკრებზეც ვისაუბრეთ.**

- როგორც იცით, „მალმიოში" სინჯებზე ვიყავი. რამდენიმე ამხანაგურ მატჩში მათამაშეს, მწვრთნელებს მოვეწონე და კლუბში ჩამრიცხეს. კონტრაქტი სეზონის ბოლომდე გავაფორმე, მერე კი გადავხედავ სიტუაციას და გუნდის ხელმძღვანელობასთან ერთად გადავწყვეტ, დავრჩები თუ არა. ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, რომელ ადგილზე დაამთავრებს „მალმიო" სეზონს და რა პირობებს შემომთავაზებენ.

**- რა დონის კლუბია „მალმიო"?**

- უმაღლეს ლიგაში წლეულს გადმოვიდა და როგორც ასეთი გუნდების უმრავლესობას, მასაც გაუჭირდა ამ სეზონში. პირველი წრის შემდეგ, 14-გუნდიანი ჩემპიონატში მე-13 ადგილზეა. პირველ ლიგაში პირდაპირ ბოლო ორი გუნდი ვარდება, ორი კი ფლეი ოფში თამაშობს. „მალმიოს" მთავარი ამოცანაა უძლიერესთა რიგებში ადგილის შენარჩუნება და ზამთრის არდადეგებზე შემადგენლობის გაძლიერებაზე ზრუნავდნენ. მეც ამიტომ დამიმატეს.

**- ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრების პრობლემა ხომ არ გექნება?**

- არა მგონია. 2 კონკურენტი მყავს, მაგრამ რაც აქ ჩამოვედი, ყველა საკონტროლო მატჩში მე დამაყენეს ძირითად მეკარედ. დღეს მეორე წრე იხსნება, სატურნირო ცხრილის შუაში მყოფ „ლინდესბერგს" ვხვდებით და წესით, ჩემი ოფიციალური დებიუტი უნდა შედგეს. ამ გუნდთან „მალმიომ" პირველ წრეში წააგო, მაგრამ ვიმედოვნებ, დღეს წარმატებული დებიუტი მექნება და მოვიგებთ.

**- საქართველოს ნაკრებზე გადავიდეთ. ახლახან, ნაკრების შემადგენლობაში „ჩელენჯ ტროფი" მოიგე. როგორ შეაფასებ ამ მოვლენას?**

- ეს იყო ძალიან საჭირო გამარჯვება. აქამდე ხომ ჩვენს ეროვნულ ნაკრებს არცერთი ტურნირი არ მოუგია. მეამაყება, რომ საქართველოს ნაკრების წევრი ვარ!

**- ფინალში „ლუქსემბურგთან" ბოლო წუთებზე ცოტა არ იყოს, გვანერვიულეთ...**

- ხელბურთი ისეთი სპორტია, რომ ყოველ წუთს იცვლება მოვლენები ხან ერთი, ხან მეორე გუნდის სასარგებლოდ. თუკი წარმატების მიღწევა გინდა, მთელი 60 წუთი მაქსიმალურად მობილიზებული უნდა იყო. ბოლო წუთებზე ექვსბურთიანი ფორის მინიმუმამდე შემცირება ალბათ უფრო იმის ბრალი იყო, რომ ზედმეტად დავიძაბეთ და ავნერვიულდით. არა უშავს, მთავარია რომ მოვიგეთ.

**- საკუთარ და თანაგუნდელების თამაშზე რას იტყვი?**

- ჩემზე ლაპარაკი მუდამ მიჭირს. რაც არ უნდა ძლიერად ვითამაშო, მაინც არასოდეს ვარ ჩემი თავით ბოლომდე კმაყოფილი და უფრო მეტი მინდა. რაც შეეხება ნაკრების დანარჩენ წევრებს, არც მათგან გამოვარჩევ ვინმეს. ხელბურთი გუნდური თამაშია და მთელმა გუნდმა მივაღწიეთ წარმატებას.

**- წინ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპია, სადაც „ჩელენჯ ტროფიზე" გაცილებით ძლიერი მეტოქეები შეგვხვდებიან. როგორ ფიქრობ, არის თუ არა მზად ნაკრები იმისათვის, რომ საკვალიფიკაციო ეტაპზეც მიაღწიოს წარმატებას?**

- შეუძლებელი არაფერია, მაგრამ სანამ შანსებზე ვილაპარაკებდეთ, ჯერ ის უნდა გაირკვეს, თუ რომელი გუნდები შეგვხვდებიან ჯგუფში მეტოქეებად. ზოგადად კი იმის თქმა შემიძლია, რომ საქართველოს ნაკრებს ჰყავს კარგი შემადგენლობა და აქვს პოტენციალი. ნამდვილად შეგვიძლია, რომ სერიოზულ გუნდად ჩამოვყალიბდეთ. ვიმედოვნებ, შემოდგომამდე ტიტე კალანდაძეც გამოჯანმრთელდება, რომელიც სერიოზული ძალაა.

აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზეც, თუ რა პირობები ექნება ნაკრებს საკვალიფიკაციო ეტაპისათვის მოსამზადებლად. როგორც გვპირდებიან, გვექნება შეკრებები და საკონტროლო მატჩები. თუ ასე იქნება, ამას რა ჯობს, ჩვენი წარმატების შანსები უფრო გაიზრდება.

**კობა ხატისაშვილი**

## ანტიკური ჭიდაობა

საქართველოს ჩემპიონატი

# ვახტანგაძე გააცილეს

გუშინ ბათუმში დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ასპარეზობა სამ წონით კატეგორიაში გაიმართა. ერთმანეთს 84, 96 და მძიმე წონის ფალავნები დაეჭიდნენ ერთმანეთს. ფინალურ ორთაბრძოლებამდე სპორტიდან საზეიმოდ გააცილეს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი მსოფლიო ჩემპიონი, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე, მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების პრიზიორი, მსოფლიო თასის ორგზის მფლობელი და ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი **მუხრან ვახტანგაძე**, რომელმაც მილოცვებთან ერთად ფასიანი საჩუქრები მიიღო.

84-კგ. წონით კატეგორიაში მესამე ადგილებზე აფხაზეთის წარმომადგენელი **დავით უბირია** და აჭარელი **ზაზა შავაძე** გავიდნენ. ფინალში კი ერთმანეთს თბილისელები **ვლადიმერ გეგეშიძე** და **დათო ქარჩავა** შეხვდნენ. შეხვედრა გეგეშიძის უპირატესობით წარიმართა და ორი პერიოდის ჯამში ჩემპიონი სწორედ ის გახდა.

ორი პერიოდი დასჭირდათ ჩემპიონის გამოსავლენად 96-კგ. წონაში მოჭიდავეთაც. **გივი მორჩილაძისა** (თბილისი) და რუსთაველი **გენო ხელაიას** დაპირისპირება მორჩილაძის გამარჯვებით დასრულდა. მესამე ადგილებზე აჭარის წარმომადგენელი **გელა ჩხაიძე** და რუსთაველი **ალეკო ბურდილაძე** გავიდნენ.

მძიმეწონოსანთა ასპარეზობაში ფინალში ერთმანეთს შარშანდელი მეტოქეები დაუპირისპირდნენ. **გურამ ფერსელიძე** (აჭარა) ოზურგეთელ **რეზო ჭელიძეს** დაეჭიდა. თითო მომგებიანი პერიოდის შემდეგ დამატებითი დრო დაინიშნა. ჩოქბჯენში მყოფმა ფერსელიძემ ქულა აართვა მეტოქეს და დანინაურდა. შემდეგ ჭელიძის ჯერი დადგა. პარტერში მყოფი ოზურგეთელი ფალავანი გაუძალიანდა ფერსელიძეს, თუმცა, საბოლოოდ მან მოახერხა ორქულიანი ტრიალის გაკეთება, მაგრამ ყველაფერი დროის გასვლის შემდეგ მოხდა და საქართველოს ჩემპიონი ზედიზედ მეორედ რევაზ ჭელიძე გახდა. აღნიშნულ წონაში მესამე ადგილებზე თბილისელები – **ოთარ ბოლქვაძე** და **დიმიტრი ჯავახიშვილი** გავიდნენ.

**ირაკლი დარცმელიძე**
ბათუმიდან

## ჭადრაკი

საქართველოს ჩემპიონატი. ვაჟები, პირველი ლიგა

# ზედიზედ მეორედ

დასრულდა საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის გათამაშება და ის ექვსეულიც ცნობილია, ვინც მარტის შუა რიცხვებში საქართველოს ჩემპიონატში უნდა იბრძოლოს. გამარჯვებული ერთი ტურით ადრე ბათუმელი ოსტატი **გაიოზ ნიგალიძე** გახდა - გაიოზი 7.5 ქულით ყველასთვის მიუწვდომელი იყო და მშვიდად შეეძლო მეცხრე ტურში მაგიდას მისჯდომოდა. მისი მეტოქე თანაქალაქელი **ნინო ბაციაშვილი** გახლდათ. ნინოს ფინალში მოსახვედრად ნახევარი ქულა სჭირდებოდა და როგორც ჩვენ წინა წერილში ვივარაუდეთ, ნიგალიძე ყაიმზე სწრაფად შეუთანხმდებოდა მეგობარს. ასეც მოხდა და ბაციაშვილმა უმაღლესში თამაშის უფლება მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ ნინომ ორი კვირით ადრე ქალთა პირველ ლიგაშიც იასპარეზა და არცთუ წარმატებულად - შვიდეულში ვერ მოხვდა, და მერვე ადგილზე გავიდა. ამის მიუხედავად ბაციაშვილს დიდი შანსი აქვს, ქალთა ფინალშიც მოხვდეს, თუკი რომელიმე მონაწილე უარს იტყვის ასპარეზობაზე. ასეც რომ არ გამოვიდეს, კაცთა ფინალურ ეტაპზე გასვლა საკმაოდ კარგი წარმატებაა - შემადგენლობით და სიძლიერით კაცთა პირველი ლიგა აშკარად ჯობდა ქალთა პირველ ლიგას.

ნიგალიძემ ცხრიდან 8 ქულით დაასრულა ტურნირი, რაც ბრწყინვალე შედეგია. გაიოზის საჭადრაკო ძლიერებაზე არაერთხელ დავწერეთ და თუკი მის ნიჭს სათანადოდ დააფასებენ და მხარდაჭერას გამოუცხადებენ, მსოფლიო კლასის დიდოსტატად ჩამოყალიბდება. გაიოზმა პირველი ლიგა შარშანაც მოიგო და უმაღლესშიც წარმატებით ითამაშა, - მხოლოდ ფინიშზე წაიფორხილა. წელს უმაღლესი ლიგა კაცებში შარშანდელისგან განსხვავებული სისტემით - ნოკაუტით ტარდება, ამიტომ რთულია იმის თქმა, რამდენად წარმატებული იქნება ნიგალიძის გარჯა, თუმცა დიდი შანსი აქვს რამდენიმე წრე გაიაროს.

მეორე ადგილზე 7 ქულით **ლუკა პაიჭაძე** გავიდა, რომელმაც თეთრებით სწრაფი ყაიმი გააფორმა **პარმენ გელაზონიასთან**. პაიჭაძისთვის ნახევარი ქულა მეორეს გარანტია იყო, გელაზონიასთვის კი საეჭვო პერსპექტივას ატარებდა - 6 ქულით პარმენი მერვე ადგილზე გავიდა და უმაღლესში თამაშის ძფიძმ კი რჩება, მაგრამ ამისთვის მაღალი რეიტინგია საჭირო. გელაზონის რეიტინგული მაჩვენებელი არცთუ მაღალია - 2361.

მესამე ადგილზე **დავით ლომსაძე** გავიდა 6.5 ქულით, რომელმაც გადამწყვეტი პარტია თეთრებით მოუგო **ნოდარ დავარაშვილს**. დავითისთვის ეს წარმატება მნიშვნელოვანია და იმედია, უმაღლესშიც სათანდოდ გაირჯება. ბაციაშვილს მეოთხე ადგილი ერგო 6.5 ქულით.

მეხუთეზე **შოთა აზალაძეა**, რომელმაც გადამწყვეტი ქულის მოპოვება **ალეკო მანაშვილის** დამარცხებით შეძლო. შოთას შავი ფერი ჰქონდა, რაც კიდევ უფრო აძნელებდა გამარჯვებას, მაგრამ მოახერხა გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება და უმაღლესის საგზურიც მოიპოვა.

მეექვსე საგზურის მფლობელი **ივერი ჭილლაძე** გახდა, რომელმაც მეცხრე ტურში თეთრებით ქულა გაუყო **ლევან ბრეგაძეს**. ივერის კოეფიციენტი ჰქონდა კონკურენტებზე მაღალი და ამიტომ მიენიჭა უპირატესობა - 6 ქულა ექვსმა მოჭადრაკემ დააგროვა.

ტურნირი როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკმაოდ ძლიერი და საინტერესო გამოდგა. დიდი სენსაციები არ დაფიქსირებულა, თუმცა მოულოდნელი შედეგები კი იყო. უმცროსი ასაკის მოჭადრაკეებიდან თავი ვერავინ გამოიჩინა. აშკარად მეტს ველოდით **ირაკლი ბერაძისგან**, მაგრამ ამჯერად თამაში არ გამოუვიდა. ოთხი მანდილოსნიდან ერთმა თავი კარგად დაგვამახსოვრა - ბაციაშვილი რჩეულთა შორისაა, დანარჩენმა სამმა კი ფინიშისკენ წაიფორხილეს: **ალექსანდრა ვახანიამ** 5 ქულით მეთექვსმეტე ადგილზე გასვლა შეძლო, რაც არცთუ ცუდი შედეგია; **მერი არაბიძემ** 4.5 ქულით მეოცე ადგილი დაიკავა - ესეც ნორმალური შედეგია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რეიტინგით მერი 29-ე იყო. 4.5 ქულა დააგროვა და უარესი კოეფიციენტის გამო ოცდამესამე ადგილზე გავიდა სოფო ხუციძე. სოფო რეიტინგით მეორმოცე იყო და, რა თქმა უნდა, 23-ე ადგილი მშვენიერი შედეგია.

ბევრჯერ დავწერეთ და გავიმეორებთ - ყველაზე საინტერესო 59 წლის **გიორგი ციხელაშვილის** გამოჩენა იყო. ვეტერანმა, რომელიც თავის დროზე მეტად რიგიანი მოჭადრაკე ბრძანდებოდა, ტურნირის პირველ ნახევარში ბრწყინვალე შედეგი აჩვენა და ფავორიტებს სძლია. ხუთი ტურის შემდეგ ოთხი ქულა ჰქონდა. სამწუხაროდ, ბოლო ოთხი შეხვედრა დათმო და ქულათა მარაგს ვერაფერი შემატა. აშკარა იყო, ბატონი გიორგი დაიღალა, - დაიჩივლა კიდეც - ერთი დასვენების დღე მაინც იყოს, სული რომ მოვითქვათო, მაგრამ ორგანიზატორებს ასეთი დღე არ ჰქონდათ გათვალისწინებული და ამიტომ უწყვეტ რეჟიმში მოუწია ასპარეზობა.

ერთიც უნდა აღვნიშნო: ტურნირი 48 მონაწილემ დაიწყო, მაგრამ 38-მა დაასრულა. 10 მონაწილის გამოკლება საკმაოდ საყურადღებო მოვლენაა - მართალია, ზოგმა ავადმყოფობის გამო თქვა უარი თამაშის გაგრძელებაზე, მაგრამ ზოგიერთის გადაწყვეტილება სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე იყო. ასეთი რამ ხშირად ხდება, მაგრამ ალბათ რაღაც დაცვის სისტემა უნდა იქნას შემუშავებული, რომ ასეთი მასობრივი ხასიათი არ მიეცეს.

**საბოლოო ცხრილი**

პირველი ათეული

1. გაიოზ ნიგალიძე-8
2. ლუკა პაიჭაძე-7
3. დავით ლომსაძე-6.5
4. ნინო ბაციაშვილი-6.5.
5. შოთა აზალაძე-6
6. ივერი ჭილლაძე-6
7. ლევან ბრეგაძე-6
8. პარმენ გელაზონია-6
9. თამაზ მგელაძე-6
10. ალექსანდრე ყაჭაშვილი-6





ოლგა გოვორცოვა

ფედერაციის თასი

# ნაგებით დავიწყეთ

საქართველოს ნაკრებმა ფედერაციის თასის ევროპა-აფრიკის I ზონაში ასპარეზობა მარცხით დაიწყო. ზონაში შარშან ალზევებულმა **ლალი ზერეკიძის** ნაკრებმა ულაპარაკოდ წააგო ჯგუფის ფავორიტ ბელარუსთან - 0:3. ერთადერთი ის გვახარებს, რომ ერთეულთა მატჩებში ჩვენებმა ბრძოლა გაუმართეს მეტოქეს, განსაკუთრებით ეს **ოქსანა კალაშნიკოვაზე** ითქმის.

ნომერ მესამე კორტზე ჯერ **დარია კუსტოვა** და **სოფიო ქვაცაბაია** გავიდნენ. ქვაცაბაია 19 წლისაა, ის ერთეულებში მსოფლიოს 693-ე ჩოგანია, გაცილებით უკეთ კი წყვილებში თამაშობს (472). დარია კუსტოვა 21 წლისაა და მსოფლიოს 188-ე ჩოგანია (წყვილებში 78). თუმცა პირველ სეტში ქართველმა ბრძოლა შესთავაზა მეტოქეს, კუსტოვამ მხოლოდ ბოლოსკენ მოახერხა სეტის მოგება, მეორე სეტი კი ბელარუსმა იოლად მოიგო - 5:7, 2:6. სლავები 1:0 დაწინაურდნენ.

გადამწყვეტი მატჩი გუნდის ლიდერებს შორის უნდა გამართულიყო, ბელარუსებმა ბოლო მომენტში შეცვალეს გადაწყვეტილება და **ტატიანა პუჩეკი ოლგა გოვორცოვათი** შეცვალეს. ეტყობა, ქვაცაბაიასგან არ მოელოდნენ ამხელა წინააღმდეგობას და ყოველი შემთხვევისთვის ლიდერს უხმეს, რომელსაც პირველ დღეს ასვენებდნენ. გოვორცოვა ორი წლით უფროსია კალაშნიკოვაზე, ახალგაზრდებში თუ გოვორცოვამ მერვე ჩოგნობამდე მიაღწია, ოქსანას საუკეთეს მაჩვენებელი მე-11 ადგილი იყო. დიდებში კი ქართველი ახლა იწყებს (მსოფლიოს 643-ე ჩოგანია), მაშინ როცა გოვორცოვა უკვე 47-ე ჩოგანია. პირველი სეტი ფავორიტმა იოლად მოიგო - 2:6, მეორეში კი, მოულოდნელად, კალაშნიკოვამ იმარჯვა - 6:3. საბოლო გამარჯვება მაინც გოვორცოვას დარჩა - 6:2, 3:6, 6:3. ანგარიში 2:0 გახდა სლავთა სასრაგებლოდ და მატჩის ბედიც გადაწყდა.

წყვილთა თანრიგში კი სრული ფიასკო გველოდა, **იმა ბოჰუშმა** (რომელიც **ვიქტორია აზარენკას** უარის მერე დაამეტეს ნაკრებში) და დარია კუსტოვამ 6:0, 6:0 მოუგეს **ეკა გორგოძეს** და **თათია მიქაძეს**.

ჯგუფში დღის მეორე მატჩი მოულოდნელი შედეგით დამთავრდა. შვედეთის ნაკრებმა 3:0 დაამარცხა სლოვენის ნაკრები, რომლის შემადგენლობაბ რეიტინგის მიხედვით უფრო სოლიდურია. სკანდინავების წარმატებას საფუძველი მოერე ჩოგანმა **იოჰანა ლარსონმა** ჩაუყარა, რომელმაც **მასა ზეკ პეშკირიჩი** დაამარცხა - 6:2, 6:3. შვედების ლიდერმა **სოფია არვიდსონმა** კი იოლად სძლია სლოვენიელთა ლიდერ **ანდრეა კლეპაჩს** - 6:2, 6:1 და წყვილთა მატჩი ფორმალობად აქცია.

დღეს საქართველოს ნაკრები შვედეთის გუნდს დაუპირისპირდება, ხოლო სლოვენია - ბელარუსს. ჩვენების მატჩი საქართველოს დროით ნაშუადღევს პირველ საათზე იწყება. ეს მატჩი ნომერ მეორე კორტზე გაიმართება.

გუშინ ყველაზე ადრე ჩვენი ჯგუფის მატჩები მორჩა, სხვა ჯგუფებში კი თამაშები მოგვიანებით დასრულდა. ყველაზე ძლიერ D ჯგუფში რუმინელებმა აჯობეს პოლონელებს - ერთეულებში წააგეს პოლონელთა ვარსკვლავებმა **აგნიეშკა** და **ურუსლა რადვანსკებმა**. საბოლოოდ რუმინეთმა მოიგო, დღის გმირი კი მონიკა ნიკულესკუ იყო. ამ ჯგუფში ფავორიტი სერბეთი ისვენებდა.

B ჯგუფში მასპინძელთა გუნდი იოლად გაუსწორდა დანიის ნაკრებს, რომელსაც წინა დღეს ვარჯიშზე ლიდერი კაროლინ ვოზნიაცკი დაემტვრა.

**ფედერაციის თასი**

**ევროპა-აფრიკის I ზონა**

30 იანვარი-2 თებერვალი,
ბუდაპეშტი (უნგრეთი)

**C ჯგუფი**

**საქართველო-ბელარუსი 0:3**

ოქსანა კალაშნიკოვა - ოლგა გოვორცოვა 2:6, 6:3, 3:6
სოფიო ქვაცაბაია - დარია კუსტოვა 5:7, 2:6
ეკა გორგოძე, თათია მიქაძე - დარია კუსტოვა, ბოჰუში 0:6, 0:6

**შვედეთი - სლოვენია 3:0**

სოფია არვიდსონი - ანდრეა კლეპაჩი 6:2, 6:1
იოჰანა ლარსონი - მასა ზეკ პეშკირიჩი 6:2, 6:3
სოფია არვიდსონი, იოჰანა ლარსონი -
ანდრეა კლეპაჩი, მასაზეკ პეშკირიჩი 6:4, 7:6 (4)

**B ჯგუფი**

**უნგრეთი-დანია 3:0**

გრეტა არნი - ევა დირბერგი 6:3, 6:3
აგნეშ სავაი - კარინა იაკობსგაარდი 6:0, 6:3.
გრეტა არნი, აგნეშ სავაი - ევა დირბერგი, კარინა იაკობსგაარდი 6:2, 6:2

**შვეიცარია - ბრიტანეთი 2:1**

პატი შნიდერი - კეტი ო'ბრაიენი 7:6, 7:5
ემანუელ გალიარდი - ანე კეტავონგი 1:6, 4:6
ემანუელ გალიარდი, პატი შნიდერი -
ელენა ბალტაჩა, მელანი საუზი 6:3, 6:3.

**D ჯგუფი**

**პოლონეთი - რუმინეთი 1:2**

აგნიეშკა რადვანსკა - სორანა კირსტეა 4:6, 5:7
ურსულა რადვანსკა - მონიკა ნიკულესკუ 5:7, 6:4, 4:6
კლაუდია იანსი, ალისია როსოლსკა -
სორანა კირსტეა, მონიკა ნიკულესკუ 4:6, 3:6

**A ჯგუფი**

**ჰოლანდია - ლუქსემბურგი 2:1**

ნიკოლ ტისენი - ანე კრემერი 2:6, 4:6
რენე რეინჰარდტი - კლოდინ შოლი 6:1, 6:3
ნიკოლ ტისენი, ბრენდა ვონგი - ანე კრემერი, მენდი მინელა 7:6, 6:2

**ბულგარეთი - პორტუგალია 2:0**

ცვეტანა პირონკოვა - ნეუსა სილვა 6:1, 6:0
დია ევტიმოვა - ანა ნოგუეირა 6:2, 7:5
დია ევტიმოვა, ცვეტანა პირონკოვა - მაგალი დე ლიტრე,
მარია კოელერი 6:1, 6:2

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადაიხადე სახლიდან გაუსვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!







მასი-დიჟონი. გიორგი ჩხაიძე (მარცხნივ) და დავით დადუნაშვილი (მარჯვნივ)

ლეგიონერი

# ბობინი, ორლეანი, პერიგო

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში პირველი ეტაპის ბოლოსწინა ტურის შეხვედრები გაიმართა. უკვე გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მეორე ჯგუფურ ეტაპზე თამაშის უფლება ქართველ მორაგბეთა სამმა გუნდმა „ბობინიმ", „ორლეანმა" და „პერიგომ" მოიპოვა. ჯერ კიდევ ინარჩუნებენ შანსს ამავე ეტაპზე გასასვლელად „რუენი", „მასი" და „ნიცი".

A ჯგუფში ყველასგან მიუწვდომელია **შალვა სუთიაშვილისა** და **დავით გასვიანის** „ბობინი". პარიზელებმა ბოლოსწინა ტურში საკუთარ მოედანზე დაამარცხეს **სოსო ნიკოლაენკოს** „რუმიი" 30:21. სუთიაშვილმა მატჩის 47-ე წუთზე ლელო მიითვალა და 74-ე წუთზე შეცვალეს. გასვიანს და ნიკოლაენკოს თამაშში მონაწილეობა არ მიუღიათ.

ასევე საკუთარ მოედანზე დაამარცხა „ვანი" **ირაკლი აბუსერიძის** „ორლეანმა". 28:21. აბუმ თავიდან ბოლომდე ითამაშა. სრულიად უშანსოდ არიან დარჩენილი **სანდრო ესაკიას** „სენ ნაზერი" და დიმა ხოჭოლავას „სერჟი პონტუაზი". ესაკიას გუნდმა სტუმრად სძლია აუტსაიდერ „პუატიეს" 32:8. სანდრო ძირითად შემადგენლობაში იყო და 47-ე წუთზე შეცვალეს.

ფედერალ 1. A ჯგუფი. 1. ბობინი-50 ქულა, 2. ორლეანი-40, 3. ტური-36, 4. ვანი-29, 5. რუენი-29, 6. სენ ნაზერი-21, 7. სერჟი პონტუაზი-16, 8. პუატიე-11.

საგრძნობლად გამოიკეთა მდგომარეობა B ჯგუფში მოასპარეზე **ვიქტორ დიდებულიძის, გიორგი ჩხაიძისა** და **დავით დადუნაშვილის** „მასიმ". ბოლოსწინა ტურში პარიზელებმა შინ დაამარცხეს უშუალო კონკურენტი „დიჟონი" 19:15. ჩხაიძემ, რომელმაც შეხვედრაში ყური დაიზიანა თავიდან ბოლომდე ითამაშა. დადუნაშვილი 49-ე წუთზე შეცვალეს, დიდებულიძე კი - 69-ე წუთზე. ბოლო ტურში „მასი" სტუმრად ეთამაშება აუტსაიდერს, **პალიკო ჯიმშელაძის** „შამბერის" და გამარჯვების შემთხვევაში მეორე ეტაპის საგზურს მოიპოვებს.

შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი დაკარგა **ზურაბ მჭედლიშვილის, ალექსანდრე მარგველაშვილისა** და **გიორგი ნემსაძის** „დომონმა", რომელიც ბოლოსწინა ტურში სტუმრად დამარცხდა გათამაშების ლიდერ „ბურგ ან ბრესთან" 14:25. ქართველ მორაგბეებსთამაშში, მონაწილეობა არ მიუღიათ. სტუმრადვე მშრალი ანგარიშით 0:42 დამარცხდა „შალონთან" ელიზბარ ყუფარაძის „ვილერბანი". ყუფარაძე თამაშში 40-ე წუთიდან ჩაერთო.

B ჯგუფი. XIII ტური. 1. ბურგან ბრესი-44 ქულა, 2. შალონი-39, 3. მასი-33, 4. დიჟონი-32, 5. ლონსი-31, 6. დომონი-26, 7. ვილერბანი-20, 8. შამბერი-14.

C ჯგუფში მე-6 გამარჯვება მოიპოვა **დიმა პავლოვის** „ნიცამ" ამჯერად შინ „ბედარიდესთან" 22:7. პავლოვს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია. „ნიცას" კი შანსი გაუჩნდა, შემდეგ ეტაპზე გავიდეს. ესგუნდი ახლა 27 ქულით მე-5 ადგილზეა და მეოთხეადგილოსან „რომანსს" ოთხი ქულით ჩამორჩება. მეორე ეტაპზე გასასვლელად „ნიცას" აუცილებლად ბონუსით ანუ ოთხი ლელოთი გამარჯვება სჭირდება. ოღონდ აუცილებლად უნდა წააგოს „რომანსმა", თანაც უპრემიოდ, ანუ შვიდ ქულაზე მეტი სხვაობით.

D ჯგუფში ისევ დამარცხდა **ირაკლი გუნდიშვილის** „მიიო", ამჯერად საკუთარ მოედანზე „კაართან" 6:13. გუნიდშვილს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია. „მიო" 11 ქულით ბოლო ადგილზეა.

შემდეგ ეტაპზე გავიდა F ჯგუფში მოასპარეზე **თედო ზიბზიბაძის** „პერიგო", რომელიც ამჟამად 36 ქულით მე-3 ადგილზეა. ჩვენებურის გუნდი ბოლოსწინა ტურში სტუმრად დამარცხდა „სენ ჟან დე ლუზთან" 10:3,. ზიბზიბაძეს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია.

ფედერალ 2-ში ქართველ მორაგბეთა სამივე გუნდმა გაიმარჯვა. A ჯგუფში **დავით ბოლლაშვილის** „ლილმა" შინ დაამარცხა „ბლუა" 30:15 და 36 ქულით ისევ პირველ ადგილზეა. C ჯგუფში 34 ქულით მეორე ადგილზეა **ლევან დათუნაშვილისა** და **რეზო გიგაურის** „მონლუსონი". ჩვენებურთა გუნდმა მე-13 ტურში სტუმრად დაამარცხა „სენ სავინი" 17:6. ლიდერი „მონმელიანი" ორი ქულით უსწრებს „მონლუსონს". H ჯგუფში **ბადრი ხეხელაშვილის** „კონიაკმა" შინ გაანადგურა „სენ პოლ დე დაქსი" 32:9. „კონიაკი" 33 ქულით მე-3 ადგილზეა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

2 თებერვალი. საქართველო-პორტუგალია

# მეტოქესაც დიდი დანაკლისი აქვს

ერთა თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების მეტოქის, პორტუგალიის მთავარმა მწვრთნელმა **ტომაშ მორაეშმა** გუნდის 22 კაციანი შემადგენლობა დაასახელა. მეტოქე, შეიძლება ითქვას, თბილისში ექსპერიმენტული შემადგენლობით ჩამოდის.

**პორტუგალიის ნაკრები**

**ჟუან მურე** (ლივორნო), **როდრიგო აგილარი** (აგრონომია), **დიოგო ფიალიო** (კდულ), **ბერნარდო დუარტე** (აგრონომია), **ჟოაო კორეია** (დირეიტო), **ედუარდო აკოსტა** (დირეიტო), **მანუელ რიბეირო** (კდულ), **ფრანსისკო ფრაგატეირო** (კდულ), **ჟუან სევერინო** (რაგბი რეჯიო), **სებასტიანო კუნია** (ბელენენსეში), **ანტონიო დუარტო** (აგრონომია), **ტიაგო ჟირაო** (მადრიდი), **ლორენცო კადოში** (აგრონომია), **ფრანცისკო მაგალაეში** (კდულ), **პედრო კაბრალი** (კდულ), **ფრანსისკო მირა** (აგრონომია), **პედრო სილვა** (ბელენენსეში), **უგო მელო** (ბენფიკა), **გონსალო ფორრო** (კდულ), **ადერიტო ესტევეში** (დირეიტო), **ვასკო გასპარი** (აგრონომია), **დიოგო მირანდა** (ბელენენსეში).

**ბესიკ ჯანგავაძე**



შოთა ხაბარელი

მსოფლიო თასი

# პეკინის მარათონი გრძელდება!

ერთი კვირაში ქართველი ძიუდოისტები ევროპული სალიცენზიო ტურნირების ერთთვიან მარათონში ჩაებმებიან - 9-10 თებერვალს პარიზში იჭიდავებენ, 16-17-ში - ავსტრიულ ლეონდინგში, 23-24-ში - ჰამბურგში, 1-2 მარტს - პრაღაში. როგორც ვხედავთ, ეს ტურნირები თითოკვირიანი ინტერვალით ტარდება და ის ერთი კვირაც ერთობლივ შეკრებებს დაეთმობა, რომელიც იქვე გაიმართება. ამათგან ოთხივე სალიცენზიოა, პირველი სამი კი სუპერთასია. შეგახსენებთ, რომ სუპერთასებზე ქალთა და კაცთა ტურნირები ერთად ტარდება და ამით განსხვავდება ჩვეულებრივი თასებისგან.

სიტყვამ მოიტანა და ბარემ აქვე გეტყვით, რომ ძიუდოს ევროპის კავშირს ამ წესის შეცვლა გადაუწყვეტია. მოსალოდნელია, რომ ამ რანგის ტურნირს 2 წელიწადში ერთხელ ვუმასპინძლოთ და არა ახლანდელივით ყოველწლიურად. თანაც, ქალთა და ვაჟთა შეჯიბრებები პარალელურად ჩატარდება. თუმცა ეს ჯერ მხოლოდ სურვილია და კაცმა არ იცის, დაამტკიცებენ თუ არა. მოკლედ, ნუ გაგვიკვირდებათ, გაისად მხოლოდ ევროპის ჩემპიონატის ამარა თუ დავრჩით.

ისე, ევროპირველობასთან დაკავშირებით ერთი სიახლე ჩვენს ფედერაციასაც განუზრახავს. მოგეხსენებათ, იქ ქალთა პირველობაც ტარდება და სპორტის სასახლეში 4 ტატამის დაგება განუზრახავთ. ამბობენ, რომ დარბაზის ზომა ამის საშუალებას იძლევა. ალბათ, ასეცაა.

პარიზის ტურნირი მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესია, მაგრამ თავად შეჯიბრებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი ზემოაღნიშნული ერთობლივი წვრთნებია. ამიტომ შოთა ხაბარელს იქ უძლიერესი შემადგენლობა მიჰყავს: **ბეთქილ შუკვანი** (60), **ნესტორ ხერგიანი** (66), **ზაზა კედელაშვილი** (73), **დავით კუპრაშვილი** (73), **გიორგი ბაინდურაშვილი** (81), **გრიგოლ შინჯიკაშვილი** (81), **ირაკლი ცირეკიძე** (90), **ზურაბ ზვიადაური** (90), **ლომერ ჟორჟოლიანი** (100), **ლევან რაზმაძე** (100), **ლაშა გუჯეჯიანი** (+100) და **ადამ ოქრუაშვილი** (+100).

როგორც ვხედავთ, ხერგიანი და კედელაშვილი ზედა წონაში იჭიდავებენ - მათ წონას არ აკლებინებენ. ლიცენზია ხერგიანს ხომ ადრეც ჰქონდა და თბილისში წარმატებით კედელაშვილმაც გაინაღდა - სალიცენზიო რეიტინგში პირველია. ამიტომ მათთვის ეს სასტარტო ტურნირია და წონის დაკლებაზე არ აწვალებენ. პარიზში **დავით ქევხიშვილი** (73) და **ვარლამ ლიპარტელიანიც** (90) მიდიან, მაგრამ -მხოლოდ ერთობლივი ვარჯიშებისთვის. ამ შეკრებაზე მთელი გუნდი დარჩება, კვირის ბოლოს ისინი თბილისში დაბრუნდებიან, ლეონდინგში საჭიდაოდ კი მეორე გუნდი გაემგზავრება: **ამირან პაპინაშვილი და ვახტანგ ხოსიტაშვილი** (60), **უჩა ხუციშვილი** (66), **თენგიზ პაპოშვილი** (73), **საბა გავაშელიშვილი და ლევან ნიკლაური** (81), **ვარლამ ლიპარტელიანი და ბესიკ ტყემალაძე** (90), **გიორგი ყიზილაშვილი და ზვიად ჩინჩალაძე** (+100).

როგორც ვხედავთ, ავსტრიაში სათადარიგო შემადგენლობა იჭიდავებს. მათ შორის ბევრი ახალგაზრდაა და ამ ტურნირს მათ გამოსაცდელად გამოიყენებენ. აქ წონას უკვე ყიზილაშვილს არ აკლებინებენ.

პარიზისა და ავსტრიის ტურნირებით ჰამბურგში წასაყვანი შემადგენლობაც განისაზღვრება, თუმცა საგერმანიოდ შეგულებული სამი ფალავანი უკვე ცნობილია: **ალექსანდრე იაკობაშვილი** (66), **ზებედა რეხვიაშვილი** (66) და **ნოდარ მეტრეველი** (100).

დაბოლოს, პრაღა, სადაც ხაბარელი ისევ უძლიერეს შემადგენლობას აჭიდავებს: **ნესტორ ხერგიანი** (ისევ 66-ში), **ზაზა კედელაშვილი** (ესეც ზემოთ - 73-ში), **დავით ქევხიშვილი** (73), **ირაკლი ცირეკიძე და ზურაბ ზვიადაური** (90), **ლომერ ჟორჟოლიანი** (100), **ლაშა გუჯეჯიანი** (+100). სავარაუდოდ, მათ კიდევ დაემატება რამდენიმე, რომლებსაც წინა ტურნირები გამოარკვევს, მაგრამ ამათი წასვლა გადაწყვეტილია. ეს 11-13 აპრილს ლისაბონში გასამართი ევროპის პირველობისთვის ბოლო შესარჩევი ტურნირია. სავარაუდოდ, მაშინ პორტუგალიაში წამსვლელი ბირთვი გამოკვეთილი იქნება. ასეთებისთვის პრაღის ტურნირი სასტარტო-საკონტროლო დანიშნულებისა იქნება, სხვებისთვის - შესარჩევიც.

წლევანდელ სალიცენზიო შეჯიბრებებს სწორედ ევროპის პირველობა დაასრულებს. ადრე კონტინენტის ჩემპიონი ოლიმპიადის საგზურს იღებდა, ახლა კი მხოლოდ 100 ქულას.

დაბოლოს, ლიცენზიებზეც იმ ორიოდ წონაში, სადაც ისინი კვლავაც არ მოგვიპოვებია. ზაზა კედელაშვილმა, პრაქტიკულად გაინაღდა იგი - 184 ქულით რეიტინგში პირველია. მასთან ყველაზე ახლოს 170-იანი ჰოლანდიელი **დაქს ელმონტია**, მომდევნო ადგილებს კი 130-ქულიანები - რუსი **ალიმ გადანოვი** და ფრანგი **სებასტიან ბერტოლოტი** ინაწილებენ. კედელაშვილს უკვე ეს დუეტი ჩამორჩება საგრძნობლად, ხოლო დანარჩენები - მით უფრო. დანარჩენთაგან 100-ქულიან ზღვარს მხოლოდ ერთმა გადააბიჯა - გაბერძნებულმა ქართველმა **რევაზ ზიდირიდისმა**, სხვათა მონაგარი კი ორნიშნა რიცხვებშია. მათ შორის, ფრანგ **ბენჟამენ დარბელესი**, რომელიც ჯერჯერობით ბერტოლოტის ჩრდილშია.

ბევრად რთულადაა საქმე 81-ში, სადაც ბაინდურაშვილი 62 ქულით მეშვიდეა, მაგრამ ბევრად ჩამორჩება ლიდერებს, მდევრებს კი მცირე სხვაობით უსწრებს - მომდევნო ადგილებს **გრიგოლ შინჯიკაშვილი**, სლოვენიელი **კლემან ფერიანი** და შვეიცარიელი **კრისტოფ კელერი** ინაწილებენ.

ირაკლი თავაძე



ზვიადაურისა და ცირეკიძის ფინალი



ეროვნული ბიბლიოთეკა



ნინო სალუქვაძე

# ვერცხლი მიუნხენში

ოლიმპიურმა ჩემპიონმა ნინო სალუქვაძემ ვერცხლის მედალი მოიპოვა მიუნხენში, პნევმატური პისტოლეტით სროლაში ჩატარებულ დიდ საერთაშორისო ტურნირში. მან საკვალიფიკაციო ეტაპი 384 ქულით დაასრულა და ფინალში მეშვიდე ნომრად შევიდა, იქ კი 102,4 დააგროვა და საბოლოოდ მეორე ადგილზე გავიდა.

მოგეხსენებათ, ეს ტურნირი ორ სტარტად ტარდება და ორივეჯერ პნევმატურიდან სროლაში, რადგან ამავე პისტოლეტიდან შეჯიბრში ევროპის პირველობისთვის მოსამზადებელი ეტაპია. სამწუხაროდ, სალუქვაძეს მეორე ცდაზე ხელი მოეცარა. მეტ-ნაკლები წარმატებით ისროლეს მისმა თანაგუნდელებმა - **ნინო უჩაძემ** და **თამილა ასათიანმა**. მართალია, ისინი ფინალებში ვერ მოხვდნენ, მაგრამ საშუალოდ 372-374 ქულა დააგროვეს და მათთვის წარმატებაც ესაა. საკმაოდ კარგად გამოვიდა **ლევან ქადაგიძეც**, რომელსაც ფედერაციაში ლიცენზიის მოპოვების კანდიდატად განიხილავენ. წლეულს ლიცენზიები ევროპის პირველობაზე გაიცემა, რომელიც 23 თებერვლიდან 2 მარტის ჩათვლით, შვეიცარიულ ვინტერტურში გაიმართება. თუმცა მანამ ჩვენებს საქართველოს ჩემპიონატიც ელოდებათ ისევ პნევმატურში, რომელიც 10 თებერვალს თბილისში, სალუქვაძის ტირში უნდა გაიმართოს. იმედია, ფედერაცია საამისოდ საჭირო თანხებს შეუფერხებლად მიიღებს და ეს ტურნირი ნამდვილად გაიმართება.

ირაკლი თავაძე

## თარიღი

**თამაზ (ჯუმბერ) ჩხარტიშვილი.** დაიბადა 31.01.1938, თბილისი. ხელბურთი, მსაჯი. საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი (1968), იმსაჯა მოსკოვის ოლიმპიური თამაშების შეხვედრები, ქალთა (1968, 73, 85) და ვაჟთა (1986) მსოფლიო ჩემპიონატების ფინალური ეტაპის მატჩები, ევროტურნირების სამი ფინალი (1978, 79 — თასების თასი, 1986 — ჩემპიონთა თასი), მსოფლიო ნაკრების ორი შეხვედრა (1978 — სსრკ-თან, 1979 — გფრ-თან). ერთადერთი არბიტრი, რომელმაც სსრკ ყველა ჩემპიონატის (1962-90) მატჩები იმსაჯა. 7-ჯერ დაასახელეს სსრკ წლის საუკეთესო არბიტრად. 1995 ევროტურნირების კომისარია.



ილარიონ ხაზარაძე , ლევან მოსეშვილი, ანზორ ლეჟავა

**ილარიონ ხაზარაძე.** დაიბადა 31.01.1937, თბილისი. კალათბურთი (198 სმ). თამაშობდა თბილისის "დინამოსა" (1955-64) და სსრკ ნაკრებში (1958-59). ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი (1962), სსრკ ჩემპიონატის ორგზის მეორე პრიზიორი (1960, 61), სსრკ ხალხთა II სპარტაკიადის მეორე პრიზიორი (1959). შედიოდა საქართველოს და თბილისის ნაკრებებში. ღირსების ორდენის კავალერი.

**ნოდარ ხიზანიშვილი.** დაიბადა 31.01.1953, ბათუმი. ფეხბურთი, მცველი. თამაშობდა ბათუმის "დინამოში" (1971-73), თბილისის "დინამოსა" (1973-82) და ქუთაისის "ტორპედოში" (1983). სსრკ ნაკრებში ჩაატარა 1 მატჩი, სსრკ უმაღლეს ლიგაში - 165. ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში გამარჯვებული (1981), სსრკ ჩემპიონი (1978), მეორე (1977) და სამგზის მესამე (1976 გაზაფხული, 76 შემოდგომა, 81) პრიზიორი, სსრკ თასის მფლობელი (1976). იყო თბილისის "ლოკომოტივის" (1986), "სამტრედიისა" (1993) და ბოლნისის "სიონის" (1994-96) მთავარი მწვრთნელი. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, ღირსების ორდენის კავალერი. საქართველოს ნაკრების ფეხბურთელია მისი შვილი ზურაბი (დაბ. 06.10.1981).



1981 წლის 13 მაისი. მარცხნივ ნოდარ ხიზანიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცინცაძე ლაპენრაანტასთან მატჩში

ქართველები ევროთასებზე

# ცინცაძემ სამარაზე შური იძია, ახლა ურალ გრეიტის ჯერია

გიორგი ცინცაძის „ტარტუ როკმა" ევროთასის ჯგუფურ ეტაპზე ბოლო შეხვედრაში ფინური „ლაპენრაანტა" 78:72 დაამარცხა და ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა. მეოთხედფინალში „როკერთა" მეტოქე რუსული „ურალ გრეიტი" იქნება. მატჩები 19 და 26 თებერვალს გაიმართება. თუ ორი შეხვედრის ჯამში ნახევარფინალისტის ბედი არ გაირკვევა, მესამე შეხვედრას ესტონეთის ქალაქი ტარტუ 4 მარტს უმასპინძლებს.

მკითხველს შევახსენებთ, რომ „ურალ გრეიტში" გიორგი ცინცაძემ 2005 წელს ნახევარი სეზონი გაატარა და მწვრთნელების უნდობლობის გამო პერმიდან უკმაყოფილო წამოვიდა. სწორედ ისე, როგორც „სამარადან". არც იმის შეხსენება დაგჭირდებათ, რომ დეკემბერში ჯგუფურ ეტაპზე ქართველმა ბუმ სამარელებზე შური უკვე იძია - 20 ქულის სხვაობით დაამარცხა. ახლა „ურალ გრეიტზე" აქვს რევანში ასაღები.

მომავლიდან აწმყოში დავბრუნდეთ და „როკი" „ლაპენრაანტას" დაპირისპირებაზე ვისაუბროთ. ეს შეხვედრა ცინცაძის თანაგუნდელებისთვის არატრადიციული გამოდგა. თუ ესტონელები ჯგუფში ფაქტობრივად ყველა მატჩს პირველივე ტაიმში იგებდნენ, ფინელებთან შეხვედრაში საწყისი 10 წუთი სუსტად ჩაატარეს და 13:22 დათმეს.

მეორე პერიოდიდან მასპინძლებმა თამაში დაალაგეს და გიორგი ცინცაძის წინამძღოლობით სხვაობის შემცირებას მიჰყვეს ხელი. სწორედ ქართველი გამთამაშებლის მიერ შესრულებულ 2+1-ს სხვაობის ქულამდე შემცირება მოჰყვა - 40:41.

მესამე პერიოდში „როკერები" უკეთ ათამაშდნენ და ბოლო შესვენებაზე 7-ქულიანი ფორით გავიდნენ (62:55).

ბოლო რაუნდში ნადრაფტალი („პორტლენდმა" აიყვანა) **პეტრი ვირტანენის** წინამძღოლობით ფინელებმა ტემპს უმატეს და თანაბარი თამაში გააჩაღეს. მეტოქეთა ზუსტ შეტევებს ესტონელთაგან მხოლოდ გიორგი ცინცაძე პასუხობდა, მაგრამ ერთი კაცის კარგი გარჯა საკმარისი არ აღმოჩნდა - სირენამდე 45 წამით ადრე „ლაპენრაანტას" ამერიკელმა ლეგიონერმა ჰარისმა ანგარიში გაათანაბრა (72:72). მასპინძელთა საბედნიეროდ ცინცაძეს შეტევაში დორონინი წამოეხმარა, რომელმაც თანაგუნდელები ორი ქულით დააწინაურა. ამას გიორგის ორი ზუსტი საჯარიმო მოჰყვა (76:72) და სწორედ ამ დუეტის მიერ ბოლო 45 წამში ჩაგდებულმა ექვსმა ქულამ „ტარტუ როკს" ევროთასზე მეხუთე მატჩი მოაგებინა - 78:72.

თამაშის სირთულეს ხაზი გაუსვა „ტარტუს" მწვრთნელმა **უკარ კერდემ**: *„თავიდან ძალიან სუსტად გამოვიყურებოდით. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მეტოქემ მატჩი კინაღამ გამარჯვებამდე მიიყვანა, მაგრამ ჩემი ბიჭების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ასეთ კრიტიკულ მომენტში კონცენტრაცია არ დაკარგეს, თამაშიც გამოასწორეს და მნიშვნელოვანი მატჩი მოვიგეთ. ჯგუფურ ეტაპზე ერთი რუსული კლუბი, „სამარა" უკვე დავამარცხეთ, აქედან გამომდინარე, ნამდვილად არ გვეშინია მეოთხედფინალის მეტოქის, „ურალ გრეიტისა". დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს."*

„ლაპენრაანტასთან" გიორგი ცინცაძემ 35 წუთში 15 ქულა, 3 პასი, 5 მოხსნა და 4 ჩაჭრა გაიფორმა. მისმა თანაგუნდელმა დორონინმა კი 21 ქულას მოუყარა თავი.

მკითხველს აქვე შევახსენებთ, რომ ცინცაძეს ბალტიის ლიგის ვარსკვლავთა მატჩის (2 თებერვალს გაიმართება) შემდეგ ევროთასის „ოლ სტარში" მოხვედრის შესაძლებლობა აქვს. ქართველ ქომაგს შეუძლია გიორგი ცინცაძეს ხმა შეაწიოს - www.fibaeurope.com.

ვაჟა სიმონიშვილი

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| როკი (ესტონ.)–ლაპენრაანტა (ფინ.) | 78:72 |
| სამარა (რუსეთი)– პაოკ (საბერძ.) | 80:61 |

| A ჯგუფი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ტარტუ | 6 | 5 | 1 | 11 |
| 2. სამარა | 6 | 5 | 1 | 11 |
| 3. ლაპენრანტა | 6 | 1 | 5 | 7 |
| 4. პაოკ | 6 | 1 | 5 | 7 |

**ურალ გრეიტის მატჩები**

| | |
|---|---|
| ოლიმპია (საბერძ.)– ურალ გრეიტი | 66:80 |
| ურალ გრეიტი–ოლიმპია (საბერძ.) | 77:60 |
| ჩერკასი (უკრაინა)– ურალ გრეიტი | 101:72 |
| ურალ გრეიტი–ბანვიტი (ისრაელი) | 77:74 |
| ურალ გრეიტი–მონსი (ბელგია) | 60:58 |
| ურალ გრეიტი–ჩერკასი (უკრაინა) | 93:73 |
| ბანვიტი (ისრაელი)– ურალ გრეიტი | 71:70 |
| მონსი (ბელგია)–ურალ გრეიტი | 81:60 |

| B ჯგუფი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. მონსი | 6 | 4 | 2 | 10 |
| 2. ურალ გრეიტი | 6 | 4 | 2 | 10 |
| 3. ჩერკასი | 6 | 3 | 3 | 9 |
| 4. ბანვიტი | 6 | 1 | 5 | 7 |

**მეოთხედფინალური წყვილები**

მონსი (ბელგია)–სამარა (რუსეთი)
აელ (კვიპროსი)–ხიმიკი (უკრაინა)
ბაროსი (ლატვია)–ზაგრები (ხორვატია)
როკი (ესტონეთი)–ურალ გრეიტი (რუსეთი)
მატჩების განრიგი:
19 და 26 თებერვალი
და თუ საჭირო გახდა, 4 მარტი.

ლეგიონერი

# ზაზა და ფინიქსი

**როგორც** იქნა, ზაზა ფაჩულიამ 10-ქულიანი ზღვარი გადალახა - 12 ქულა ჩააგდო. თუმცა, ქართველის მონაგარმა „ატლანტა ჰოქსს" ვერაფერი უშველა - ჯორჯიელებმა ფინიქსში „სანზთან" 92:125 წააგეს.

ისევე როგორც შარშან, ზაზასთვის წლევანდელი იანვარიც წარუმატებელი გამოდგა. იგი ჯერ ტრავმებმა შეაწუხა, შემდეგ მწვრთნელი მაიკ ვუდსონი არ ენდობოდა, ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ზაზამ „პორტლენდთან" მატჩში დამრიგებელს ხელები გაუშალა. ეს ერთი შეხედვით, კალათბურთელის მხრიდან არასწორი იყო, მაგრამ მეორე მხრივ ფაქტია, რომ ამ შემთხვევის შემდეგ **მაიკ ვუდსონმა** ფაჩულიას სათამაშო დრო გაუზარდა, „ფინიქსთან" სულაც 20 წუთით ენდო და არც შემცდარა - ზაზამ 4-4 ორქულიანი და საჯარიმო ჩააგდო, ჯამში 12 ქულა ჩაიწერა, რასაც 5 მოხსნა, 1 პასი და ამდენივე დაფარება მიამატა. საყურადღებოა, რომ ზაზას 19 დეკემბრის შემდეგ ყველაზე მეტი სათამაშო დრო სწორედ „სანზთან" ერგო. „ჰოქსის" სნაიპერი მერვინ უილიამსი გახდა, რომლის ანგარიშზე 18 ქულაა.

შეხვედრის საუკეთესო კალათბურთელი კი მასპინძელი **ამარე სტაუდმაიერი** გახდა - 24 ქულა, 7 მოხსნა, 4 დაფარება.

რეგულარულ ჩემპიონატში „ატლანტა" აღმოსავლეთის კონფერენციაში მე-7 ადგილზეა. მას 18 მოგება და 23 წაგება აქვს.

მომდევნო მატჩს ზაზა ფაჩულიას გუნდი დღეს გამთენიისას ლოს ანჯელესში „კლიპერსთან" გამართავდა.

ვახტანგ ტყეშელაშვილი



ზაზა ამარე სტაუდმაიერის წინააღმდეგ

# ფაცაცია მალე, ფარღალავა გაისად

კოლეჯთა პირველ საკალათბურთო ლიგაში (NCAA) ქართველები ჯერჯერობით არ თამაშობენ. **დიმიტრი ფაცაციამ**, რომელიც ერთ-ერთი ძლიერი კლუბის „არკანზას რეიზორბეკსის" წევრია, რამდენიმე მატჩში კი მიიღო მონაწილეობა, თუმცა კონფერენციის შეხვედრებში ჯერ არ გამოჩენილა. ამჯერად ამის მიზეზი ტრავმა არ არის. „არკანზასმა" სეზონი ცუდად დაიწყო, ორი მოგება და ამდენივე მარცხი, დიმიტრი კი განაცხადშიც ვერ ხვდებოდა. მიზეზი მწვრთნელმა **ჯონ პელფრეიმ** ახსნა: „დიმიტრი ფაცაცია ჯერ არ არის ბოლომდე მზად კონფერენციის მატჩებისთვის. თუმცა მას კლუბის ერთ-ერთ მომავლად განვიხილავ. ის მონდომებული სპორტსმენია და ცდილობს უკეთ ითამაშოს, თუმცა ამ ეტაპზე გამოცდილ კალათბურთელებს ჩამორჩება". მოკლედ, ფაცაციას გამოჩენას ოდნავ მოგვიანებით უნდა ველოდოთ. რაც შეეხება მეორე ქართველს ამავე ლიგაში, როგორც გაირკვა, ლაშა ფარღალავა მხოლოდ მომავალი სეზონიდან დაიცავს სამხრეთ ფლორიდის უნივერსიტეტის ღირსებას.

ნიკოლოზ ნეფარიძე




კალათბურთი

## კიდი დალასში?

სულ უფრო და უფრო ხშირად ჩნდება ინფორმაციები "ნიუ ჯერსი ნეტსის" გამთამაშებელის, **ჯეისონ კიდის** გუნდიდან სავარაუდო წასვლის შესახებ. კალათბურთელს თავად სურს "ნეტსის" დატოვება და არც კლუბია ამის წინააღმდეგი, რადგან იცის, რომ კიდში ის კარგ კომპენსაციას მიიღებს.

ჯეისონზე რამდენიმე გუნდი აცხადებს პრეტენზიას, მაგრამ მთავარ ფავორიტად "დალას მავერიქსი" მიიჩნევა, სადაც კიდი თავისი კარიერის საწყის წლებში გამოდიოდა. "მავერიქსი" მზად არის 34 წლის გამთამაშებელში ორი ფორვარდი - **დესაგანა დიოპი** და **დევეინ ჯორჯი** დათმოს. ამას დაემატება მომავალ დრაფტებში მოთამაშეების არჩევის უფლება. არ არის გამორიცხული, ტრეიდის მონაწილე გახდეს "დალასის" ვეტერანი მცველი **ჯერი სტეკჰაუსიც**.

## მავერიქსი ბოიკინსს იმატებს

ამასობაში, "დალას მავერიქსი " პარასკევს გააფორმებს კონტრაქტს თავისუფალ აგენტ **ირლ ბოიკინსთან**. ამის შესახებ სააგენტო AP-ს კალათბურთელის აგენტმა განუცხადა. მომავალი ხელშეკრულების დეტალები არ ხმაურდება.

NBA-ის ყველაზე ტანდაბალი მოთამაშის ბოლო კლუბი "მილუოკი ბაქსი" გახლდათ. შარშან, ბოიკინსმა" მის რიგებში 35 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 14.5 ქულასა და 4.5 შედეგიან გადაცემას აგროვებდა.

## რედი ორ მატჩს გამოტოვებს

სავარაუდოდ, კიდევ ორი შეხვედრის გამოტოვება მოუწევს "მილუოკი ბაქსის" მცველს **მაიკლ რედს**. ამ კალათბურთელმა "ტორონტო რეპტორზთან" მატჩში მიიღო მარცხენა მუხლის ტრავმა და ექიმებმა დროებით მოედანზე გასვლა აუკრძალეს.

რედმა უკვე გამოტოვა ორი მატჩი "ვაშინგტონისა" და "ნიუ ჯერსის" წინააღმდეგ.

## ორლანდო უილიამსის ბოლო კლუბი იქნება

როგორც ამერიკელი ჟურნალისტები ვარაუდობენ, მომავალ ზაფხულს კლუბს შეიცვლის "მაიამი ჰიტის" მცველი **ჯეისონ უილიამსი**. ეს უკანასკნელი ამ სეზონის შემდეგ თავისუფალი აგენტი ხდება და მას "ორლანდო მეჯიქში" გადასვლის სურვილი აქვს.

32 წლის უილიამსმა მეგობრებს გაუმხილა, რომ კარიერის დასრულება სწორედ "მეჯიქში" რიგებში სურს. საქმე ისაა, რომ მცველი ბოლო 10 წელია ორლანდოში ცხოვრობს.

## ვარეჟაოს ხელახლა გამოიკვლევენ

გაირკვა "კლივლენდ კავალიერზის" ფორვარდის, **ანდერსონ ვარეჟაოს** მოედანზე დაბრუნების თარილი. ბრაზილიელი მოთამაშე "ლეიკერსთან" მატჩის დროს, **საშა ვუიაჩიჩთან** ბრძოლისას უხერხულად დაეცა პარკეტზე და სწორედ ამის შემდეგ დაიზიანა მარცხენა ფეხი.

პირველმა სამედიცინო გამოკვლევამ აჩვენა, რომ ვარეჟაოს ტრავმა სერიოზულია. ახლა კი, კალათბურთელს კიდევ ერთი რენტგენი გადაუღეს და ექიმების პროგნოზი დადასტურდა - ბრაზილიელი რეგულარულს ერთი თვის შემდეგ დაუბრუნდება.

## ჟალგირისმა მარკოტა დაიმატა

ევროლიგის მეორე ეტაპის წინ შემადგენლობას აძლიერებს კაუნასის "ჟალგირისი". ლიტვის ჩემპიონმა უკვე გააფორმა კონტრაქტი ხორვატ **დამირ მარკოტასთან**. ხელშეკრულება ამ სეზონის ბოლომდე იქნება ძალაში.

2007-08 წლების სეზონი მარკოტამ სანკტ-პეტერბურგის "სპარტაკში" დაიწყო. ხორვატმა რუსეთის ჩემპიონატში 15 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 11.7 ქულას, 5.9 მოხსნას და 3.1 შედეგიან გადაცემას აგროვებდა. FIBA-ს ევროპის თასზე კი, მისი მონაგარი 11.5 ქულასა და 6.8 მოხსნას უდრიდა.

ჰოკეი

## ჰოსას 35 მილიონი შესთავაზეს

"ატლანტა ტრეშერზი" თავისი ერთ-ერთი ლიდერის, **მარიან ჰოსას** შენარჩუნებას ცდილობს. გუშინ, კლუბის ხელმძღვანელობამ ჰოკეისტს 5-წლიანი კონტრაქტის სანაცვლოდ 35 მილიონი დოლარი შესთავაზა. "ატლანტას" გენერალური მენეჯერი და მთავარი მწვრთნელი **დონ უოდელი** ჰოსას და მის აგენტს შეხვდება და მხარეები ახალი ხელშეკრულების დეტალების განხილვას შეუდგებიან. თუ გარიგება არ შედგა, "ატლანტა" უკვე მომავალ კვირას იზრუნებს შესაბამისი კომპენსაციის სანაცვლოდ, ჰოსას სხვა კლუბში გაცვლაზე. სახელდება სავარაუდო ვარიანტები - "დეტროიტი, "კოლორადო", "რეინჯერსი", "სან ხოსე" ან "ოტავა".

წლევანდელ სეზონში ჰოსამ 49 მატჩში 45 ქულა (22+23) დაგროვა.

## შჩასტნიმ ვარჯიშები განაახლა

"კოლორადო ეველანშის" ბომბარდირი **პოლ შჩასტნი** სამკვირიანი შესვენების შემდეგ საწვრთნელ პროცესს დაუბრუნდა. როგორც კლუბის ხელმძღვანელობა ვარაუდობს, ახალგაზრდა ჰოკეისტი "კოლორადოს" კვირის ბოლოს შეუერთდება.

შეგახსენებთ, რომ ფეხის ტრავმის გამო, ამერიკელმა ფორვარდმა "ყველა ვარსკვლავის მატჩი" გამოტოვა.

## ემერის ვარჯიშის უფლება მისცეს

"ოტავა სენატორზის" ხელმძღვანელობამ უდისციპლინობისთვის გუნდიდან მოკვეთილ მეკარე **რეი ემერის** საერთო ჯგუფთან ერთად ვარჯიშის უფლება მისცა. "სენატორების" გენერალური მენეჯერი **ბრაიან მარეი** უახლოეს ხანში შეხვდება ჰოკეისტს, რათა გაარკვიოს, როგორ უნდა მოიქცეს კლუბი ემერისთან მიმართებაში. ჰოკეისტს ან ჯარიმას დაუწესებენ, ან დისკვალიფიკაციას მისცემენ, ან კიდევ სხვა კლუბში გაუშვებენ.

მაგრამ ემერის ტრანსფერთან დაკავშირებით შეიძლება გარკვეული პრობლემები წარმოიშვას. ამის მიზეზია მისი საქციელი და "ოტავასთან" გაფორმებული სამწლიანი და 9.5-მილიონიანი კონტრაქტი.

ავტოსპორტი

## მონტოიამ დეიტონა მოიგო

**ჩიპ განასის** გუნდი, "გრანდამი" პირველია ისტორიაში, რომელმაც ზედიზედ მესამედ მოიგო Daytona-ს 24-საათიანი მარათონი.

აღსანიშნავია, რომ გამარჯვებული "ლექსუსის" საჭესთან, სხვებთან ერთად "მაკლარენის" ყოფილი პილოტი **ხუან პაბლო მონტოიაც** იჯდა. კოლუმბიელის თანაგუნდელები იყვნენ - **სკოტ პრიუეტი, დარიო ფრანკიტი** და **მემო როხასი**.

კალათბურთი

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ვინ უშველის სან ანტონიოს?

მოქმედი ჩემპიონის, "სან Aნტონიო სპურსის" მთავარი მწვრთნელი **გრეგ პოპოვიჩი** არასოდეს ანიჭებდა დიდ მნიშვნელობას, რეგულარულის მსვლელობისას თავისი გუნდის ჩავარდნებს, რადგან გამოცდილი სპეციალისტი მთავარ აქცენტს საპლეიოფო მზადყოფნაზე აკეთებდა, მაგრამ ასე თუ გაგრძელდება, მისი გუნდი პლეიოფის პირველ წრეში საკუთარი მოედნის უპირატესობასაც კი ვერ მოიპოვებს. ლიგის ერთ-ერთ უსუსტეს, მანამდე ზედიზედ 14 შეხვედრის წამგებ "სიეტლის" წინააღმდეგ სტუმარს ტრავმირებული **ტონი პარკერი** არ ჰყოლია, თუმცა "სპურსი" მის გარეშეც იოლად უნდა უგებდეს ასეთი დონის გუნდებს, იმის განურჩევლად, შინ თამაშობს თუ გასვლაზე.

ქულა-ქულაში თამაშისას "სპურსის" ძლევა წარმოუდგენლად რთულია, რადგან გამოცდილი "დეზები" სწორედ ასეთ დროს ახდენენ ძალისა და ყურადღების სრულ მობილიზაციას, თუმცა "ზებგერითებთან" მატჩში პირიქით მოხდა. ახალგაზრდა, გამოუცდელი მოთამაშეების ჯგუფმა, წლევანდელი ტოპ-ახალბედის **კევინ დიურანის** მეთაურობით, საკვანძო ეპიზოდებში მეტი ცივსისხლიანობა გამოამჟღავნა და დამსახურებულადაც მოიგო შეხვედრა.

პოპოვიჩი ნელ-ნელა უზრდის დროს თავის ლიდერს, **ტიმ დანკანს**, რომელიც ბოლო რვა მატჩის განმავლოვაში არაჩვეულებრივ სტატისტიკას უყრის თავს – იგი საშუალოდ 24,1 ქულას, 13.3 მოხსნასა და 2.2 დაფარებას აკონინებს, თუმცა **მანუ ჯინობილის** თუ არ ჩავთვლით, "სპურსის" დანარჩენი წევრები, რბილად რომ ვთქვათ ცუდ კალათბურთს თამაშობენ.

"სიეტლი" თითქმის მთელი შეხვედრის განმავლობაში მდევრის როლში იყო, მაგრამ ბოლო 90 წამში დიურანმა და თქვენ წარმოიდგინეთ, ზებერმა **კურტ ტომასმა**, ზედიზედ სამი ზუსტი სროლით მასპინძლები წინ ერთი ქულით გაიყვანეს. სულ ბოლოს, უფრო ზუსტად კი ძირითადის ამოწურვამდე 4.9 წამით ადრე, იმავე ჯინობილიმ სწრაფად გადაიტანა ბურთი მეტოქის ნახევარზე, სადაც მისთვის სროლისას ხელიც რატომღაც არავის შეუშლია, თუმცა მანუს ნატყორცნი ბურთი რკალზე დატრიალდა და **ნიკ კოლისონის** ხელებში აღმოჩნდა.

"სან ანტინოიმ" ზედიზედ მესამე მატჩი წააგო.

■ ■ ■

"სპურსისგან" განსხვავებით, ულიდეროდ დარჩენილმა "ბოსტონმა" გასვლაზე უკბილო და უთავმოყვარეო "მაიამის" გადაუარა. თუ ჩემპიონებს მხოლოდ პარკერი აკლდათ, "სელტიქსმა" ფლორიდელებთან შეხვედრაში **კევინ გარნეტის** გარდა, მსროლელი **რეი ალენიც** ვერ იახლა - ერთსაც და მეორესაც მოედანზე მალევე ელიან, ამჯერად "ბოსტონმა" "დიდი სამეულის" ორი წევრის გარეშეც იოლად მოუთავა საქმე "ჰიტს", რომლის თავკაცმა, გამოცდილმა **პატ რაილიმ** თავის გუნდს "გაუგებრობა" უწოდა.

რეი ალენი "სელტიქსს" დიდ შესვენებაზე შეუერთდა და მთავარ მწვრთნელ **დოკ რივერს** შეუთვალა, თუ საჭიროდ ჩათვლი, შეგიძლია მოედანზე შემიშვაო, მაგრამ იმ დღეს ამისი საჭიროება ნაღდად არ იყო. "სელტიქსი" პირველიდან უკანასკნელ წუთამდე დამაჯერებლად აკონტროლებდა თამაშის მსვლელობას და მოგების შემოქმედნი სხვა სამეულის წევრები გახდნენ.

**ლიონ პოუმ** 25 ქულით კარიერის რეკორდი დაამყარა, **რაჯონ რონდომ დუეინ უეიდს** (28 წუთი, 9-ში ერთადერთი ზუსტი სროლა, 4 შეცდომა და მხოლოდ 7 ქულა) გადაუარა და 23 ქულით კარიერის რეკორდი გაიმეორა, ხოლო **ტონი ალენმა** კი 20 ქულა გააკეთა, რითაც მიმდინარე რეგულარულის პირადი მიღწევა გაიმეორა.

"სელტიქსი" იმდენად ძლევამოსილად გამოიყურებოდა, რომ სტუმართა დამაჯერებელი გამარჯვება ვერც **პოლ პირსის** უჩვეულო პასიურობამ დააყენა ეჭვქვეშ. პირსმა პირველ ნახევარში ორადორი ქულა შემატა გუნდს და საბოლოოდ, ოდენ 7 ქულითა და 9 –დან 7 გაფუჭებული "ცოცხალი" სროლით ჩაამთავრა მატჩი, რომელშიც მისმა გუნდმა ამ რეგულარულში უკვე 35-ე გამარჯვება მოიპოვა და დამაჯერებლად ლიდერობს მთელს ლიგაში.

**ზურაბ თალაკვაძე**



კევინ დიურანი

**სიეტლი–სან ანტონიო 88:85**

25:26, 21:22, 17:18, 25:19

**სიეტლი:** დიურანი (26 ქ. 7 მ. 5 პ), უილკოქსი (16 ქ. 10 მ), კოლისონი (14 ქ. 10 მ), კურტ ტომასი (10 ქ. 6 მ. 3 ჩ. 2 დ).

**სან ანტონიო:** ჯინობილი (29 ქ. 7 პ), დანკანი (27 ქ. 12 მ), ობერტო (12 ქ. 7 მ).

**მაიამი–ბოსტონი 87:117**

14:31, 28:33, 19:30, 26:23

**მაიამი:** მ. ბლაუნტი (20 ქ), ლ. ჯექსონი (14 ქ), ბარონი (10 ქ. 6 მ).

**ბოსტონი:** პოუ (25 ქ. 11 მ), რონდო (23 ქ. 6 მ), ტ. ალენი (20 ქ. 6 პ. 2 ჩ. 2 დ), ე. პაუსი (20 ქ. 2 ჩ).

**ინდიანა–დეტროიტი 104:110**

32:23, 25:36, 21:24, 26:27

**ინდიანა:** მ. დანლივი-უმცროსი (25 ქ.7 მ. 7 პ. 2 ჩ), დიენერი (18 ქ. 2 ჩ), მერფი (18 ქ. 8 მ. 2 ჩ), გრეინჯერი (16 ქ. 3 დ), ფოსტერი (11 ქ. 13 მ).

**დეტროიტი:** რ. უოლასი (24 ქ. 10 მ. 3 დ), პრინსი (17 ქ), რ. ჰამილტონი (15 ქ. 6 მ), ბილაპსი (13 ქ. 8 პ. 2 ჩ), ჯ. პეიესი (13 ქ), მაკდაისი (10 ქ. 13 მ. 5 პ).

**ლეიკერსი–ნიუ იორკი 120:109**

28:29, 30:32, 27:26, 35:22

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (24 ქ. 11 პ. 8 მ), ოდომი (22 ქ. 12 მ), ვუიაჩიჩი (20 ქ), ფიშერი (17 ქ), ტურიაფი (14 ქ. 9 მ. 5 დ), კ. ბრაუნი (10 ქ. 11 მ. 4 დ).

**ნიუ იორკი:** ნ. რობინსონი (22 ქ. 9 პ), ჯ. კროუფორდი (22 ქ. 2 ჩ), ლი (21 ქ. 12 მ), ზ. რენდოლფი (16 ქ. 14 მ. 4 ჩ), კ. რიჩარდსონი (13 ქ. 7 მ), კარი (10 ქ).

**ჩიკაგო–მინესოტა 96:85**

21:15, 22:22, 28:25, 25:23

**ჩიკაგო:** ჰაინრიხი (27 ქ. 6 პ. 2 ჩ), ნოჩიონი (18 ქ. 5 მ), ნოა (10 ქ. 13 მ), სეფოლოშა (10 ქ), ბ. უოლასი (2 ქ. 12 მ. 4 ჩ. 2 დ).

**მინესოტა:** ე. ჯეფერსონი (20 ქ. 12 მ. 2 დ), მაკკენტსი (16 ქ), იარიჩი (14 ქ. 5 პ. 5 ჩ), ფოიე (11 ქ).

**ჰიუსტონი–გ. სტეიტი 111:107**

33:18, 27:28, 23:26, 28:35

**ჰიუსტონი:** მინი (36 ქ. 19 მ), ჰედი (20 ქ. 6 პ), ალსტონი (17 ქ. 12 პ. 8 მ. 2 ჩ), სკოლა (10 ქ).

**გ. სტეიტი:** ს. ჯექსონი (25 ქ. 7 პ. 6 მ), ბ. დევისი (21 ქ. 6 მ. 6 პ. 4 ჩ), მ. ელისი (18 ქ. 6 პ), ბიედრინსი (14 ქ. 12 მ. 2 დ), ე. პარინგტონი (14 ქ), მ. ბარნსი (13 ქ).

**ფინიქსი–ატლანტა 125:92**

28:17, 24:16, 38:33, 35:26

**ფინიქსი:** ა. სტაუდმაიერი (24 ქ. 7 მ. 4 დ. 2 ჩ), მერიონი (19 ქ), გ. ჰილი (16 ქ. 3 დ), დიაო (16 ქ. 9 პ. 7 მ), ბარბოსა (13 ქ. 3 ჩ), ნეში (10 ქ. 10 პ. 3 ჩ).

**ატლანტა:** მერვინ უილიამსი (18 ქ. 8 მ), ჩილდრესი (17 ქ. 7 მ. 2 ჩ).

**ვაშინგტ.–ტორონტო 108:104 (ო)**

23:20, 23:30, 25:15, 24:30, 13:9

**ვაშინგტონი:** ჯეიმისონი (24 ქ. 20 მ), სტივენსონი (20 ქ), ბლაჩე (19 ქ. 8 მ), ა. დენიელსი (15 ქ. 5 პ. 2 ჩ), რ. მეისონი (13 ქ. 6 პ).

**ტორონტო:** ბოში (37 ქ. 12 მ. 3 ჩ), კალდერონი (23 ქ. 13 პ. 6 მ), პამფრიზი (16 ქ).

**ნიუ ჯერსი–მილუოკი 87:80**

20:22, 20:13, 21:19, 26:26

**ნიუ ჯერსი:** რ. ჯეფერსონი (20 ქ), ვ. კარტერი (16 ქ. 12 მ. 5 პ), ნახბარი (14 ქ), კიდი (9 ქ. 11 პ).

**მილუოკი:** აივი (19 ქ. 6 პ. 2 ჩ), მო უილიამსი (14 ქ. 8 პ), სიმონსი (14 ქ. 2 ჩ), ბოგუტი (11 ქ. 9 მ. 2 ჩ. 2 დ).

ცურვა

პროგნოზი

# ტორპს ფელპსისა არ სჯერა



იან ტორპი

სახელოვანი ავსტრალიელი მოცურავე, ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი **იან ტორპი** აცხადებს, რომ პეკინის ოლიმპიადაზე ამერიკელი **მაიკლ ფელპსი** ვერ შეძლებს თავისი ლეგენდარული თანამემამულის, მარკ სპიცის მიღწევის გაუმჯობესებას და ამის მიზეზი, მოცურავეთა მეტად დაძაბული ოლიმპიური ტურნირი გახდება.

*"მაიკლს ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ. არ მგონია, რომ მან სპიცის მიღწევის გამეორება, ან მითუმეტეს, გაუმჯობესება შეძლოს, მაგრამ მას ამას სულით და გულით ვუსურვებ. არის ასეთი რამ – შეჯიბრი. მასში მხოლოდ ერთი ათლეტი არ გამოდის. მაიკლს კი ბევრი სერიოზული კონკურენტი ეყოლება და თუ ორ, ოთხ, ან მეტ ოქროს მაინც აიღებს, უფრო მეტის მოპოვება ძალიან გაუჭირდება. ყველაფერთან ერთად, ბოლო სტარტებზე ის დაღლილიც იქნება"*, - განაცხადა ტორპმა, ვინც პეკინში, ოლიმპიური საწყლოსნო კომპლექსის გახსნას დაესწრო.

ტორპი ჯერ მხოლოდ 25 წლისაა, მაგრამ შარშან, ბევრისთვის მოულოდნელად, თავისი სახელოვანი სპორტული კარიერა დაასრულა. მან სამი ოლიმპიური ოქრო სიდნეის 2000 წლის ოლიმპიადაზე, 17 წლისამ მოიპოვა. ათენის ოლიმპიადაზე კი, თავის ოლიმპიურ მონაგარს კიდევ ორი ოქრო შემატა. სპორტიდან თავისი წასვლა კი მოტივაციის ნაკლებობით ახსნა.

*"ხანდახან ვფიქრობ, რომ აუზში დავბრუნდე, მაგრამ ეს ფიქრები მაქსიმუმ ხუთ წამში ქრება. ამ წამიერი ოცნების დროს, სასიამოვნო ფიქრები მომდის ხოლმე, მაგრამ მათ თავადვე უარვყოფ"*, - ამბობს ტორპი, ვისაც რეპორტიორებმა "ავსტრალიელი ტორპედო" შეარქვეს.

შარშან სპორტის საწყლოსნო სახეობათა საერთაშორისო ფედერაციამ, ტორპის წინააღმდეგ დოპინგთან დაკავშირებული გამოძიება დაიწყო, თუმცა მოგვიანებით, მას შემდეგ შეწყვიტა, რაც ავსტრალიის დოპინგთან მებრძოლმა კომისიამ მოცურავის საწინააღმდეგო საკმაო მტკიცებულება ვერ შეაგროვა. ეს ამბავი არც გახმაურდებოდა, რომ არა ფრანგული სპორტული გაზეთი "ეკიპი", რომელმაც ნაჩქარევად გამოაქვეყნა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თითქოს, სახელოვანი ავსტრალიელი დოპინგის გამოყენებაში ყოფილიყოს მხილებული.

ტორპი ყოველთვის ამტკიცებდა, რომ დოპინგი არასოდეს გამოუყენებია და გაზეთის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანითაც კი დაიმუქრა, მაგრამ ეს მუქარა ჯერაც არ შეუსრულებია. სამაგიეროდ, ამბობს, რომ მისი რეპუტაცია სამუდამოდ შეილახა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

საჩოგბურთო ოჯახი

# ჯოკოვიჩის წარმატების საიდუმლო



ნოვაკ ჯოკოვიჩი

ბევრი იმტვრევს თავს - რის ხარჯზე მოიგო სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** ერთი ამოსუნთქვით ავსტრალიის ღია პირველობა, თანაც ისე, რომ ფინალამდე ერთი სეტიც არ ჰქონდა წაგებული. როგორც ჩანს, ავსტრალიურმა გამოცემა The Age-მა იპოვნა ამ კითხვაზე პასუხი. "მელბურნ-პარკის" არენის მე-16 კორტთან შეკრებილი ფანები ძალიან ბევრს იცინოდნენ, როცა ძმები ჯოკოვიჩები - ნოვაკი, **მარკო და ჯორჯო**, უფროსი ძმის ვარჯიშამდე ჩოგბურთის ბურთით ფეხბურთს თამაშობდნენ. სხვათა შორის, ნოვაკი არ ყოფილა ერთადერთი ჯოკოვიჩი, რომელსაც მაშინ ავტოგრაფი სთხოვეს. 12 წლის ჯორჯო, რომელსაც ძმებს შორის ყველაზე ნიჭიერად თვლიან, ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობდა გულშემატკივრებს შორის.

პატარა ჯორჯოს პირველი სათამაშო სწორედ ჩოგბურთის ბურთი იყო. მას თითქოს შუბლზე ეწერა, რომ თავისი უფროსი ძმის ნაკვალევზე უნდა წასულიყო. დედა **დიჟანამ** გულში ჩაიკრა თავისი უმცროსი შვილი მას შემდეგ, რაც ჯორჯომ ნოვაკთან გართობა დაასრულა. დედა ბევრ მსგავსებას პოულობს მსოფლიოს მესამე ჩოგანსა და 12 წლის ჯორჯოს შორის. *"როცა მას ვუყურებ, თითქოს ნოვაკს ვხედავ ბავშვობაში. ყველაფერს, რასაც უფროსი ძმა ეუბნება, ჯორჯო იმახსოვრებს და შემდეგ იმეორებს. ის ნოვაკის ასლია. ორივენი ძალიან ქარიზმატულები არიან, უყვართ ცხოვრება, მხიარულება, მოსწონთ სხვა ადამიანებს განსახიერება. ...იახ, ისინი ძალიან გვანან ერთმანეთს"*, - ამბობს ჯოკოვიჩების დედა.

დიჟანა იმასაც ამბობს, რომ მისი შუათანა შვილი მარკო, ასევე საკმაოდ ნიჭიერია, მაგრამ ბევრად მშვიდი და გაწონასწორებული, ვიდრე უფროსი და უმცროსი ძმები. მარკომ ავსტრალიის ღია პირველობის უაილდ-ქარდი მიიღო, მაგრამ პირველივე წრეში წააგო ადგილობრივ ჩოგბურთელთან, **კლიფორდ მარსლენდთან**.

ორივენი - მარკო და ჯორჯო უბრალოდ ალმერთებენ უფროს ძმას. *"როცა ნოვაკი თამაშს იწყებს, ისინი მას თვალს არ აშორებენ. მათი კუმირი მათთან ერთად ცხოვრობს ერთ სახლში და ეს ოდნავ ამარტივებს დედის ცხოვრებას. მათ ჰქონდათ არჩევანის საშუალება, ვინ რითი დაკავდებოდა მომავალში. ჩემმა შვილებმა ერთხმად აირჩიეს ჩოგბურთი"*, - აგრძელებს დიჟანა.

სამ ძმას იშვიათად აქვს შესაძლებლობა ერთად გაატარონ დროის გარკვეული პერიოდი. *"მათ ძალიან იშვიათად უწევთ ასე ერთად ყოფნა*, - ყვება დიჟანა და თან უყურებს, როგორ დარბიან და ერთობიან ძმები კორტზე. - *ნოვაკი მთელ დროს ტურნირებზე ატარებს, მარკო და ჯორჯო მიუნხენში, საჩოგბურთო აკადემიაში სწავლობენ. ასე რომ, ისინი თითქმის ვერ ნახულობენ ერთმანეთს. ჩვენ ვცდილობთ, ერთმანეთისთვის უფრო ხშირად გამოვნახოთ დრო, მაგრამ ეს ყოველდღიურად უფრო რთული ხდება"*.

*"შუათანა ძმა - მარკო იუნიორთა ტურნირებზე თამაშობს და ისიც ხშირად "გვეკარგება". ჩვენ პირველად ჩამოვედით ავსტრალიაში, აქამდე ეს ქვეყანა არ გვენახა. ნოვაკს ძალიან უჭირს თუნდაც ერთი თვით ოჯახთან განშორება და დროის მხოლოდ მწვრთნელების გარემოცვაში გატარება. ამიტომაც გადავწყვიტეთ ყველამ ერთად აქ ჩამოსვლა და მისი მხარდაჭერა. ის ძალიან ბედნიერი იყო, რომ მშობლები და ძმები გვერდით ჰყავდა"*.

საღამოობით, დიჟანა ნოვაკს მის საყვარელ კერძებს უმზადებდა, რის შემდეგაც, მთელი ოჯახი, უფროსი ჯოკოვიჩის - **სდრჟანის** მეთაურობით ბანქოს სათამაშოდ ჯდებოდა. თითქმის ისე როგორც მშობლიურ სახლში, სერბეთის შუაში, პატარ დაბა კოპაონიკში, რომელიც ზღვის დონიდან 1700 მეტრზე მდებარეობს. იქ ჯოკოვიჩებს პატარა საკონდიტრო და პიცერია აქვთ.

*"აქ მოწყობილი ოჯახური ზეიმი ყველა ჩვენთაგანის საერთო იდეა იყო. ძალიან კარგი არდადეგები გამოგვივიდა. შევეცადეთ ყველაფერი ისე ყოფილიყო, როგორც სახლში. სწორედ ამიტომაც ჩამოვედით აქ და ამიტომაც ვიყავით ნოვაკის გვერდით"*.

ყოველთვის, როცა ნოვაკი დიდი ხნით ავსტრალიაში ან ამერიკაში მიემგზავრება, ცოტა ხანში წუწუნს იწყებს: *"მეტი არ შემიძლია, ძალიან მინდა სახლში"*. მაგრამ ავსტრალიის ღია პირველობაზე ნოვაკი თავის ოჯახთან ერთად იყო, თავს სახლში გრძნობდა და ალბათ, ამიტომაც აჩვენა "მელბურნ-პარკზე" თავისი საუკეთესო ჩოგბურთი.

დევისის თასი

# თითქმის ოპტიმალური შემადგენლობებით

8-10 თებერვალს სტარტს აიღებს დევისის თასის წლევანდელი გათამაშება. ტურნირის ორგანიზატორმა, ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ITF) გამოაქვეყნა მერვედფინალურ ეტაპში მონაწილე თითქმის ყველა გუნდის ოფიციალური განაცხადი. ჯერჯერობით მხოლოდ პერუს ნაკრების შემადგენლობა არ არის ცნობილი.

**ჩეხეთი-ბელგია**

**ჩეხეთი**: ტომაშ ბერდიხი, რადეკ შტეპანეკი, ლუკაშ დლუჰი, პაველ ვიზნერი. **კაპიტანი** - იაროსლავ ნავრატილი.

**ბელგია**: ოლივიე როხუსი, სტივ დარსისი, კრისტოფ ვლიგენი, რუბენ ბემელმანსი. **კაპიტანი** - ჟულიენ ჰოფერლინი.

**არგენტინა-ბრიტანეთი**

**არგენტინა**: დავიდ ნალბანდიანი, ხუან მონაკო, აგუსტინ კალერი, ხოსე აკასუსო. **კაპიტანი** - ალბერტო მანჩინი.

**ბრიტანეთი**: ენდი მარეი, ჯეიმი მარეი, ჯეიმი ბეიკერი, ალექს ბოგდანოვიჩი. **კაპიტანი** - ჯონ ლოიდი.

**ისრაელი-შვედეთი**

**ისრაელი**: დუდი სელა, ჰარელ ლევი, ენდი რამი, ჯონათან ერლიხი. **კაპიტანი** - ეიალ რენი.

**შვედეთი**: ტომას იოჰანსონი, იონას ბიორკმანი, სიმონ ასპელინი, ფილიპ პრპიჩი. **კაპიტანი** - მატს ვილანდერი.

**გერმანია-კორეა**

**გერმანია**: ფილ კოლშრაიბერი, მიხაელ ბერერი, ფლორიან მაიერი, ფილიპ პეტცშნერი. **კაპიტანი** - პატრიკ კიუნენი.

**კორეა**: ჰიუნგ-ტაიკ ლი, ვუნ-სან იუნი, ჰეი-სუნ ანი, ჰუნ-იუნ კიმი. **კაპიტანი** - იანგ-დაი ჰიონი.

**პერუ-ესპანეთი**

**პერუ**: უცნობია.

**ესპანეთი**: დავიდ ფერერი, ტომი რობრედო, ფერნანდო ვერდასკო, ნიკოლას ალმაგრო. **კაპიტანი** - ემილიო სანჩეს-ვიკარიო.

**რუმინეთი-საფრანგეთი**

**რუმინეთი**: ანდრეი პაველი, ვიქტორ ჰანესკუ, ფლორინ მერგეა, ჰორია ტეკაუ. **კაპიტანი** - ფლორინ სეგარცეანუ.

**საფრანგეთი**: რიშარ გასკე, ჟოვილფრედ ცონგა, მიშელ ლოდრა, არნო კლემანი. **კაპიტანი** - გი ფორჟე.

**ავსტრია-აშშ**

**ავსტრია**: სტეფან კუბეკი, ვერნერ ეშაუერი, იურგენ მელცერი, ჟულიან ნოული. **კაპიტანი** - გილბერტ შალერი.

**აშშ**: ენდი როდიკი, ჯეიმს ბლეიკი, ბობ ბრაიანი, მაიკ ბრაიანი. **კაპიტანი** - პატრიკ მაკინროი.

**რუსეთი-სერბეთი**

**რუსეთი**: ნიკოლაი დავიდენკო, მიხაილ იუჟნი, დმიტრი ტურსუნოვი, მარატ საფინი. **კაპიტანი** - შამილ ტარპიშჩევი.

**სერბეთი**: ნოვაკ ჯოკოვიჩი, იანკო ტიპსარევიჩი, ვიქტორ ტროიცკი, ნენად ზიმონიჩი. **კაპიტანი** - ბოგდან ობრადოვიჩი.

## TV სპორტი

**31 იანვარი. ხუთშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-რედინგი.
15:05 ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ატლეტიკო-ვალენსია.
16:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:05 ტოქ-შოუ - 2:1.
17:50 ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. მალიორკა-ხეტაფე.
19:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:55 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
20:05 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:05 ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ეინდჰოვენი.
22:55 ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბილბაო-რასინგი (LIVE).
00:55 ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბარსელონა-ვილარეალი (LIVE).

**SPORT 1 (უკრაინა)**

09:00 ბილიარდი. ჩემპიონთა თამაშები.
09:29 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა. ტელეჟურნალი.
10:00 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
10:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-ტოტენჰემი.
12:02 ფეხბურთი. Barca TV.
12:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-რედინგი.
14:00 ბილიარდი. ჩემპიონთა თამაშები.
14:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-ლივერპული.
16:18 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა. ტელეჟურნალი.
16:46 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი-პორტსმუთი.
18:34 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-ფინიქსი.
20:23 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:40 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
22:30 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
20:51 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:45 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
22:00 ფეხბურთი. პირველი არხის თასი. ფინალი. შახტარი-დინამო (კ) (LIVE).
23:45 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. XIV ტური. არისი-მაკაბი (LIVE).
01:30 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
03:27 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა. ტელეჟურნალი.
04:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-რეინჯერსი (LIVE).
06:41 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-ტოტენჰემი.

**EUROSPORT**

11:30 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. განა.
13:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მონტე კარლო.
14:00 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. იუნიორები. ქალები. რუჰპოლდინგი. გერმანია.
15:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. განა.
17:00 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. იუნიორები. მამაკაცები. რუჰპოლდინგი. გერმანია.
18:00 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. საჩვენებელი გამოსვლები. ზაგრები. ხორვატია.
19:15 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. განა.
20:45 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. განა (LIVE).
23:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. განა.
00:00 პროფესიული კრივი. WBA. ვ. სიდორენკო (უკრაინა)-ნ. იკეპარი (იაპონია).
01:30 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. განა.
02:30 ბრძოლა წესების გარეშე.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. განა.
14:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ალმერია (ესპანეთი)-ყაზანი (რუსეთი).
15:00 ახალი ამბები.
17:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. განა.
18:00 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მარსელი. საფრანგეთი.
19:00 ფეხბურთი. ამხანაგური ტურნირი. მე-3 ადგილისთვის. ესპანეთი (LIVE).
21:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. განა (LIVE).
23:00 ფეხბურთი. ამხანაგური ტურნირი. ფინალი. ესპანეთი (LIVE).
01:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ალმერია (ესპანეთი)-ყაზანი (რუსეთი).
02:15 ახალი ამბები.
02:30 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. განა.
03:30 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**აფრიკის თასი**

**C ჯგუფი**

**კამერუნი-სუდანი 3:0**

**კამერუნი**: კამენი, ატუბა (46. ჩატო), ბიკეი, სონგი, ემანა (57. ტომუ), ეპალე (76. ესოლა), ჯერემი, მ'ბამი, სონგ ბილონგი, ეტოო, ჟობი.

**სუდანი**: ელმუიზ აბდალა, ალი ელხიდირი, ელთაიები, დამარ კუკუ, მოჰამედ ბახითი (54. ჰაჰირ ოსმანი), ელ-ბაშირი, ქარარი, ლადო, იუსიფ ჰადო, აგაბ სიდო (62. ბაბიკერი), თამბალი (77. ჰასანი).

გოლები: 1:0 ეტო'ო (28-პენ), 2:0 ალი ელხიდირი (34-საკ. კარში), 3:0 ეტო'ო (90)

მაყურებელი: 20 000

**ეგვიპტე-ზამბია 1:1**

**ეგვიპტე**: ელ-ჰადარი, ფათჰი, გომაა, მოავადი, მოჰამედი, ჰ. საიდი, აბდ რაბუ, ჰასანი (60. აბუთრიაქა), შავკი, მოტაები (77. ი. საიდი), ზაქი (60. ზიდანი).

**ზამბია**: მვეენე, ჰამილენსა, ჰიმონდა, მუსონდა, მვანზა (30. კამპამბა), ბაკალა, შანსა (77. კალაბა), ფ. კატონგო, შამანგა, ჯ. მულენგა (65. ფირი), ქ. კატონგო.

გოლები: 1:0 ზაქი (15), 1:1 კატონგო (88)

მაყურებელი: 21 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ეგვიპტე | 3 | 2 | 1 | 0 | 8-3 | 7 |
| 2. კამერუნი | 3 | 2 | 0 | 1 | 10-5 | 6 |
| 3. ზამბია | 3 | 1 | 1 | 1 | 5-6 | 4 |
| 4. სუდანი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-9 | 0 |

**იტალია**

**რეჯინა-მილანი 0:1**

**რეჯინა**: კამპანოლო, პაბლო ალვარესი, არონიკა, ჩირილო, ლანძარო, მოდესტო, კაპიონე (68. ბარეტო), კოცა, მისიროლი, ვიჯანი (74. მონტიელი), ჩერავოლო (61. სტუანი).

**მილანი**: კალაჩი, ფავალი, კალაძე, ნესტა, ოდო, ემერსონი, გატუზო, კაკა, პირლო (83. ბროკი), პატო (82. გურკუფი), ჯილარდინო.

გოლი: 0:1 ჯილარდინო (17)

გაფრთხილება: 2-2; დარტყმა: 7(2)-27(5); კუთხური: 2-9; თამაშგარე: 3-4; ჯარიმა: 16-14; ბურთის ფლობა: 36%-64%

მაყურებელი: 20 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 20 | 15 | 5 | 0 | 43-13 | 50 |
| 2. რომა | 20 | 13 | 6 | 1 | 38-19 | 45 |
| 3. იუვენტუსი | 20 | 11 | 7 | 2 | 39-17 | 40 |
| 4. ფიორენტინა | 20 | 10 | 7 | 3 | 32-18 | 37 |
| 5. უდინეზე | 20 | 9 | 6 | 5 | 23-22 | 33 |
| 6. მილანი | 19 | 8 | 6 | 5 | 31-16 | 30 |
| 7. სამპდორია | 20 | 8 | 4 | 8 | 26-24 | 28 |
| 8. ატალანტა | 20 | 6 | 8 | 6 | 29-28 | 26 |
| 9. პალერმო | 20 | 6 | 7 | 7 | 27-34 | 25 |
| 10. ჯენოა | 20 | 6 | 7 | 7 | 20-27 | 25 |
| 11. ნაპოლი | 20 | 6 | 6 | 8 | 30-31 | 24 |
| 12. კატანია | 20 | 5 | 8 | 7 | 18-22 | 23 |
| 13. ლივორნო | 19 | 5 | 6 | 8 | 23-31 | 21 |
| 14. ლაციო | 20 | 4 | 8 | 8 | 22-29 | 20 |
| 15. პარმა | 20 | 4 | 7 | 9 | 22-29 | 19 |
| 16. ტორინო | 20 | 2 | 12 | 6 | 17-24 | 18 |
| 17. რეჯინა | 20 | 3 | 9 | 8 | 17-29 | 18 |
| 18. სიენა | 20 | 3 | 8 | 9 | 22-31 | 17 |
| 19. ემპოლი | 20 | 3 | 7 | 10 | 15-28 | 16 |
| 20. კალიარი | 20 | 3 | 4 | 13 | 15-37 | 13 |

**ინგლისი**

**II ლიგა**

პერეფორდი-ბარნეტი 1:2

**იტალიის თასი**

**1/4 ფინალი. II მატჩები**

კატანია-უდინეზე 2:1 (2:3)
ფიორენტინა-ლაციო 1:2 (1:2)
იუვენტუსი-ინტერი 2:3 (2:2)

**ესპანეთის თასი**

**1/4 ფინალი. II მატჩები**

ატლეტიკო-ვალენსია 3:2 (0:1)
მალიორკა-ხეტაფე 2:1 (0:1)

**გერმანიის თასი**

**1/8 ფინალი**

კარლ ცაისი-არმინია დ.დ. 2:1
ესენი-ჰამბურგი 0:3
ვერდერი A-შტუტგარტი 2:3
ვოლფსბურგი-შალკე 1:1 პენ.5:3

**ჰოლანდია**

აიაქსი-ეინდჰოვენი 0:2
ფეიენოორდი-ალკმაარი 2:2

**ბელგიის თასი**

**1/4 ფინალი**

ანდერლეხტი-დენდერი 3:0
ბევერსხოტი-რუზელარე 5:1
კორტრიიკი-გენტი 5:1
სერკლი-სტანდარდი 4:1

**პორტუგალია**

**ლიგის თასი**

სპორტინგი-პენაფიელი 3:1
სეტუბალი-ბეირა მარი *გვიან დასრულდა*

**შოტლანდია**

მოზერველი-სელტიკი *გადაიდო*

**შოტლანდია**

**ლიგის თასი. 1/2 ფინალი**

რეინჯერსი-პართსი 2:0

**ამხანაგური მატჩები**

იაპონია-ბოსნია 3:0
ს. კორეა-ჩილე 0:1
ირანი-კოსტა რიკა 0:0
ბაჰრეინი-დანია 1:0
ს. არაბეთი-ლუქსემბურგი 2:1

**კალათბურთი**

**ევროლიგა**

ვირტუსი-ცსკა 68:92
ოლიმპიაკოსი-მონტეპასკი 73:80
პროკომი-ოლიმპია 79:68
ტაუგრესი-ეალგირისი 84:66

**ჰოკეი**

**რუსეთი**

მეტალურგი (ნ)-ტრაქტორი 5:2
ს. იულაევი-მვდ 1:1პენ. 0:1
მეტალურგი (მ)-ავანგარდი 4:2
ვიტიაზი-ნეფტეხიმიკი 2:1
ლოკომოტივი-ხიმიკი 4:7
სკა-სევერსტალი 2:5
სპარტაკი-ლადა 2:4
ტორპედო-სიბირი 1:3
ცსკა-დინამო 3:0

**ჩოგბურთი**

**ATP. ვინია დელ მარი**

აკასუსო-ხიმენო ტრავერი 6:2, 6:2
გრანოლერსი-ბრჟეჟიცკი 2:6, 2:6

**ATP. ვროცლავი**

გარსია ლოპესი-ზოვკო 6:7, 6:4, 6:3
შუტლერი-დარსისი 4:6, 7:6, 6:4
დლოუგი-ბეკი 6:4, 5:7, 3:6

ჩოგბურთი

## როლან გაროსის ფავორიტი ანენია

ავსტრალიის ღია პირველობზე მარია შარაპოვას ტრიუმფის მიუხედავად, ბუკმეკერები "დიდი სლემის" მეორე ჩემპიონატის, როლან გაროსის ფავორიტად არა რუს ჩოგბურთელს, არამედ ბელგიელ ჟუსტინ ანენს მიიჩნევენ.

საფრანგეთის ღია პირველობა "დიდი სლემის" ერთადერთი ტურნირია, რომელიც შარაპოვას არასოდეს მოუგია. აქ მარიას საუკეთესო შედეგი 2007 წელს ჰქონდა, როცა ნახევარფინალში გავიდა და იქ სერბ ანა ივანოვიჩთან წააგო. პარიზში შარაპოვას გამარჯვებაზე, ბრიტანული საბუკმეიკერო კანტორა William Hill 8.0 კოეფიციენტს აწესებს.

იგივე კოეფიციენტი აქვს ამერიკელ სერენა უილიამსს, რომელსაც როლან გაროსზე 2002 წელს მოუგია. ხოლო მთავარი ფავორიტი, როგორც ვთქვით ჟუსტინ ანენია - 2.37.

## 130 მილიონი ფედერერს

შვეიცარიული პრესის ინფორმაციით, ამერიკული კომპანია NIKE მსოფლიოს პირველ ჩოგანთან, შვეიცარიელ **როჯერ ფედერერთან** აპირებს კონტრაქტის გაფორმებას.

როგორც იუწყებიან, ხელშეკრულება 10-წლიანი იქნება და შვეიცარიელი ჩოგბურთელი ერთ წელიწადში 13 მილიონ დოლარს მიიღებს.

## ქალთა ფინალი საღამოს დაინიშნება

ავსტრალიის ღია პირველობის ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, რომ მომავალ წელს ქალთა ფინალი არა დილის, არამედ საღამოს სესიაში გაიმართება.

ტრადიციულ განრიგში ცვლილება იმით არის განპირობებული, ევროპული დროით, ქალების გადამწყვეტი მატჩი ღამის 3 საათსა და 30 წუთზე იწყება, რაც ევროპელი ტელემაყურებლებისთვის დიდ დისკომფორტს ქმნიდა.

## ნადალმა კურიეს გაასწრო

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა, ესპანელმა **რაფაელ ნადალმა** ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში გასვლისთვის 300 ათას დოლარზე მეტი მიიღო. რაფას მიერ კარიერაში გამომუშავებულმა ჯამურმა ჰონორარმა 14 327 494 დოლარი შეადგინა და ამით ესპანელმა ცნობილ ამერიკელ ჩოგბურთელს, **ჯიმ კურიეს** გაუსწრო, რომლის ანგარიშზე 14 327 494 დოლარი მოდის.

ნადალი ყველა დროის სიაში მე-12 ადგილზე დამკვიდრდა. მასზე ერთი საფეხურით ზემოთ ბრაზილიელი **გუსტავო კუერტენი** იმყოფება, რომელიც წელს ასრულებს თავის კარიერას.

მოქმედ ჩოგბურთელებს შორის, პირველ ათეულში მხოლოდ ორი მოთამაშეა - ავსტრალიელი **ლეიტონ ჰიუიტი** (17 368 039, მე-10 ადგილი) და შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** (39 012 348), რომელიც მეორე ადგილზეა. მსოფლიოს პირველ ჩოგანზე მეტი საპრიზო თანხა მხოლოდ ამერიკელ **პიტ სამპრასს** აქვს მიღებული - 43 280 489 დოლარი.

## ცონგა შვეიცარიაში დასახლდება

ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტი **ჟო-ვილფრედ ცონგა** ცნობილ სპორტსმენებს ბაძავს და შვეიცარიაში გადადის საცხოვრებლად. ფრანგმა ჩოგბურთელმა ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთით, სოფელ ლა-რიპეში სახლი იქირავა. 22 წლის ცონგა იქ სამუდამოდ დასახლებას და რეზიდენტის სტატუსის მიღებას აპირებს - აცხადებს ლა-რიპეს მერი **ფილიპ პარიაზი**.

შეგახსენებთ, უფრო ადრე, მსგავსი სტატუსი მიიღეს ფრანგული ჩოგბურთის სხვა ვარსკვლავებმა - **ამელი მორესმომ, მარიონ ბარტოლიმ, რიშარ გასკემ, არნო კლემანმა, ფაბრის სანტორომ და გი ფორჟემ.**

## ორდენი ბონდარენკოებს

უკრაინის პრეზიდენტმა **ვიქტორ იუშჩენკომ** მესამე ხარისხის ორდენით დააჯილდოვა **ალიონა და ეკატერინა ბონდარენკოები.**

ასეთი მაღალი ჯილდო სპორტსმენებმა ავსტრალიის ღია პირველობის წყვილთა თანრიგში ტრიუმფისთვის დაიმსახურეს. "მელბურნ-პარკის" კორტზე, უკრაინულმა დუეტმა ფინალში 2:6, 6:1, 6:4 დაამარცხა **ვიქტორია აზარენკასა** (ბელარუსი) და **შაარ პეერის** (ისრაელი) ინტერნაციონალური წყვილი.

## როდიკი რადიოში იმუშავებს

საინტერესო განცხადება გააკეთა საკუთარ ოფიციალურ ვებ-გვერდზე ამერიკელმა **ენდი როდიკმა**. ჩოგბურთელი არ გამორიცხავს, რომ კარიერის დასრულების შემდეგ, მან შესაძლოა რადიოში დაიწყოს მუშაობა.

*"იმედი მაქვს, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა კიდევ დიდი ხანი არ დამჭირდება. ახლა ჩემთვის მთავარი ჩოგბურთია. მონდომებით ვვარჯიშობ და მჯერა, რომ დიდი გამარჯვებები აუცილებლად მოვა. ისე კი, რადიოში მუშაობის პერსპექტივა ძალიან მხიბლავს"*, - ამბობს როდიკი.

## ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი

ავსტრალიის ღიაზე ვაჟ იუნიორთა ტურნირი ადგილობრივმა ჩოგბურთელმა, ბერნარდ ტომიჩმა მოიგო. მან ფინალში კორეელი **ცუნ-ჰუა იანგი** დაამარცხა - 4:6, 7:6, 6:0.

ამით ტომიჩმა "დიდი სლემის" ჩემპიონატების ახალი რეკორდი დაამყარა. 15 წლის და 3 თვის ავსტრალიელი ყველაზე ახალგაზრდა ჩოგბურთელია, ვისაც ამ სერიის ტურნირი აქვს მოგებული.

მძლეოსნობა

## უორინერი მწვრთნელს დაშორდა

400 მეტრ დისტანციაზე მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსანი, ამერიკელი **ჯერემი უორინერი** მწვრთნელს შეიცვლის. ოლიმპიურმა ჩემპიონმა შეწყვიტა ურთიერთობა აწ უკვე ყოფილ დამრიგებელ **კლაიდ ჰარტთან.** ამის მიზეზი გახდა ის, რომ ჰარტმა და უორინერმა ახალი კონტრაქტის ფინანსურ დეტალებზე ვერ მოილაპარაკეს.

მწვრთნელისა და მძლეოსნის თანამშრომლობა 5 წელს ითვლიდა.

ფორმულა 1

## შუმახერს სამაგალითო ოჯახი აქვს

გერმანული ჟურნალის, Fraum im Spiegel-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, ქვეყანაში საუკეთესო ოჯახურ წყვილს მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი, **მიხაელ შუმახერი** და მისი მეუღლე, **კორინა შუმახერი** ქმნიან.

ქალთა ჟურნალმა ათასი რესპოდენტი გამოკითხა და მათგან ათმა პროცენტმა ყველაზე ბედნიერად და სამაგალითოდ შუმახერების ოჯახი მიიჩნია. სიაში გერმანიის 50 ყველაზე ცნობილი ოჯახური წყვილი იყო შესული, მათ შორის მსახიობების, პოლიტიკოსებისა და სპორტსმენებს ოჯახები.



ფორმულა 1. გუნდების პრეზენტაციები

# ჰონდა რადიკალურად შეიცვალა

"ჰონდა" ფორმულა ერთის მეშვიდე გუნდია, რომელმაც თავისი ახალი ბოლიდის, RA108-ს პრეზენტაცია ჩაატარა და ამისთვის თავისი ინგლისური შტაბ-ბინა აირჩია, რომელიც ბრეკლიში მდებარეობს. პრეზენტაციაზე გუნდის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ უარი თქვა შარშანდელი, მეტად წარუმატებელი ბოლიდის სრულყოფაზე და ჩემპიონატისთვის სრულიად ახალი მანქანა მოამზადა.

გასულ სეზონში იაპონურმა საჯინიბომ სულ რაღაც ექვსი ქულის მოპოვება შეძლო და ყველა ბრიტანელი **ჯენსონ ბატონის** ანგარიშზეა. ამის მიზეზი კი ის გარემოება გახდა, რომ ბოლიდი ძნელად სამართავი იყო და პრაქტიკულად არანაირ რეგულირებას არ ექვემდებარებოდა. არადა, წინა სეზონში გუნდმა კონსტრუქტორთა პირველობა მეოთხე ადგილზე დაასრულა. თანაც, იმ სეზონში ბატონმა უნგრეთის დიდი პრიზის მოგებაც შეძლო.

*"ახალი ავტომობილის კონსტრუქცია წინასგან სრულიად განსხვავებულია. მისი ყველა დეტალი, აგრეგატი და კვანძი ახლიდანაა შექმნილი. მელბურნში, პირველ ეტაპზე რომ გამოვალთ, იმ მანქანას შარშანდელთან საერთო პრაქტიკულად არაფერი ექნება"*, - განაცხადა გუნდის მთავარმა აღმასრულებელმა ნიკ ფრაიმ.

რა თქმა უნდა, მისი ნათქვამი "ოდნავ" არასწორია – ფორმულა ერთის ტექნიკური რეგლამენტით, გუნდები იმავე ძრავებს გამოიყენებენ, რომლებითაც შარშან იასპარეზეს. ასეა თუ ისე, წინა ექვსი თვის განმავლობაში, გუნდის ინჟინრებს თავი არ დაუზოგავთ და შედეგად, თითქმის შეუძლებელი შეძლეს, რაშიც მათ ახალი გუნდის ახალი შეფი, "ფერარის" ყოფილი ტექნიკური დირექტორი **როს ბრაუნი** დაეხმარა.

გუნდმა შეინარჩუნა ორივე პილოტი - ბატონი და ბრაზილიელი **რუბენს ბარიკელო,** ვინც ბრაუნთან ერთად, რამდენიმე სეზონი "ფერარიში" გაატარა. ტესტირებისას მათ დაემატება ავსტრიელი **ალექს ვურცი**, ვინც შარშან "უილიამსში" ასპარეზობდა. შეიცვალა ბოლიდის გაფორმებაც. თუ გასულ სეზონში მთელ მანქანაზე ჩვენი პლანეტის გამოსახულება იყო აღბეჭდილი, პრეზენტაციაზე RA108 თეთრ ფერში გამოწყობილი წარსდგა, მის სარადიატორე პანტონებსა და ძრავის სეგმენტზე კი კვლავ ჩვენი პლანეტის გამოსახულებაა გამოსახული.

ბრაუნი, ვინც სახელი "ბენეტონსა" და "ფერარიში" მუშაობისას იმით გაითქვა, რომ მისი ხელმძღვანელობით, **მიხაელ შუმახერმა** შვიდჯერ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული, კმაყოფილია იმით, რაც "ჰონდას" ფორმულა ერთის საწარმოში დახვდა.

*"გუნდს შარშან დიდი სიძნელეები ჰქონდა, თუმცა მჯერა, რომ მისმა ინჟინრებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ შარშან, მანქანის პროექტირებისას დაშვებული შეცდომები ძირეულად გამოსწორდეს. გასულ სეზონში მანქანის აეროდინამიკური პაკეტი სასურველზე მეტ აეროდინამიკურ დატვირთვას უზრუნველყოფდა, რის გამოც, მანქანა ძალიან მგრძნობიარე იყო პილოტის ნებისმიერი ქმედების მიმართ. ეს კი რბოლის დროს საქმეს მეტისმეტად ართულებდა. ამჯერად, ჩვენი მიზანი ის იყო, რომ აეროდინამიკური დატვირთვა შეგვენარჩუნებინა, მაგრამ ისე, რომ მანქანის აგრესიაც დაბალანსებულიყო. ვფიქრობ, სასურველი მიზანი მიღწეულია"*, - განაცხადა ბრაუნმა.

ბრაუნი დასძენს, რომ შასი შარშანდელთან შედარებით უფრო დავიწროვდა. თუმცა, სანამ ჩემპიონატი დაიწყებოდეს, ის კიდევ უფრო დაიხვეწება. *"ხეზე დავაკაკუნებ და ვიტყვი, რომ ამ მანქანისგან გაცილებით ნაკლები პრობლემა მექნება, ვიდრე წინა სეზონებში, სხვა ბოლიდებისგან მქონია. ამის თქმის უფლებას კი უკვე ჩატარებული ტესტი მაძლევს"*, - დასძენს ბრაუნი.

ბატონი ამბობს, რომ სეზონის დასაწყისში კარგ შედეგებს არ ელის. თუმცა, ყოველი რბოლის შემდეგ, ბოლიდი სულ უფრო დაიხვეწება და საბოლოოდ, გუნდის პილოტები გამარჯვებისთვის ბრძოლასაც შეძლებენ.

*"რა თქმა უნდა, ყველა გუნდის მიზანს ჩემპიონობისთვის ბრძოლა წარმოადგენს. სხვისი არ ვიცი, მაგრამ ჩვენ ამ მიზნის მიღწევა შეგვიძლია. რა თქმა უნდა, ეს რაც ადრე მოხდება, მით უკეთესი, მაგრამ ამ ეტაპზე, ამ მანქანის სრულყოფისთვის ბევრი მუშაობა მოგვიწევს"*, - ამბობს ბატონი.

**მერაბ ლორთქიფანიძე**



ჯენსონ ბატონი და რუბენს ბარიკელო



## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ბოსტონი-ნეშვილი 3:1**

0:0, 1:1, 2:0

**გოლები:** 1:0 შტურმი-17 (კრეისი-8, სავარი-45), 1:1 რადულოვი-18 (არნოტი-28, დუმონი-25), 2:1 მეტროპოლიტი-9 (ლუჩიჩი-7, ჰნიდი-3), 3:1 მეტროპოლიტი-10 (კობესოუ-10, ლუჩიჩი-8).

**ნიუ ჯერსი-პიტსბურგი 2:4**

1:0, 1:3, 0:1

**გოლები:** 1:0 რუპი-1 (ზუბრუსი-16, ელიაში-17), 1:1 ჯ. სტაალი-6 (კრისტენსენი-9, ტელბოტი-5), 2:1 რუპი-2 (პელეი-4), 2:2 კრისტენსენი-7 (ტელბოტი-6), 2:3 მელოუნი-12 (სიკორა-16, მალკინი-31), 2:4 მელოუნი-13 (სიკორა-17, გონჩარი-33).

**აილენდერსი-ოტავა 2:5**

0:2, 1:1, 1:2

**გოლები:** 0:1 მეზაროში-8 (სპეცა-41, ალფრედსონი-36), 0:2 ფილიპსი-4 (ვერმეტი-18, დონოვანი-3), 0:3 მაკამონდი-7 (ფიშერი-22, ნილი-12), 1:3 ბერგენჰაიმი-4 (ვაშიჩეკი-9), 2:3 ბერარი-3 (მატანი-17, კომრი-23), 2:4 ფიშერი-19 (ნილი-13), 2:5 სპეცა-19 (ფოლინო-3).

**ფილადელფია-ლოს ანჯელესი 3:2 (ო)**

0:0, 1:1, 1:1, 1:0

**გოლები:** 1:0 კობურნი-4, 1:1 კოპიტარი-20 (ფროლოვი-27), 2:1 საიმონ განიე-7 (კ. ტიმონენი-21, ბრიერი-29), 2:2 მოულსონი-4 (ვიშნევსკი-24), 3:2 ჰარტნელი-17 (მ. რიჩარდსი-35).

**კაროლინა-რეინჯერსი 3:1**

0:1, 2:0, 1:0

**გოლები:** 0:1 შენეჰანი-16 (გომესი-37, იაგრი-32), 1:1 სამსონოვი-3 (რეი უიტნი-27), 2:1 ბრინდამორი-18 (კომოდორი-9), 3:1 ლეტოვსკი-4 (ლაროუზი-10, ჰედიკანი-9).

**კოლამბუსი-ფინიქსი 2:4**

1:0, 1:1, 0:3

**გოლები:** 1:0 მოდინი-2 (მალორტა-9, ფრიტშე-8), 1:1 პ. მიულერი-14, 2:1 ჩიმერა-8 (ქერდიოვი-24, ტოლეფსენი-2), 2:2 ტიარნკვისტი-3 (ვრბატა-17, რაინპრეხტი-19), 2:3 პ. მიულერი-15 (დოუნი-32, ჟოვანოვსკი-28), 2:4 ვრბატა-22 (პანგალი-21).

**ტორონტო-სენტ ლუისი 2:3**

1:2, 1:1, 0:0

**გოლები:** 0:1 ტკაჩუკი-14 (სალვადორი-9, ბეკსი-10), 0:2 ტკაჩუკი-15 (მაკკი-6), 1:2 ჯ. ბლეიკი-10 (ტაკერი-6, მური-3), 1:3 ბეკსი-7 (ე. ჯონსონი-14, კარია-33), 2:3 სტაიანი-12 (ჯ. ბლეიკი-22, ტაკერი-7).

**მონრეალი-ვაშინგტონი 4:0**

3:0, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 შტრაიტი-7 (მარკოვი-24, რაიდერი-10), 2:0 ს. კოსტიცინი-4 (პლეკანეცი-27), 3:0 ს. კოივუ-10 (ბიგინი-4), 4:0 კოვალიოვი-22 (პლეკანეცი-28, შტრაიტი-26).

**ტამპა ბეი-ბაფალო 2:4**

0:2, 1:2, 1:0

**გოლები:** 0:1 მაკარტური-6 (პომინვილი-28, ჰეხტი-14), 0:2 პომინვილი-12 (მაკარტური-5, ლიდმანი-12), 0:3 სტეფორდი-13 (დ. რუა-20, ლიდმანი-13), 0:4 დ. რუა-19 (ჰეხტი-15, პომინვილი-29), 1:4 ბ. რიჩარდსი-15 (ბოილი-1, პროსპალი-28), 2:4 პროსპალი-20 (ბოილი-2, ლეკავალიე-37).

**ედმონტონი-სან ხოსე 0:3**

0:0, 0:2, 0:1

**გოლები:** 0:1 პაველსკი-11 (სეტოგუჩი-3, რივე-19), 0:2 გრირი-6 (რისმილერი-6, ტ. მიტჩელი-8), 0:3 რისმილერი-5 (გრირი-8, დ. მიურეი-7).

**ვანკუვერი-დალასი 3:4**

1:1, 0:2, 2:1

**გოლები:** 0:1 დელეი-2 (მოროუ-28, რიბეირო-33), 1:1 ჰ. სედინი-10 (დ. სედინი-27, მილერი-8), 1:2 მოდანო-15 (ჰაგმანი-11, ნორსტრიომი-4), 1:3 რობიდასი-3 (მოდანო-21, რიბეირო-34), 1:4 ოტი-7 (ჰალპერნი-13, რობიდასი-9), 2:4 კესლერი-13 (კუკი-6), 3:4 ნესლუნდი-17 (დ. სედინი-28, ოლუნდი-8).


სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიმჯარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონსტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა